ეროვნული ბიბლიოთეკა



# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს" – ილია



"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლე-სობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი" – ნოე

2007 წლის 26 მაისი, პარიზი – Nr. 37(55) – MAI 26, 2007, Paris

დაარსდა: იანვარი, 1952 წელი, პარიზი – Fondé: janvier 1952, Paris

## "მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, კინოფილმი, ტელეხედვა, ინტერნეტი — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო ხელისუფლების "მეოთხე სვეტია" სახელმწიფო ძალაუფლების "სამი სვეტის" — მმართველობის(მთავრობა), კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების(სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური, მიუდგომელი და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნას ამათუიმ პირის თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

---

## საქართველოს კონსტიტუცია

## Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d'exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d'autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

---

## საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

---

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

## Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

articl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression: this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to seet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of frontiers.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებლობის 89 წლისთავი

26 მაისი---3
დოკუმენტაცია---5

სოხუმის დაპყრობის მე-14 წლისთავი

დავითი და გოლიათი, ანუ საქართველო და რუსეთი---10
კონდოლიზა რაისი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა---11
"Das würde in den Wahnsinn führen"---12
"ეს მიგვიყვანდა სიგიჟემდე"---13
უილიამ კორტნი: რუსეთი და საქართველო---16
"სუსლოვის სული"---17

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

პატივი-ვცეთ ჩვენს პრეზიდენტებს---18
ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა მთაწმინდაზე---18
ჩვენი ნაფიქრება---18
Les Géorgiens enterrent leur ancien président---20
სოჭი და პუტინი(საზამთრო ოლიმპიური თამაშები 2014 წელში)---21
მსოფლიო უშიშროების კონფერენცია მიუნხენში და საქართველო---23
მრავალშვილიანობა ბედნიერებაა ღარიბთათვისაც---24
მოსკოვის მარიონეტი გროზნოში---25
ვლადიმერ პუტინი – "წმინდა დემოკრატი?.."---26
საქართველოში "ოპიუმის ომია?.." ---27
მთაწმიდის პანთეონი ამჟამად---28
ბორის ელცინის გარდაცვალება---29
დიმიტრი გულია: "მშობლიური აფხაზეთი"(ლექსი)---29

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

სტალინი, ჰიტლერი და მე---30
"უსირთულეო სპილო"–"დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში"---36
"ბედი" თუ "შემთხვევა" ---42
მწარე ჭეშმარიტება (ამონაწერი ზ. გამსახურდიას ინტერვიუდან, 2.2.1991 წელი)---44
ინგილოები დღეს---44
"როგორ გაანადგურეს მეფის ოჯახი" (ნიკოლოზ II.)---46
საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსენების დღე---49
არლინგტონის პანთეონი და მიხეილ დადიანი---50
"დაუწეველი უპირატესობა"---51
პეკინი აძლიერებს კერძო საკუთრებას---53
"ამერიკა არ არის იმპერია"---53
"სუპერ–ღედამიწის" აღმოჩენა---54

ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

26 მაისის დღესასწაული პარიზსა და ლევილში---54
მეგობრული შეხვედრა პაატა ბურჭულაძესთან---55
ვიტალი სიხარულიძე: პაატა ბურჭულაძის მოღვაწეობა---56
ჰანს დიტრის გენშერის დაბადების 80 წლისთავი---60
საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობა---61
მხოლოდ "უხეში იუმორი"?.. – ---62
ელიზაბეთ-ვასტის-საზოგადოების შეხვედრა---63
პროფესორ ჭანტურიას დაჯილდოება---64
პროფესორ ვახტანგ ჯობაძის გარდაცვალება---65

12685
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

## ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE



### საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აცხადებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

### საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

[illegible]

[illegible]

# საქართველოს დამოუკიდებლობის 89 წლისთავი

I.

26 მ ა ი ს ი

1918 წლის 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის დღეა, რომლის 89 წლისთავს დღეს აღვნიშნავთ. 26 მაისია აგრეთვე – საქართველოს მითოლოგიური და მონარქიული ხანათა გვერდით – საქართველოს რესპუბლიკური ხანის დასაწყისი, და ამით საქართველოს სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩირაღდანი.

II.

ამდენად, 26 მაისია, ყოველი ახალი წლის 1 იანვრის წლიური ანგარიშის გვერდით, – საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების შემაჯამაბელი დღე, რომლის ცენტრია ჩვენი ქვეყნის აქტუალური საქმიანობა, რომლის დროს ყოველი საჭირბოროტო საკითხი დემოკრატიული პოზიცია-ოპოზიციის ქარცეცხლში ტარდება, უნდა ტარდებოდეს, რაც უზრუნველყოფილია ჩვენი კონსტიტუციით.

III.

და რა შეგვიძლია ვთქვათ – 2006 წლის 26 მაისიდან – 2007 წლის 26 მაისამდე, ე.ი. ერთი წლის გამაელობაში – ჩვენი სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე და რას უნდო მოველოდეთ მომავალ, 2008 წლის 26 მაისამდე?..

ამის პასუხათ შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – წლიური ანგარიში, რომელიც მან "ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ" წარუდგინა პარლამენტს 2007 წლის 15 მარტის სხდომაზე, და, რომელშიც იგი შეეხო საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ საჭირბოროტო საკითხებს.

IV.

მან განაცხადა, სხვათა შორის, განაცხადა:

1. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საქართველო გახდა მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი სტაბილური სახელმწიფო, რომელიც ეკონომიკურად წინ მიიწვს.

2.მიუხედავათ რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული სასტიკი სანქციებისა საქართველოს მიმართ, რასაც მოყვა საჰაერო-, საზღვაო-, და სახმელეთო მიმოსვლის ჩაკეტვა, – საქართველომ შეძლო ახალი ბაზრების მოპოვება ჩინეთსა და იაპონიაშიც კი.

3. ამჯერად, ჩვენმა პრეზიდენტმა მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

4. მან "სამხრეთ ოსეთსა" და აფხაზეთს სესთავაზა "ფართო ავტონომია".

5. აფხაზეთის დევნილი მთავრობა კი, სააკაშვილის თქმით, უკვედ იმყოფედა "კოდორში, სოხუმისაკენ მიმავალ გზაზე".

6. აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ჩვენი პრეზიდენტის თქმით, ჩარეული უნდა იქნან აშშ და ევროპის ქვეყნები, და უნდა შემცირდეს რუსეთის დომინანტური როლი.

7.სააკაშვილმა, საგარეო პოლიტიკაში, საქართველოს უმთავრეს ამოცანად დასახა ნატოში გაწევრიანება; მან აღნიშნა, რომ საქართველო მის ერაყში განლაგებულ 850 ჯარისკაცს – ორი-ათასამდე გაზრდის ; და იმავე დროს პრეზიდენტმა ერაყში დაჭრილ კაპრალს – მიხეილ ქუთათელაძეს – ვახტანგ გორგასალის ორდენი გადასცა.

V.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტს, მის "წლიურ ანგარიშში" რუსეთი საერთოდ არ დაუსახელებია, ვადიმ გუსტოვმა, რუსეთის ფედერაციის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საქმეთა კომიტეტის მეთაურმა, განაცხადა, რომ საქართველოს სურს რუსეთი განდევნოს ამიერკავკასიიდანო.

VI.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მთავარი პრობლემა იყო და დარჩა, უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, რუსეთი, რომელიც ამჟამადაც უარს არ ამბობს მის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

VII.

მართალია, კრემლმა კარგად იცის, რომ საქართველოს პროევროპული ორიენტაციას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა მე-3-მე საუკუნეში საქართველომ ერთმნიშვნელოვნად ორიენტაცია დიოფიზიტურ ბიზანტიაზე, და ამით ევროპაზე აიღო. იმ დროს, მაგალითად, სომხეთმა ორიენტაცია აიღო ირანის მიერ ლობირილებულ მონოფიზიტობაზე, ე.ი., აიღო პროირანული პოლიტიკური კურსი. და როცა "ევროპის ბიზანტიური ფანჯარა" 1453 წელს თურქებმა ამოგვიქოლეს, საქართველო შეეცადა ხმა მიეწვდინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის, მაგრამ უშედეგოთ. ამის შედეგად, საქართველო იძულებული გახდა აერჩია, როგორც ჰენრი კუპრაშვილი წერს ("ს.რ.", 21 მარტი, 2007 წელი), "ნაკლები ბოროტება" – "რუსეთის გისოსებიანი სარკმელი", რაც ვერ მოვიშორეთ თავიდან გასული ორასი წლის განმავლობაში.

VIII.

საქართველოს "სამ იმპერიათა" – რუსეთი, სპარსეთი, თურქეთი – შორის ლავირების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა; საჭიროა მხოლოდ (არა მარტო) რუსეთმა ეს შეიგნოს, და იგი გახდეს ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფო, რიგორიცაა, ვთქვათ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ინგლისი თუ აშშ.

IX.

ამ დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის კი ხაზგასმით გვსურს ავღნიშნოთ აშშ-ს ჰუმანიტარული, დიახ, ჰუმანიტარული როლი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა, როცა ამერიკელმა ხალხმა, ამერიკის ყოფილ კოლონიურ ქვეყნებიდან, 1776 წლის 4 ივლისს, შექმნა "ამერიკის შეერთებული შტატები", რამაც ბიძგი მისცა საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" დიდ ასევე დიდ ჰუმანიტარულ ღირებულებას, რომლის განმგრძნობლებლად გვესახება ჩვენი "პირველდასელები" და "მესამედასელები", რომელთა დევიზი იყო და დარჩა: "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნლეს", და, "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოელი პიროვნებისა". (1894 წელი, 7 თებერვალი).

X

ეს კი მოითხოვს სახელმწიფოს დემოკრატიული წესყობილების მოქნილობას, რომელიც, უდავოა, განუწყვეტელ გასრულყოფილებისაკენ მიილტვის, რომ, პოზიციის გვერდით,გაისმოდეს ოპოზიციის რიხიანი ხმაც. ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, შესაძლებელი გახდება არა მარტო საქართველოს პროდასავლური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება, არამედ აგრეთვე რუსეთთან საერთო ენის გამონახვაც – როგორი ეკლიანიც არ უნდა იყოს ეს გზა.

XI.

და, ამ გაგებით, გილოცავთ, პატივცემულო თანამემამულენო, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის 89 წლისთავს!.. მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე

<u>პარიზი, 2007 წლის 26 მაისი</u>

**ილია პატარა ერების შესახებ:**

'...ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, – რა გინდ
პატარა ერი იყოს, – არავისთვის არც მოსაწონია,
არც გამოსაყენებელი...ყველამ თავისით უნდა მოიწო-
ნოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს.'

[illegible]

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

(1918-1921 წლები)

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ნოე ჟორდანია

საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე



ევგენი გეგეჭკორი



ნოე რამიშვილი



აკაკი ჩხენკელი



კონსტანტინე კანდელაკი



კარლო ჩხეიძე

,,... უნდა დაინახოს მტერმაც და მოყვარემაც, რომ არამარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლია ვიყვეთ დამოუკიდებელნი.''

,,... და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია მაინც იტყვის — ჩვენ მივდიოდით სწორი გზით და გავაკეთეთ რის გაკეთებაც კი შეგვეძლო''

*ნოე ჟორდანია 1918 წლის 4 აგვისტო*



ნოე ხომერიკი

* * *

მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზედ უფრო დიდი ნაციონალისტი, არასოციალისტი ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე ჟორდანია.

*მიხაკო წერეთელი*



გრიგოლ ლორთქიფანიძე



ირაკლი წერეთელი

* * *



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
ეპარქიების რუკა
დამტკიცებულია
საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის
2003 წლის 10 აგვისტოს რუის-ურბნისის
კრების განჩინებით
რუსეთი
შავი ზღვა
თურქეთი
სომხეთი
აზერბ
ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია
მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია
ნიკორწმინდის ეპარქია
ალავერდის ეპარქია
შემოქმედის ეპარქია
ბათუმისა და სხალთის ეპარქია
სამთავისისა და გორის ეპარქია
მარგვეთისა და უბისის ეპარქია
ურბნისისა და რუისის ეპარქია
ბოლნისის ეპარქია
კარეთის ეპარქია
საგარეჯოს ეპარქია
ბათუმი
სხალთა
ახალციხე
ცხინვალი
ალავერდი
ლაზეთის, ტაო - კლარჯეთისა და ახალქისის
პირობითი
აღნიშვნები
კათოლიკოს-პატრიარქის კათედრა
ეპისკოპოსის კათედრა
სახელმწიფო საზღვარი
ეპარქიის საზღვარი

# პატარა „ოქროს ხანა"

1918-1921



INDEPENDENT GEORGIA





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმის დაპყრობის მე-14-ე წელი

## დავითი და გოლიათი, ანუ საქართველო და რუსეთი?..

I.

"დავითი და გოლიათი" ანუ "საქართველო და რუსეთი" – ასეთი ალეგოლიული სათაურის საბაბი მოგვცა თვით დავითისა და გოლიათის ბიბლიურმა თქმულებამ, რომლის თანახმად ფილისტერების მებრძოლი გოლიათი – დავითმა – შურდულის ქვით მოკლა, რასაც მოყვა დავითის მეფობა ისრაელში.

II.

რა თქმა უნდა, ჩვენ, ქართველობა, საქართველო დავითისებური ზღახვით არ ვართ განსჭვალული გოლიათი რუსეთისადმი, მაგრამ რუსეთი რომ ფიზიკური განადგურებით გვემუქრება, რის ამჯერად ოპერაციებს ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში აწარმოებს?..

III

და ვითომ საქართველოს პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს, ქართველი ხალხის საერთო მისწრაფებას არ ასახავს მის აქვე გამოქვეყნებულ ინტერვიუში, როცა მიილტვის ევროპის კავშირში და ნატოში გაერთიანებისაკენ, საითკენაც რუსეთიც უნდა მიილტვოდეს თუ მას პოსტსაბჭოურ იმპერიალიზმზე უარის თქმა და დემოკრატიის განმტკიცების გზაზე დადგომა სურს?..

IV.

რატომ უკვირს (არა მარტო) რუსეთს ქართველი ერის ლტოლვა დასავლეთ ევროპისაკენ?.. ქართველებმა არ აირჩიეს განვითარების ევროპული გზა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიიღეს ქრისტიანობა?.. განა საქართველომ მესამე საუკუნეში შექმნილ კრიტიკულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ერთმნიშნოვლად ორიონტაცია არ აიღო დიოფიზიტურ ბიზანტიაზე იმ დროს, როცა სომხეთმა, მაგალითად, პროირანული პოლიტიკურად ლობირილებული მონოფიზიტობა აირჩია?..

V.

სამწუხაროდ, ევროპის ბიზანტიური ფანჯარა 1453 წელს თურქებმა ამოგვიქოლეს. მაგრამ ქართველი ხალხის ევროპისაკენ ლტოლვა მაინც არასოდეს არ შეწყვეტილა, რის ისტორიული ფაქტია რუსეთ-საქართველოს 1783 წლის "გეორგიევსკის ტრაქტატი", რაც რუსეთმა, საქართველოს გუბერნიებათ და სამთავროებათ დასაქუცმაცებლად გამოიყენა, რასაც, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ 1918 წლის 26 მაისს?..

VI.

მაგრამ, იმჯერად – 1921 წლის თებერვალ-მარტში –, ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაც თავი დავაღწიეთ 1991 წლის 27 დეკემბერს, როცა რუსეთი იძულებული გახდა დაეშალა საბჭოთა ხელოვნურად შეგოჯიჯებული იმპერია?..

VII.

და, ახლა, როგორც პოლიტოლოგი ჰენრი კუპრაშვილი ამბობს, "ისტორიამ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არგუნა ნატოში გაწევრიანების ბრწყინვალე ისტორიული ფინიში. ამით მთავრდება ქართველთა გადარჩენისათვის თითქმის 600-წლიანი ეულად წარმოებული ომი და იქნება ისეთი ახალი სასტარტო მდგომარეობა, საიდანაც უნდა დაიწყოს ცივილიზებული ევროპის თანასწორ სახელმწიფოთა შორის ღირსეული თანაცხოვრება და უსაფრთხო განვითარება", როგორი ეკლიანიც არ უნდა იყოს ეს გზა?..

VIII.

და ამ გზას არ უნდა დაადგეს თვით რუსეთიც თუ მას სურს გახდეს ნორმალური არაიმპერიული, დემოკრატიული სახელმწიფო, როგორიცაა, ვთქვათ, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია თუ აშშ?..

IX.

და აქეთკენ არ მიგვითითებს დავითისა და გოლიათის თქმულებაც, რომლის დროს "დიდი" და "პატარა" ერები თანასწორუფლებიანი არიან?..

X.

თორემ სად წაიყვანს თვით რუსეთსაც კი ერების მოსახლეობის რაოდენობათა ჭიდილი ისეთი მრავალრიცხოვანი ერების პირისპირ, როგორიც არიან რუსეთის მეზობელი ხალხები, პირველყოვლისა იაპონელი თუ ჩინელი ერები?..რუსის ერი გაუბედავდა კი ჩინელ ან იაპონელ ერებს ისეთ უმსგავსოებას, რასაც რუსეთი ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში სჩადის, რომ ჩვენ "არამრავალრიცხოვანი", "პატარა" ერი არ ვიყოთ?..

XI.

აი, პრობლემები, რომელთაც არ უნდა ჩაუფიქრდეს განსაკუთრებით თვით რუსეთი?!..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2007 წლის 27 აპრილი

## კონდოლიზა რაისი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა

I.

"პატივი ეცით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას", – მოუწოდა რუსეთს აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა კონდოლიზა რაისმა – "რია ნოვოსტის" საინფორმაციო სააგენტოს ცნობით. (12.4.2007 წელი); და იქვე დასძინა:

II.

"ჩვენ ველით, რომ რუსეთი გავლენას მოახდენს მეზობელ ქვეყნებზე, რადგან ეს ყოველთვის ასე ხდებოდა. თუმცა, ასეთ გავლენას ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის ფორმა უნდა ჰქონდეს, საქართველოს შემთხვევაში კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა უნდა გამოიხატოს". კონდოლიზა რაისმა იქვე აღნიშნა: "რუსეთის მხრიდან არ უნდა გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს დამოუკიდებლობის მიღების პრეტენზიას გაუჩენს".

III.

"რია ნოვოსტის" სააგენტო კი ამბობს: (06.04.2007) "ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით დესტაბილიზაციას მოახდენს პოსტსაბჭოთა სივრცეში."
(11.04.2007): "მოსკოვის აზრით, აფხაზეთის სტატუსი უნდა განისაზღვროს მსგავსად კოსოვოს პროვინციისა, რომელიც მოითხოვს სუვერენობას".

IV.

მართალია, "ეს პრობლემები, – ამბობს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, – შეუძლებელია მოგვარდეს ურუსეთოთ, რადგან პრობლემაა თვით რუსეთი. სამხრეთ ოსეთში კი რუსეთი არის ერთადერთი პრობლემა. რუსეთის ოფიცრებმა იქ უკვე თვითონ გადაიბარეს ხელმძღვანელობა."

V.

"კოსოვოსა და აფხაზეთს შორის კი არ არსებობს პარალელი. თუ საერთოდ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც ამ პარალელს ვერ ხედავს, ეს არის რუსეთი და თუ ერთი რეგიონი არსებობს, სადაც რუსეთმა ამას განსაკუთრებით თავი უნდა აარიდოს, ეს არის კავკასია. მე ვფიქრობ რუსები არიან საკმარისად რაციონალური, ამას რომ ჩაუფიქრდნენ".

VI.

კონდოლიზა რაისიც ამგვარი ჩაფიქრებისაკენ მოუწოდებს რუსეთს!..

კ.ი.–თბილისი, 14.4.2007 წელი.

*Moscou. Ria Novosti. 06.04 : « L'élargissement de l'OTAN à l'Est déstabilisera l'espace postsoviétique ». 11.04 : « Condoleezza Rice a averti la Russie de ne pas aider les séparatistes d'Abkhazie et d'Ossétie du Sud », « Moscou, le statut de l'Abkhazie doit être défini comme celui de la province du Kosovo réclamant la souveraineté ».*

Mittwoch, 18. April 2007 AOL: Inasaridse

# „Das würde in den Wahnsinn führen"

## Georgiens Präsident Saakaschwili über das schwierige Verhältnis zu Russland und über die wirtschaftliche Entwicklung seines Landes



*Sein Land verklagt Russland vor dem Europäischen Gerichtshof für Menschenrechte: Georgiens Präsident Michail Saakaschwili.* Foto: Reuters

Zwischen Russland und Georgien schwelt ein Konflikt, der immer wieder in Gewalt umzuschlagen droht. Moskau unterstützt zwei separatistische Regionen in Georgien und fühlt sich durch die West-Orientierung des Landes provoziert. Im Oktober kappte Russland fast alle Verbindungen, nachdem Georgien vier russische Offiziere unter Spionageverdacht festgenommen und ausgewiesen hatte. Über die Lage sprach die „Süddeutsche Zeitung" in Tiflis mit Georgiens Präsident Michail Saakaschwili.

**SZ:** *Herr Präsident, Tausende Georgier sind aus Russland deportiert worden. Ihr Land hat deshalb nun Russland beim Europäischen Gerichtshof für Menschenrechte verklagt. Ist das der richtige Weg, um zu normalen Beziehungen zurückzukehren?*

**Saakaschwili:** Wir haben alle anderen politischen und rechtlichen Mittel ausgeschöpft. Vielleicht sollten wir noch geduldiger sein, aber wir konnten nicht untätig bleiben. Als Demokratie sind wir unseren Menschen Rechenschaft schuldig. Nun haben wir die Frage auf die internationale Ebene gehoben und zwar durch die Klage auf zivilisierte Weise. Wir hoffen, dass das einem Dialog nicht im Wege steht. Wir sind sehr offen und flexibel.

**SZ:** *Wie soll so ein Dialog möglich sein? In einer Rede im Parlament haben Sie Russland vorgeworfen, Georgien auf jede erdenkliche Weise destabilisieren zu wollen und dabei sogar Terror einzusetzen.*

**Saakaschwili:** Ich habe das Wort Russland nicht in den Mund genommen.

**SZ:** *Ja, aber jeder weiß, dass Sie Russland gemeint haben.*

**Saakaschwili:** Ich habe zu meinem Volk gesprochen, nicht zu anderen Völkern. Man muss seinem Volk die Wahrheit sagen.

**SZ:** *Wie lautet die Wahrheit?*

**Saakaschwili:** Einerseits sind Dinge geschehen wie die Raketenangriffe in Ober-Abchasien. Das ist sicher keine zivilisierte Form der Auseinandersetzung. Wir warten nun auf den hoffentlich objektiven Bericht der Vereinten Nationen, doch unsere Bevölkerung hegt keinen Zweifel daran, wer hinter dem Angriff steht. Es gab auch andere Versuche der Destabilisierung in den Regionen, in denen die Separatisten aktiv sind. Darüber müssen wir sprechen, sonst tut es niemand. Die andere Seite ist, dass das russische Embargo unserer Wirtschaft geholfen hat. Sie entwickelt sich trotz des Embargos gut und das hat der georgischen Nation Selbstbewusstsein gegeben. Wir haben bewiesen, dass wir ein stabiles Land sind. Russland habe ich stets nur erwähnt, um ihm für das Embargo zu danken. Das war mein Ernst. Langfristig ist es gut für unsere Wirtschaft und unsere strategische Neuorientierung.

**SZ:** *Das klingt nach einem riskanten Spiel. Haben Sie es auf die Eskalation ankommen lassen, um unabhängiger von Russland zu werden?*

**Saakaschwili:** Wie Sie schon sagen – das wäre ein enormes Risiko gewesen. Kein Führer würde so ein Risiko für seine Reputation und sein Land eingehen. Es ist auch nicht so, dass wir über die russische Blockade gejubelt hätten. Wir waren anfangs sehr besorgt. Was uns Mut gemacht hat, war das Beispiel der baltischen Länder, insbesondere Estlands. Wir wussten, dass wir nicht die Ersten auf diesem Pfad sind.

**SZ:** *Aber den russischen Markt brauchen Sie doch noch? 1,3 Millionen Esten trinken nicht so viel georgischen Wein wie 140 Millionen Russen.*

**Saakaschwili:** Wir haben unseren Export nicht nur in die baltischen Länder erhöht, sondern auch in die Ukraine oder

nach Zentralasien. Ich habe georgischen Wein in so entfernten Gegenden gesehen wie Japan und China. Vor allem produzieren wir nun viel bessere Qualität. Aber natürlich brauchen wir den russischen Markt. Wir sind doch nicht verrückt. Wir werden ihn immer brauchen. Es ist eine Frage von Monaten, bis wir auf diesen Markt zurückkehren.

**SZ:** *Brauchen Sie Russland nicht auch politisch? Wie wollen Sie ohne Russland den Konflikt um die abtrünnigen Regionen Südossetien und Abchasien lösen?*
**Saakaschwili:** Das Problem kann nicht ohne Russland gelöst werden, denn Russland ist das Problem. In Südossetien ist es sogar das einzige Problem. Russische Offizielle haben dort die Regierung übernommen. Entscheiden sollten aber die Menschen, die dort wirklich leben. Wir sind bereit, mit jedem Osseten über die Zukunft zu reden. Wir müssen den Menschen zeigen, dass die bewaffneten Männer an den Checkpoints ihnen im Weg stehen und nicht die Lösung sind. Gleich hinter dem russischen Checkpoint in Südossetien bauen wir Discos, Kinos, ein Schwimmbad, eine Sporthalle und einen Vergnügungspark. Die Leute werden den Checkpoint passieren und tanzen gehen: Was können Soldaten dagegen ausrichten? Es sei denn, sie zwingen uns eine militärische Lösung auf, bevor wir erfolgreich sind. Deshalb lassen wir uns auf keine Provokation ein. Die Zeit arbeitet für uns.

**SZ:** *Wirklich? Russland will eine Unabhängigkeit des Kosovo als Präzedenzfall werten. Was passiert, wenn Russland die Unabhängigkeit Abchasiens anerkennt?*
**Saakaschwili:** Das wäre eine klare Aggression. Und jedes Land hat das Recht, auf eine Aggression zu antworten. Ich glaube aber nicht, dass jemand so unvernünftig sein kann. Zwischen dem Kosovo und Abchasien gibt es keine Parallelen.

**SZ:** *Russland zieht sie.*
**Saakaschwili:** Wenn es ein Land gibt, das diese Parallele nicht ziehen sollte, dann ist es Russland. Und wenn es eine Region gibt, in der Russland das besonders vermeiden sollte, dann ist es der Kaukasus. Ich denke die Russen sind rational genug, um das zu bedenken.

**SZ:** *Andernfalls würde es Krieg geben?*
**Saakaschwili:** Ich will das Wort Krieg gar nicht benutzen. Aber es würde in den Wahnsinn führen. Niemand kann es sich leisten, wahnsinnig zu sein.

**SZ:** *Während sich andere aus dem Irak zurückziehen, erhöht Georgien die Zahl seiner Soldaten von 850 auf 2000. Kämpfen Ihre Soldaten für den Nato-Beitritt?*
**Saakaschwili:** Im Irak handelt es sich doch um keine Nato-Operation. Da gibt es keinen direkten Zusammenhang.

**SZ:** *Ja, aber sie können sich den USA als gute Verbündete präsentieren.*
**Saakaschwili:** Nein, die Amerikaner sind ohnehin unsere guten Alliierten. Sie haben nicht um die Aufstockung gebeten. Es war eine georgische Initiative, unsere Truppenstärke für ein Jahr zu erhöhen. Danach wollen wir die meisten Soldaten zurückziehen. Wo wir tatsächlich stärker an Nato-Operationen teilhaben werden, ist Afghanistan. Georgien befindet sich in einer sehr labilen Region in Nähe zum Nahen Osten. Wir wollen unseren Beitrag für mehr Sicherheit leisten.

**SZ:** *Georgien wird in Westeuropa oft als allzu treuer Verbündeter Washingtons gesehen. Bereitet Ihnen das Sorge?*
**Saakaschwili:** In den Vereinten Nationen stimmt Georgien fast immer so ab wie die EU, nicht wie die USA. Wir sind keine Amerikaner, wir sind Europäer. Aber die Amerikaner waren die Ersten, die uns unterstützt haben. Das hat ihnen erhebliche Sympathie eingebracht. Nun kommen aber immer mehr Europäer. Kürzlich war der deutsche Außenminister Frank-Walter Steinmeier hier. Das war einer der positivsten westlichen Besuche, die es in Georgien je gegeben hat.

*Interview: Daniel Brössler*

Süddeutsche Zeitung Nr. 78 / Seite 7

Dienstag, 3. April 2007

POLITIK

# "ეს მიგვიყვანდა სიგიჟემდე"

საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი რთული ურთიერთობის შესახებ რუსეთთან და მისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ.

რუსეთსა და საქართველოს შორის იძაბება კონფლიქტი, რაც ისევ-და-ისევ ძალადობაში გადაზრდით იმუქრება. მოსკოვი მხარს უჭერს საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონს და საქართველოს დასავლეთური ორიენტაციით რუსეთი თავს პროვოცირებულად გრძნობს. 2006 წლის ოქტომბერში რუსეთმა შეწყვიტა თითქმის ყველა კავშირი საქართველოსთან იმის შემდეგ, როცა საქართველომ ოთხი რუსი ოფიცერი შპიონაჟის ბრალდებით დააპატიმრა და განდევნა საქართველოდან. "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" კორესპონდენტი ესაუბრა თბილისში, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ:

"ზ-ც": — ბატონო პრეზიდენტო, ათასობით ქართველი განდევნილ იქნა რუსეთიდან. ამიტომ თქვენმა ქვეყანამ საჩივარი შეიტანა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. არის ეს სწორი გზა, რომ ნორმალურ ურთიერთობას დაუბრუნდეთ?

სააკაშვილი: ჩვენ ყველა სხვა პოლიტიკური და უფლებრივი საშუალებანი ამოვწურეთ. შეიძლება ჩვენ კიდევ უფრო მოთმინება უნდა გამოგვეჩინა, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო უმოქმედობა. დემოკრატიის პირობებში ჩვენ ვალდებული ვართ ანგარიში ჩავაბაროთ ჩვენს ხალხს. ამიტომ გავიტანეთ ეს საკითხი საერთაშორისო ფორუმზე, სახელდობრ როგორც საჩივარი ცივილიზებული ფორმით. ჩვენ ვიმედოვნებთ ეს დიალოგს გზას არ უღობავს. ჩვენ ვართ ღია და მოქნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ზ.ც.": როგორ უნდა მოხდეს ეს დიალოგი? ერთ სიტყვაში პარლამენის წინშე, თქვენ ბრალი დადეთ რუსეთს, რომ მას უნდა საქართველოს ყოველი შესაძლებელი გზით დესტაბილიზაცია და ამისათვის ტერორსაც კი გამოიყენებს.

სააკაშვილი: მე სიტყვა რუსეთი არ მითქვამს.

"ზ.ც.": მართალია, მაგრამ ყოველმა იცის, რომ თქვენ რუსეთზე მიუთითებდით.

სააკაშვილი: მე ველაპარაკე ჩემს ხალხს, და არა სხვა ხალხებს. საკუთარ ხალხს სიმართლე უნდა უთხრა.

"ზ.ც.": და რა არის სიმართლე?

სააკაშვილი: ერთიმხრივ საქმე გვაქვს ფაქტთან, როგორიცაა რაკეტებით თავდასხმა ზემო-აფხაზეთში. ეს ნამდვილად არ არის დავის ცივილიზებული ფორმა. ჩვენ ვიმედოვნებთ მივიღებთ გაეროს ობიექტურ ცნობას ამ მოვლენის შესახებ. მაგრამ ჩვენი ხალხი არ ეჭვობს იმის შესახებ, თუ ვინ დგას რაკეტების ამ თავდასხმის უკან. არსებობდა აგრეთვე სხვა ცდები დესტაბილიზაციისა იმ რეგიონებში, რომლებშიც სეპარატისტები აქტიურობენ. მის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ, სხვა არავინ არ გააკეთებს ამას. მეორე მხარეა ის, რომ რუსეთის ემბარგომ ჩვენს ეკონომიკას დაეხმარა, რომელიც ვითარდება მიუხედავათ ემპარგოსა, და ამან ქართველ ერს თვითმყოფადობის შეგნება შემატა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენი ქვეყანა სტაბილურია. რუსეთი მე ავღნიშნე მხოლოდ იმასთან კავშირში, რომ მისთვის ემბარგოსათვის მადლობა მეთქვა. ეს მე სერიოზულად ვთქვი. შორსმჭვრეტელურად ეს კარგია ჩვენი ეკონომიკისა და ჩვენი სტრატეგიული ახალი ორიენტაციისათვის.

"ზ.ც."-: ეს ძლერს რისკზე თამაშს. ესკალაციისაკენ ხომ არ მიილტვით, რომ რუსეთიდან უფრო დამოუკიდებელი გახდეთ?

სააკაშვილი: როგორც თქვენ ამბობთ — ეს იქნებოდა უზომო რისკი. არც ერთი ხელმძღვანელი ასეთ რისკზე არ წავიდოდა მისი რეპუტაციისა და ქვეყნის წინაშე. ეს ისე არ ყოფილა, რომ ჩვენ რუსეთის ბლოკადას ზეიმით შევხვდით. დასაწყისში ჩვენ ვიყავით მეტად ჩაფიქრებული. რამაც ჩვენ გამბედაობა შეგვმატა, ეს იყო ბალტიისპირეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ესტონეთის მაგალითი. ჩვენ ვიცოდით, რომ პირველნი არ ვიყავით ამ ბილიკზე.

"ზ.ც."-: მაგრამ რუსეთის ბაზარი გჭირდებათ თქვენ ისევ? 1,3 მილიონი ესტონელი არ სვამეს იმდენ ქართულ ღვინოს, რამდენსაც დალევს 140 მილიონი რუსი.

სააკაშვილი: ჩვენ ექსპორტი მარტო ბალტიის ქვეყნებში კი არ გაგვიდიდებია, არამედ უკრაინასა თუ ცენტრალურ აზიაში. მე ქართული ღვინო ვნახე შორეულ რეგიონებშიც, როგორიცაა ჩინეთი და იაპონია. პირველყოვლისა ჩვენ ვაწარმოებთ გაცილებით უკეთესი ხარისხის ღვინოს. მაგრამ ბუნებრივია ჩვენ გვჭირდება რუსეთის ბაზარი. ჩვენ გიჟები კი არ ვართ. ჩვენ ყოველთვის დაგვჭირდება იგი. საქმე ეხება თვეებს, სანამ ჩვენ დავბრუნდებით რუსეთის ბაზრებზე.

"ზ.ც."-: არ გჭირდებათ თქვენ რუსეთი პოლიტიკურადაც? ურუსეთოთ როგორ გსურთ თქვენ მოაგვაროთ კონფლიქტი სეპარატისტულ რეგიონებში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში?

სააკაშვილი: ეს პრობლემები შეუძლებელია მოგვარდეს ურუსეთოთ, რადგან პრობლემაა თვით რუსეთი. სამხრეთ ოსეთში კი რუსეთი არის ერთადერთი პრობლემა. რუსეთის ოფიცრებმა იქ თვითონ გადაიბარეს ხელმძღვანელობა. მაგრამ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ადამიანებმა, რომლებიც იქ ნამდვილად ცხოვრობენ. ჩვენ მზად ვართ ყოველ ოსთან მის მომავალზე ვილაპარაკოთ. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ადამიანებს, რომ შეიარაღებული ჯარისკაცები მათ გზას უღობავენ საკონტროლო პუნქტთან და ეს არ არის საკითხის მოგვარება. იქვე რუსულ საკონტროლო პუნქთან, ჩვენ ვაშენებთ მუსიკის, კინოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბანაო აუზის, სასპორტო დარბაზებს და გასართობ ბალებს. ხალხს შეუძლია საკონტროლო პუნქტზე გავლა და გაერთონ საცეკვაო დარბაზებში. რა შეუძლიათ გააკეთონ სალდათებმა მათ წინააღმდეგ? შეიძლება რუსეთს სურს თავზე მოგვახვიოს საკითხის სამხედრო გადაწყვეტა მანამდე, სანამ ჩვენ წარმატება გვექნება. ამიტომ ჩვენ არავითარ პროვოკაციაზე არ მივდივართ. დრო მუშაობს ჩვენთვის.

"ზ.ც."-: ნამდვილად? რუსეთს სურს კოსოვოს დამოუკიდებლობა როგორც მაგალითი გამოიყენოს. რა მოხდება, რომ რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა იცნოს?

სააკაშვილი: ეს იქნებოდა ნათელი აგრესია. და ყოველ ქვეყანას აქვს უფლება აგრესიას უპასუხოს. მაგრამ მე არ მჯერა, რომ ვინმე ასეთი უპასუხისმგებლო იყოს. კოსოვოსა და აფხაზეთს შორის არ არსებობს პარალელი.

"ზ.ც."-: რუსეთი ხედავს ამას.

სააკაშვილი: თუ საერთოთ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც ამ პარალელს ვერ ხედავს, ეს არის რუსეთი. და თუ ერთი რეგიონი არსებობს, სადაც რუსეთმა ამას განსაკუთრებით თავი აარიდოს, ეს არის კავკასია. მე ვფიქრობ რუსები არიან საკმარისად რაციონალური, ამას რომ ჩაუფიქრდნენ.

"ზ.ც."-: თუ არა ომი იქნება?

სააკაშვილი: მე საერთოდ არ მსურს სიტყვა ომი ვიხმარო. მაგრამ ეს შეგვიყვანდა სიგიჟეში. არავის არ შეუძლია გიჟი იყოს.

"ზ.ც."-: იმ დროს როცა სხვები ერაყიდან გადიან, საქართველო ადიდებს მისი სალდათების რაოდენობას 850-დან 2000-დე. თქვენი ჯარისკაცები იბრძვიან ნატო-ში შესვლისათვის?

სააკაშვილი: ერაყში არ არსებობს ნატოს ოპერაციები. აქ არ არსებობს პირდაპირი კავშირი.

"ზ.ც."-: კი, მაგრამ, ესენი გამოჩნდებიან როგორც აშშ-ს კარგი მოკავშირეები.

სააკაშვილი: არა, ამერიკელები მიუხედავათ ამისა არიან ჩვენი კარგი მოკავშირეები. მათ არ უთხოვნიათ ჩვენი სალდათების რაოდენობის გადიდება. ეს იყო საქართველოს ინიციატივა – ჩვენი სალდათების რაოდენობა ერთი წლით გადიდებულ იქნას. მის შემდეგ ჩვენს სალდათების უმრავლესობას ერაყიდან გამოვიყვანთ. სადაც ჩვენ სინამდვილეში ნატოს ოპერაციებში მონაწილეობა გვექნება, ეს არის ავღანეთი. საქართველო იმყოფება ახლო აღმოსავლეთთან მეტად მერყევ რეგიონში. ჩვენ გვსურს ჩვენი წვლილი შევიტანოთ მეტი უშიშროების საქმეში.

"ზ.ც."-: დასავლეთ ევროპაში საქართველოს ხშირად ხედავენ როგორც აშშ-ს მეტად ერთგულ მოკავშირეს. იწვევს ეს თქვენში ჩაფიქრებას?

სააკაშვილი: გაეროში საქართველო თითქმის ყოველთვის ხმას აძლევს ევროპის კავშირს და არა აშშ-ს. ჩვენ ამერიკელები არ ვართ. ჩვენ ვართ ევროპიელები. მაგრამ ამერიკელები იყვნენ პირველნი, რომლებმაც ჩვენ მხარი დაგვიჭირეს. ამან მნიშვნელოვანი სიმპატია გამოიწვია ჩვენში. და უკვე მოდიან მეტი ევროპიელები ჩვენთან. ამასწინათ ჩვენთან იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი – ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი. ეს იყო დასავლეთის ყველაზე უფრო პოზიტიური სტუმრობა, რაც საქართველოში ოდესმე ყოფილა.

ინტერვიუ დანიელ ბროესლერისა. "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგ", სამშაბათი, 3 აპრილი, 2007 წელი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავისუფლები ვიქნებით მხოლოდ მაშინ, როცა როკის გვირაბზე და ფსოუზე მსოფლიოში ულამაზესი ქართული დროშა აფრიალდება".

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი(23.11.2004 წ.).*




# რუსეთი და საქართველო

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა რთულია, თუმცა მას აქვს უდიდესი პოზიტიური პოტენციალი. 1850 წელს რუსმა გენერალმა ფადეევმა განაცხადა: „თუ რუსეთის ჰორიზონტი თოვლიანი კავკასიონის ქედზე დასრულდება, მაშინ აზიის კონტინენტის მთელი დასავლეთი ნაწილი ჩვენი გავლენის სფეროს მიღმა აღმოჩნდება. თუ გავითვალისწინებთ თურქეთისა და სპარსეთის ძლიერ მდგომარეობასაც, მაშინ ამ მიწებს ახალი პატრონი გამოუჩნდება".

დღეს ასეთი შეხედულება არაშორსმჭვრეტელურია. განვითარებადი კავკასია, რომელიც არ მოექცევა არც ერთი ზესახელმწიფოს გავლენის სფეროში, ყველას ინტერესებში იქნება. ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა იმ შემთხვევაში, თუ თანდათან განმტკიცდება ეკონომიკური აღმავლობა და რეგიონული თანამშრომლობა. ამის დასტურია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის (სატრანსპორტო მაგისტრალები შავი ზღვიდან ჩინეთამდე) სწრაფი განვითარებაც. პროგრესი შეიმჩნევა აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის (მასში შედის ნავთობსადენებიც) ჩამოყალიბებაში.

*უილიამ კორტნი, 18 მაისი, 1998 წელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუსლოვის სული

მიხეილ სუსლოვი (1902-1982) იყო რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და ამით სსრკ-ს კომპარტიის იდეოლოგი, რომელსაც 80-იან წლებში გაუკეთებია „დახურული მოხსენება“, რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელ-შოვინისტურ, ანუ რასისტულ მრწამსს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს :

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არდაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთის, აჭარისა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდა ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“.

## "L´âme de Souslov"

Dans son édition du 30 octobre 1999 le journal << La République de Georgie >> a fait paraître un article détaillé, article dans lequel Vakhtang Abashidze, directeur des relations de presse du président, écrit qu´il existe aujourd´hui en Géorgie une menace de renaissance de << l´âme de Souslov >>

Dans cet article, une explication est fournie sur la signification de cette soi-disant << âme de Souslov >>. MikheiilSouslov (1902-1982) était ce qu´il convient d´appeler l´idéologue du parti bolchévique de Russie et du parti communiste d´URSS.

Mikheiil Souslov a fait, dans les années 80 une << conférence à huis clos >> au cours de laquelle il a justifié sa grande conviction expansionniste chauvin et raciste, est-il besoin de le rappeler, à l´encontre de la nation géorgienne.

Voici ce que Souslov nous dit:

"Le parti communiste est le ciment de la Russie et nous devons oeuvrer pour un plan de sauvegarde de la Russie, avant que celui-ci ne perde sa force et sa nature même, plan qui sera différent selon la République à laquelle il s´adressera.

Nous devons permettre à nos Généraux d´Extrême Orient de continuer à avoir des conditions de vie << normales >>.

Pour procéder à leurs rapatriements, nous avons besoin des territoires situés au bord de la Mer Noire où vivent, comme vous le savez, les Georgiens.

Nous devons tenir compte du fait que les Géorgiens se différencient fortement de nous, et que tôt ou tard, ils poseront la question de l´indépendance et de la liberté.

Nous devons commencer à les affronter en Abkhazie. En profitant de l´Abkhazie nous accorderons l´indépendance à la Mingrélie, la Svanéthie et l´Adjarie. Nous raviverons ainsi les sentiments provinciaux et nationaux entre eux.

Nous devons dresser la Géorgie Occidentale contre la Géorgie Orientale et jouer le rôle de conciliateurs.

Nous devons simultanément persuader scientifiquement les Géorgiens qu´ils sont issus de pays divers et qu´ils sont les représentants de diverses nations ce qui nous donnera la possiblité de les chasser définitivement du territoire géorgien".

42685

---

„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## პატივი-ვცეთ ჩვენს პრეზიდენტებს!

### ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა მთაწმინდაზე და ჩვენი ჩაფიქრება

I.

ზვიად გამსახურდია, საქართველოს პრეზიდენტი 1991-1992 წლებში, ჭირისუფლების, ქართველი ერისა და ბერის სურვილის შესაბამისად, 2007 წლის 31 მარტს, დაკრძალულ იქნა საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, თბილისში, მთაწმიდაზე, თავისი"ქრისტესმიერი ძმის" მერაბ კოსტავას გვერდით.

II.

ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო ბევრი დაიწერება; ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ – როგორც საქართველოს მასობრივი მედიუმები იტყობინებოდენ – ზვიად გამსახურდიას ნეშტი, 13 წლის უცხო მიწაზე ეულად ყოფნის შემდეგ, 2007 წლის 27 მარტს როსტოვიდან ლარსში, ლარსიდან კი თბილისში ჩამოასვენეს; სამების საკათედრო ტაძარში დაასვენეს; შემდეგ კი თბილისში "კოლხურ კოშკში" დაასვენეს. გვაცნობებენ აგრეთვე, რომ მცხეთაში სამძიმარზე მობრძანდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეუღლითურთ; და როცა ზვიად გამსახურდიას ნეშტი საქართველოს პარლამენტის წინ დაუსვენებიათ, საქართველოს პრეზიდენტი იქაც გამოსულა და პატივი უცია ყოფილი პრეზიდენტისათვის. (ის. ფოტოსურათი, რასაც აქვე ვაქვეყნებთ).

III.

როგორც ცნობილია, ზვიად განსახურდიას ხელმძღვანელობით, 1991 წლის 31 მარტს, მისი დაბადების დღეს, ჩატარდა საერთო სახალხო რეფერენდუმი, რომლის კითხვაზე: გსურთ თქვენ საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგეს საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, – ხალხის დიდმა უმრავლესობამ უპასუხა: "დიახ!", რასაც მოყვა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს, ხოლო 1991 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევა.

IV.

ამის შედეგია ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვისას მთაწმინდაზე, საქართველოს დემოკრატული რესპუბლიის შინდისფერი დროშები და საქართველოს მაშინდელი გერბი – თეთრი გიორგი შვიდი მნათობით – მოჩანდა, მაგრამ აჟღერდა საქართველოს ახალი სახელმწიფო ჰიმნი "თავისუფლება". სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II. კი ერისა და ბერის წინაშე, ლოცვა-კურთხევა აღავლინა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

V.

### და აქვე ჩვენი ჩაფიქრება:

როგორ უნდა განვმარტოთ ის ფაქტი, რომ ზვიად განსახურდიას დაკრძალვა მთაწმინდაზე, მორიდებით რომ ვთქვათ, ასე "მოკრძალებით" ჩატარდა?..

რატომ არ გაისმა "არსად ხმა, არსად ძახილი!" ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტისა, თუმცა "აჟანს-ფრანს-პრესის" სააგენტო იტყობინებოდა, რომ "მიხეილ სააკაშვილმა პატივი-სცა გამსახურდიას ამ მოსაგონარ ცერემონიაზე"?!..

VI.

მაგრამ საქმე მარტო ზვიად გამსახურდიას არ ეხება!..

რით აიხსნება, — ისევ "მოკრძალებით" რომ ვთქვათ, — ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მიერ — ნოე ჟორდანია — საქართველოს რესპუბლიკური ხანის პირველი პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში, საქართველოს რესპუბლიკური ხანის ფუძემდებელი, რომლის ჩირაღდანია 1918 წლის 26 მაისი — ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის დღე, ხუთსაუკუნოვანი დაქუცმაცებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემდეგ, — თითქმის მთლიანად მივიწყებულია?..

VII.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნოე ჟორდანიას "ოქროს თაობის" მიერ შექმნილი "პატარა ოქროს ხანაც" - 1918-1921 წლები — თითქმის მივიწყებულია?..

VIII.

თითქმის მივიწყებულია აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის — რესპუბლიკური, ლაიცისტური სამაგალითო სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც სამაგალითო გახდა საერთაშორისო მასშტაბითაც, როცა "მესამედასელებმა", 1893 წლის 7(20) თებერვალს, — აშშ-ს 1776 წლის 4 ივლისის კოლონიური ბატონობიდან განთავისუფლების "დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789 წლის 14 ივლისის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" ჰუმანიტარული იდეები — ეროვნულად და სოციალურად გააპოხიერეს მრწამსით: "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა"?..

VIII.

რით აიხსნება ის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობით დემოკრატიული გზით არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს 1993-2004 წლებში — ედუარდ შევარდნაძეს, — მიუხედავათ მისი მრავალწახნაგოვანი, მრავალფეროვანი, მრავალფენოვანი წარსულისა, — საქართველოს ხელმძღანელობა თითქმის დუმილით უვლით გვერდს?..

IX.

რით აიხსნება ის ფაქტიც, რომ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი — მეხეილ სააკაშვილი — თითქოს 1918-1921 და 1991-2004 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტების — ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის განმგრძობი პრეზიდენტი კი არ არის, არამედ ე.წ-ლი "ვარდების რევოლუციის" უმანკო შვილი?.

X.

როდის გავხდებით ჩვენ, ქართველობა, საქართველოს მთელი მოსახლეობა ევროპიელები იმ მხრივაც, რომ არა სიტყვით, არამედ საქმით აღვიქმავთ ევროპიული დემოკრატიული მრწამსიც: პატივი-ვცეთ საქართველოს ყოფილ ყველა პრეზიდენტებს და ამით ათასობით მათ მიმდერებსაც?..

XI.

და ჩვენ მხოლოდ ამგვარი რწმენით არ გვსურდა ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა თბილისში, მთაწმინდაზე, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაფერი ასახვა, თუნცა მისი პიროვნება სცილდება პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრება—მოღვაწეობის საზღვრებს?..

XII.

ზვიად გამსახურდია — საქართველოს რესპუბლიკური ხანის მეორე პრეზიდენტი 1991-1992 წლებში, — არის "თეთრი გიორგისეული", "ოქროს საწმისისეული", პროტო-იბერიული, ელინისტურ-რენესანსული და მათზე აღმოცენებული "წმინდა გრალის თასის" სულიერ-ხორციელი შეჯამება, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ, ვერ ეტევა პოლიტიკის, პოლიტიკური მოღვაწის თანამედროვე ცნებაში — თუ ჩვენ პოლიტიკას შესაძლებლობის ხელოვნებად მივიჩნევთ, რომლის მიზანია საჭირო შესაძლებელი გახადო!..

XII.

ზვიად გამსახურდიას სულიერ—ხორციელი "მე"-ობის ჭეშმარიტი ამსაველი კი არის — მერაბ კოსტავა, რომელიც "ქრისტესმიერ მეგობარ ზვიადს" ასე მიმართავს:

"შენი სამშობლო არის სულეთი
სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა,
დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი,
მამის წინეშე იყავი წმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე, გუარაულეს ვარსკვლავთ კრებული
და მიქაელის ცეცხლის მახვილი,
დაე, ღირსად გცნონ, იქნა ვნებული,
წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ზადის
შენი ტანია თვით ეკლესია,
სცან ღალადისი, ეგა ვანიმზადე,
ღელამიწაზე დადის მესია!"

XIII.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

XIV.

მაშ, პატივი-ვცეთ საქართველოს რესპუბლიკური ხანის ყველა პრეზიდენტს, პრეზიდენტებს!..

XV.

რა თქმა უნდა, კრიტიკა, კონსტრუქციული კრიტიკა უცილობლო შემადგენელი ნაწილია პოზიცია–ოპოზიციის ჭიდილისა და ამით დემოკრატიისა; მაგრამ აქაც არ უნდა მივივიწყოთ შოთას სიბრძნე: "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების."

კარლო ინასარიძე
ლევილი, 2007 წლის 31 მარტი

# Les Géorgiens enterrent leur ancien président mort en 1993



TBILISSI (Reuters) - Le premier président de la Géorgie post-soviétique, Zviad Gamsakhourdia, décédé il y a 13 ans, a été enterré dimanche à Tbilissi au côté de plusieurs grandes figures de l'histoire géorgienne lors de funérailles nationales qui ont attiré des milliers de personnes.

Sa dépouille avait été rapatriée de Russie la semaine dernière pour être inhumée pour la quatrième fois.

Gamsakhourdia avait pris le pouvoir après avoir remporté en octobre 1990 les législatives géorgiennes, premières élections libres et démocratiques organisées sur le territoire de l'Union soviétique. Il avait ensuite été élu à la présidence en mai 1991.

Pendant son bref exercice du pouvoir, entre 1990 et 1991, la Géorgie a connu le chaos, la guerre

ეროვნული ბიბლიოთეკა

civile et la partition de deux de ses régions pro-russes: l'Abkhazie et l'Ossétie du Sud. Gamsakhourdia fut renversé en décembre 1991 par un soulèvement de milices paramilitaires qui mena au pouvoir l'ancien ministre soviétique des Affaires étrangères, Edouard Chevardnadze.

Malgré un bilan contesté, l'actuel président, Mikhaïl Saakachvili, a salué en Gamsakhourdia le chef d'Etat et le patriote, et autorisé ses funérailles en Géorgie.

Dimanche, la procession funéraire est partie de la cathédrale de Mtskheta, l'ancienne capitale géorgienne, pour Tbilissi, à 25 kilomètres.

Des milliers de Géorgiens portant des fleurs, des portraits du défunt, ont accompagné le cercueil qui, avant d'être enterré, a été placé devant le parlement géorgien, dans le centre de Tbilissi.

Certains tentaient de toucher le cercueil recouvert d'un drapeau géorgien. La foule scandait le prénom du défunt, couvrant même la voix de Saakachvili lorsque celui-ci a pris la parole.

Fils d'un grand écrivain géorgien, Gamsakhourdia est mort à 54 ans en décembre 1993 dans des circonstances mystérieuses dans l'ouest de la Géorgie. Certains évoquent un suicide. Les membres de sa famille ont refusé d'autoriser une nouvelle autopsie de son corps après son retour de Russie.

Il a été inhumé dans cette région. Son épouse a ensuite emmené son corps en Tchétchénie, où il a été enterré, mais son cercueil a disparu. Sa dernière tombe a été découverte au début du mois dans les ruines de Grozny.

Par Margarita Antidze

---

## სოჭი და პუტინი

---

I.

გერმანელი პუბლიცისტი დანიელ ბროესლერი ქალაქ სოჭიდან, ე.ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ ქალაქიდან, რომელიც რუსეთმა დაიპყრო 1921 წელს, — იტყობინება, რომ რუსეთის პრეზიდენტს – ვლადიმერ პუტინს – სურს მომავალი საზამთრო ოლომპიადა 2014 წელს, სოჭში გაიმართოს. ამისათვის პუტინს მიუწვევია სოჭში შესაბამისი საზამთრო ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები სოჭისა და მისი რეგიონის დასათვალიერებლად.

II.

და, აქ უკვე აღწერილია ამ შესანიშნავი უძველესი ქართული მიწაწყლის გეოგრაფიული სიმშვენიერე: რომ ეს რეგიონი მდებარეობს 1448 მეტრის სიმაღლეზე, რაც წინაპირობაა იმისა, რომ თოვლი გარანტირებულია.

III.

თვით ვლადიმერ პუტინიც დაესწრო საზამთრო ოლიმპიური თამაშების ადგილის ასარჩევი კომისიის შემადგენლობის თათბირს, რომლის დროს ყურადღების ცენტრში იდგა, პუტინის გვერდით, ავსტრიელი "თხილამურების ლეგენდა" — კარლ შვარცი —, რომელიც პუტინს ეხმარება ქალაქ სოჭის პოპულარიზაციის საქმეში, თუმცა იგი უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან 2014 წლის საზამთრო ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი კანდიდატია აგრეთვე, — სოჭისა და პიონმინაგის(სამხრეთი კორეა) გვერდით, — ავსტრიის ქალაქი ზალცბურგი.

IV.

ვლადიმერ პუტინმა სიმწუხრით-არეული სინანულით განაცხადა: "რუსეთი არის მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, მაგრამ იგი მდებარობს უმთავრესად ჩრდილოეთში. ჩვენ არ გაგვაჩნია ბევრი ისეთი ტერიტორია, როგორიც გვაქვს შავ ზღვასთან... აქ დაბლა კლიმატიური პირობები სუბტროპიკულია, მაგრამ მაღლა გაგვაჩნია მთები და თოვლიო".

V.

საღამოს კი სოჭის ძვირფასს სანატორიუმში —"რუს"-ში — გამართულ მიღებაზე, რუსეთის ფინანსების მინისტრმა – გერმანე გრეფმა – განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშებისათვის დასაფინანსებლად, გამოყოფილია 314 მილიარდი რუბლი, ე.ი. 9,1 მილიარდი ევრო.

VI.

ჩვენ არ ვიცით თუ რა ზეგავლენა მოახდინა ვლადიმერ პუტინის ამგვარმა რეკლამამ 2014 წლის საზამთრო ოლიმპიური თამაშების ამრჩევი კომისიის წევრებზე, მაგრამ ამ შენიშვნას მაინც ვწერთ, რომ ვთქვათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთისათვის ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი 2014 წლის საზამთრო ოლიმპიური თამაშები საქართველოს აწ უკვე ყოფილ ქალაქ სოჭში კი არა, ჩეჩნების დედაქალაქ გროზნოში გამართოს, თუმცა ახლა გროზნოს თვით ჩეჩნები ქალაქ "დუდაევს" უწოდებენ?!..

VII.

ვითომ უადგილოა ამგვარი მწარე შენიშვნა ისეთ კეთილშობილ საერთა-შორისო მოვლენაზე, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები?..

VIII.

მაგრამ, ამ ჩემ "მწარე" შენიშვნამ მიიღო სხვა განზომილება, როცა გავეცანი გერმანელი პუბლიცისტების –ერიც ფოლატისა და მათიას შეპის ცნობას "გაზპრომის" – "პუტინის საუკეთესო იარაღის" შესახებ ("შპ.", 10/2007, გვ.137), და ჩვენი, საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის – ინტერვიუს გაზეთ "ნოვიე იზვესტიას" (1.3.2007 წელი) ფურცლებზე.

IX.

"ქალაქი, რომელშიც ზამთარი არ არსებობს", – ასე ცდილობდა რუსეთი ტურისტების მიზიდვას ამ ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპირო, სუბტროპიკული კლიმატიური პირობების ქალაქში, რომელშიც ცხოვრობს 320-ათასი კაცი. ეს ქალაქი – სოჭი – დაიპყრო ბოლშევიკურმა რუსეთმა, როგორც აღვნიშნეთ, – 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დამთავრების შემდეგ. მაგრამ ახლა საჭირო გახდა სოჭის იმეჯის შეცვლა, რომ იგი გასაღებულ იქნას, არა როგორც ქალაქი, რომელშიც ზამთარი არ არსებობს, არამედ ქალაქი, რომელიც – ვლადიმერ პუტინის აზრით –სწორედ 2014 წლის საზამთრო ოლიმპიური თამაშებისათვის არის იდეალური რეგიონი.

X.

და, ჩვენი განცვიფრება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჩვენი, საქართველოს პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილიც – იზიარებს ვლადიმერ პუტინის აღნიშნულ აზრს, რომ საზამთრო ოლიმპიური თამაშები 2014 წელს ჩატარდეს სოჭის რეგიონში:

"ჩვენ ძალზე გვსურს, რომ ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა გაიმართოს სოჭში, რადგან იგი მიიპყრობდა მსოფლიოს ყურადღებას კავკასიის რეგიონს, შეუწყობდა ხელს მის განვითარებას, აქ მცხოვრებ ხალხებს შორის კონტაქტების დამყარებას, ნდობის და, შესაბამისად – სტაბილურობის განმტკიცებას".

XI.

ვითომ ყველაფერი ეს შესაძლებელია, სანამ რუსეთი ხელს არ აიღებს მის პოსტბოლშევიკური იმპერიული ზრახვების გარხორციელებაზე –საქართველოთ რომ შემოვიფარგლოთ – ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში?..

XII.

ვითომ ვლადიმერ პუტინს მართლა სჯერა, რომ რუსეთი კავკასიის სახელმწიფოა?.. და რუსეთს მაინც-და-მაინც თუ სურს 2014 წლის საზამთრო ოლიმპიური თამაშების რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე ჩაატაროს, ვითომ მას გაუჭირდება შესაბამისი მთიანი რეგიონის არჩევა ურალის მთებში?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2007 წლის 15 მაისი

## რა გააკეთე საქართველოსთვის?..

---

"გიყვარდეს ლექსი გულის მხილველად,
აპრილის სუნთქვა, შრომა მკათათვის.
ყოველ დღე ჰკითხე შენს თავს პირველად:
– რა გააკეთე სამშობლოსათვის?"

იოსებ გრიშაშვილი, 1949 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო უშიშრეობის კონფერენცია მიუნხენში და საქართველო

I.

"მსოფლიო უშიშრეობის კონფერენცია მიუნხენში და საქართველო", – ასეთ (შეუსაბამო?) სათაურს ვაძლევ ამ ცნობას, რადგან საქართველო, მსოფლიო უშიშროობის პრობლემათა შორის, მხოლოდ მცირე არეა, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი, რადგან საქართველო მსოფლიო უშიშროების ჯაჭვის ერთი რგოლი ხდება , არა მარტო ბაქო-კეიჰანის ნავთობის მილის გასყვანის გამო საქართველოს ტერიტორიაზე.

II.

და, სწორედ მიუნხენის უშიშრობის კინფერენციამ 2007 წლის 9, 10 და 11 თებერვალს, განიხილა უშიშრეობის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა "მშვიდობიანობა ახლო აღმოსავლეთში", "რუსეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში", "ნატო გლობალური გამოწვევის ხანაში", "უშიშრეობა შუა-ამოსავლეთში" თუ "ტრანსატლნატური ურთიერთობანი 21-ე საუკუნეში".

III.

სიტყვა წარმოსთქვა რუსეთის, აშშ-ს, გემანიის, ისრაელის თუ პაკისტანის წარმომადგენლებმა, რომელთაგან განსაკუთრებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი – სერგეი ივანოვი და აშშ-ს სენატორი ჯონ მაკ-კეინი შეეხო საქართველოს როლს მსოფლიო უშიშროების სფეროში.

სერგეი ივანოვი, შეეხო რა უკრაინისა და საქართველოს შესაძლებელ დაკავშირებას ნატოსთან, - სხვათაშორის, თქვა:

"ბჭობა, რომელიც მიმართულია უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებისაკენ, ვერ ზრდის ვერც ამ რეგიონის და ვერც რუსეთის უშიშროებას".

"განსაკუთრებით გაუგებარია აშშ-ს განზრახვა რაკეტების თავდაცვის ბაზები შექმნას აღმოსავლეთ ეროპის ქვეყნებში".

IV.

სერგეი ივანოვის საკმარისად მწვავე სიტყვის საპასუხოთ, აშშ-ს საკმარისად მწვავე პასუხი გასცა სენატორმა ჯონ მაკ-კეინმა, რომელმაც თქვა:

"რუსეთის პროვოკაციული თამაში საშიშია დასავლეთ ევროპისათვის".

"რუსეთის მთავრობის ავტორიტატული სტილი გამოწვევაა დასავლეთის სახელმწიფოთა ერთობისათვის. რუსეთი ინსტრუმენტად იყენებს მის ნედლმასალას მისი მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნებისათვის. ჩვენ ნათლად უნდა ვუთხრათ კრემლს, რომ მას შეუძლია ნამდვილი პარტნიორობა შექმნას დასავლეთთან, თუ მისი მოქმედება ქვეყნის შიგნით და გარეთ ევროატლანტიკური დემოკრატიის ფასოვანებას არ ეწინააღმდეგება."

"განუწყვეტელი კონფლიქტები შავიზღვის რეგიონში, საბოლაო ჯამში, ემუქრება უკრაინის, მოლდავეთის, საქართველოოს, აზერბაიჯანის, სომხეთის სტაბილურობას და ამით ევროპის სტაბილ-ურობასაც. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 15-ტ წელწადზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ არც ერთი ეს კონფლიქტი... არ მოგვარებულა. სინამდვილეში არსებობს ნიშნები რემილიტარიზაციისა ტრანსისტრიაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და კარაბახში. ამასგარდა რუსეთი გარედან ამწვავებს ეთნიკურ დაძაბულობასა და სეპარატისტულ ტენდენციებს, რის შედაგად კრემლმა ეს კონფლიქტები შეინარჩუნა, მისი პროვოკაციული და ცინიკური მოქმედებით."

"საქართველოს განვითარება არის ერთი ნიშანდობრივი წარმატება. ჩვენ უნდა დავპატიჟოთ ეს ქვეყანა, რომ მონაწილეობა მიიღოს ნატოს-გაწევრიანების სამოქმედო პროგრამაში".

V.

და ამ დროს მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არაჩვეულებრივი სიმწვავით თავს დაესხა აშშ-ს და ბრალი დადო მას "თითქმის ყველა სფეროში საზღვის გარდალახვაში".

VI.

იმ დროს, როცა მიუნხენის უშიშროების კონფერენციის მრავალმა მომხსენებელმა პუტინის მწვავე თავდასხმას ამერიკის პოლიტიკისადმი თავშეკავებულობა გამოიჩინეს, სენატორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ მაკ-კეინმა ისევ ღია კრიტიკის გზა აირჩია: რუსეთმა უნდა გააკეთოს არჩევანი: ეწინააღმდეგება იგი დასავლური დემოკრატიის გზას თუ ცდილობს შეეგუოს დასავლურ ფასოვანებასა და წესრიგს.

VII.

გერმანელი კომენტატორი დანიელ ბროესლერი პუტინის ამ თავდასხმას ამერიკისადმი უწოდებს "მოჩვენებით ტკივილებს", რაც, როგორც ჩანს, თან ახლავს "დიდმპყრობელურ იმპერიალიზმს": დიდბრიტანეთმა თუ თურქეთმა, ცდილობდენ და ცდილობენ გადარდალახონ ეს დიდმპყობელურ-შოვინისტური წარსული, რუსეთი ახლაც ოცნებობს მეფის თუ საჭოთა რუსეთის იმპერიის აღდგენაზე, რის არაპირდაპირ ტამოვლინებაა ვლადიმირ პუტინის სიტყვა მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე. ამის შესახებ მოსკოვის გაზეთი "კომერსანტი", სხვათაშორის, წერს:

VIII.

"პრეზიდენტ პუტინის გამოსვლა მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე იყო მეტად აგრესიული აშშ-სა და ნატოს მიმართ. თითქოს ჩანდა, რომ ვლადიმერ პუტინს აკლდა ის ცნობილი ფეხსაცმელი, რომელსაც ნიკიტა ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების სხდომაზე მაგიდაზე ურტყამდა. ეს იყო ერთი ისტორიული მოვლენა. სიტყვის დასასრულს ნათელი გახდა, რომ პუტინსა და მის მსმენელებს შორის დაეშვა ფარდა. ეს იყო რკინის ფარდა".

IX.

ბულგარული გაზეთი "დნევნიკ", რომელიც გამოდის სოფიაში, წერს:
"კრემლის ახლანდელი სტრატეგია არის რკინა გამოჭედო, სანამ ცხელია, ე.ი. ევროპა მისი ენერგიის ერთი-მეხუთედი რუსეთის გაზზეა დამოკიდებული. ეს ერთი-მეხუთედი ცოტა არ არის, მაგრამ ეს არ არს საშიშროება თუ ეს საკითხი გეოპოლიტიკურ ხასიათს მიიღებს."

X.

და ამ კონფლიქტთა მორევშია ჩაფლული საქართველოც, რომლის ბედიღბალი, მეტ-ნაკლებად, რუსეთზეც არის დამოკიდებული, რომელიც ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლი დღესაც ბატონობს. ღოგორც ჩანს, ვლამიმერ პუტინის რუსეთიც ვერ თავისუფლდება მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის აწ უკვე დრომოჭმულ იმპერიულ ილუზიებიდან არა მარტო საქართველოს მიმართ.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2007 წლის 28 თებერვალი.

## მრავალშვილიანობა ბედნიერებაა ღარიბთათვისაც!..

---

ისევ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გამო

---

I.

ქართველთია დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში "კრიტიკულ ზღვარს გასცდა", წერს 2007 წლის 18 იანვრის გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა"; და მოყავს უახლესი სტატისტიკური ცნობა: "სულ მალე, წერს გაზეთი, მოკვდაობის მაჩვენებელი შობადობისას 7-8 პროცენტით გაუსწრებს".

II.

ძირითადი მიზეზი, რაც მცირეშვილიანობას განაპირობებს, ეკონომიკური პირობები ყოფილა. რუსეთში უარესი მდგომარეობა ყოფილა, მაგრამ ხელისუფლებას დაუწესებია მშობლების წასახალისებლად, ღედა მეორე და მესამე შვილზე 10-ათას დოლარს ღებულობს.

III.

საქართველოში კი ახლა შეუმუშავებიათ კონცეპცია, რომლის თანახმად საჭიროა საოჯახო პოლიტიკის გატარება, რომლის თანახმად მრავალშვილიანი ოჯახები –
– ჩართულ იქნებიან ბისნესში;
– ახალგაზრდობაზე გამოიყოფა მიწის ნაკვეთები თუ სამოსახლეობი;
– ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის შესყიდულ იქნება საქონელი.

IV.

ეს კონცეპცია პირველ რიგში უნდა განხორციელდეს დეპოპულაციის მქონე რეგიონებში; და ასეთი რეგიონები თითქმის საქართველოს ყველა რეგიონი ყოფილა.

V.

ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში მართლაც დემოგრაფიული კატასტროფული მდგომარეობაა ლიდმპყრობელ-შოვინისტების "სუსლოვის სულის" გაბატონების შედეგად, რაც აფხაზეთსა და შიდა ქართლში "რუსი-დერჟიმორდების" წყალობით ტარდება ცხოვრებაში; ამის თვალსაჩინო მაგალითია, თუ გნებავთ, ჩვენი აფხაეზთის დემოგრაფიული მდგომარეობა: სომხურ მედიაკლუბს ჩაუტარებია წინასაარჩევნო სოციოლოგიური კვლევა, რომლის თანახმა აფხაზეთში ამჟამად მოსახლეობის 63 პროცენტი აფხაზია, 41 პროცენტი სომეხი, 13 პროცენტი რუსი და 0,8 პროცენტი ბერძენი "და სხვა დანარჩენი", როგორც ამ გამოკითხვაშია ნათქვამი.

VI.

ეს "დანარჩენები" იყო, სანამ რუსეთი დაიპყრობდა სოხუმს 1993 წლის 27 სექტემბერს, ჩვენი აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი!.. და დღეს "სომხური მედიაკლუბი"აფხაზეთის მოსახლეობის "დანარჩენებშიც" კი არ აღნიშნავს ქართველობას, რაც გვიბიძგებს მომდევნო კითხისაკენ: საიდან დასახლდენ ჩვენს აფხაზეთში ამდენი სომხობა, რომლებმაც "ბაგრამიანის" ბატალიონებიც კი შექმნეს აფხაზეთში და იარაღით ხელში იბრძოდენ საქართველოს გარდაუვალი ინტერესების წინააღმდეგ "დერჟიმორდემთან" ერთად, რასაც მოყვა არა მარტო ქართველთა გენოციდი, არამედ ქართველთა განდევნა ჩვენი აფხაზეთიდან, თუმცა ქართველობა ამჯერად მხოლოდ კოდორის ხეობაში დგას საქართველოს ტერიტორიულ მთლანობის სადარაჯოზე, რაც, გვჯერა, მალე "დერჟიმორდების" დასასრულს მოასწავებს.

VII.

ამგვარად, "დერჟიმორდების" ხანა აფხაზეთში და შიდა ქართლში დასასრულს უახლოვდება და იგი ისევე აღიგვება მიწისაგან პირისა, როგორც კი გაქრემა მსოფლიო რუკიდან ყოველი ჯურის იმპერიალიზმი – რუსი "დერჟიმორდების" ჩათვლით, რომელც დღეს ამუსრუჭემს საქართველოს დემოგრაფიულ ნორმალურ განვითარებასაც.

VIII.

მაგრამ ჩვენ, ქართველობამ მრავალშვილიანობა, რუსების მსგავსად, მხოლოდ ფულს არ უნდა დავუკავშიროთ: განა სასურველია ისეთი მშობლების შვილი იყო, რომლებმაც იმიტომ გამაჩინეს ამ ქვეყანაზე, რომ ათიათასი დოლარი მიიღეს?!.. სად არის მორალი?!.. სად არის შვილთა და მშობელთა ბუნებითბოძებული ღვთიური უსაზღვრო სიყვარული?!..

IX.

მრავალშვილიანობა ბედნიერებაა ღარიბთათვისაც, რადგან არსებითი ბედნიერება ამ ქვეყანაზე არის ცოლ-ქმრობა, შვილები, ოჯახი, გვარი, ტომი, ერი, და ეს ჩვენ ქართველებს არასოდეს არ დაგვიწყებია; და განა ახლა უნდა დავივიწყოთ?..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2007 წლის 14 თებერვალი
წმინდა ვალენტინის დღე

## მოსკოვის მარიონეტი გროზნოში

I.

ოცდა-ათი წლის – რამსან კადიროვი – არის შვილი ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის – აჰმად კადიროვისა, რომელიც 2004 წელში მოკლულ იქნა და ახლა "აირჩიეს" ჩეჩნეთის პრეზიდენტად, რადგან 30 წლის შესრულებამდე მისი პრეზიდენტად არჩევა კანონით არ შეიძლებოდა.

II.

და ეს 30 წლის რამსან კადიროვი არის რუსეთის პრეზიდენთის მარიონეტი ჩეჩნეთში, რომელიც კომანდირია რამდენიმე ათასი კაცისაგან შედგენილი ჯარის დანაყოფისა, რომელიც უმთავრესად ჩეჩენ ყოფილ პარტიზანებისაგან შესდგება და, ახლა, გაუთავებელი ომით განაწამებ ჩეჩნებს ტერორის ქვეშ ამყოფებს.

III.

ამიტომაა, რომ ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები რამსან კადოროვს ბრალს დებენ უამრავ სისხლის სამართლის დანაშაულში, ადამიანების გატაცებასა და წამებაში, და მის დასჯას მოითხოვენ.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა წარმომადგენელმა — თომას ჰამარბერგმა, მაგალითად, კადიროვი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი იყენებს წამებას დაკავებულთა წინააღმდეგ სატუსაღოებში. ჩეჩნეთში არსებობს "მთელი სკალა კანონების დარღვევისა ადამიანების მიმართ, რომლებიც სადღაც დაპატიმრებულია".

IV.

მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარემ — ლიუდმილა ალექსეიევამ — კი ბოიკოტი გამოუცხადა კონფერენციას, რომელიც მოიწვიეს ქალაქ გროზნოში რუსეთის ადამიანის უფლებების დაჯგუფებების ეგიდით. "კადიროვი პასუხისმგებელია უამრავი უდანაშაულო ადამიანების გაქრობაში, რომელთა წამების ნიშნებიანი ცხედრები შემდეგ იპოვეს"; ამიტომ ეს კონფერენცია მოჩვენებითია მისი ჩეჩნეთის პრეზიდენტად არჩევის ლეგიტიმაციის მიზნით", — თქვა ალექსეიევამ.

V.

მოსკოვი კი მხარს უჭერს ჩეჩნეთის ახალ პრეზიდენტს იმიტომაც, რომ პუტინი ფიქრობს კადიროვმა შეიძლება შეძლოს განსაზღვრული სტაბილურობას მიაღწიოს ჩეჩნეთში, რადგან ერთ წელიწადში რუსეთში უნდა ჩატარდეს რუსეთის პრეზიდენტი არჩევნები.
მაგრამ პოლიტოლოგი სერგეი მარკედონივი აზრით, კადიროვს შეუძლია აგრეთვე მეტი ფულადი სახსრების მოთხოვნა კრემლისაგან იმისათვის, რომ რუსეთის ბატონობის ქვეშ დარჩეს.

VI.

მაგრამ, მიუხედავათ მოსკოვის მარიონეტ ხადიროვის ფარფაშისა ჩეჩნეთში, თითქმის ყოველ კვირაში ადგილი აქვს შეტაკებებს რუს ჯარისკაცებსა და ჩეჩენ პარტიზანებს შორის, რასაც ბოლო არ უჩანს, — წერს გერმანელი კომენტატორი ნიენი.

კ.ი.—ნიენი(4.3.2007 წელი).

## ვლადიმერ პუტინი — "წმინდა დემოკრატი?.."

I.

ვლადიმერ პუტინს, გერმანიის ბუნდესკანცლერმა გერჰარდ შროედერმა ერთხელ უწოდა "წმინდა დემოკრატი" = "Lupemreiner Demokrat". ვითომ ეს სინამდვილეს შეესაბამება?..

II.

11 მარტს, 2007 წელს, რუსეთში ჩატარდა რეგიონალური არჩევნები, რომელშიც ყველა 14-ტ საარჩევნო რეგიონში — არც ერთი დემოკრატიული პარტია არ ყოფილა წარდგენილი. სამაგიეროდ პუტინის მომხრე "ერთიანი რუსეთის" და "სამართლიანი რუსეთის" პარტიები, ისე როგორც კომუნისტური პარტია და შოვინისტური ლიბერალდემოკრატიული პარტია — გამარჯვებულებია; - ასე რომ, "წმინდა დემოკრატიასთან" შორსაა რუსეთის ეს რეგიონალური არჩევნები.

III.

"ჩვენ მივილტვით ახალი სოციალისტური პერსპექტივისაკენ. საჭირო არ არის შემდგომი დადასტურება იმისა, რომ ლიბერალირი საბაზრო მეურნეობის შესაძლებლობანი ამოწურულია", — ამბობს 54 წლის ასაკის სერგეი მირონოვი, რომელიცაა სრულიად ახალი — "სამართლიანი რუსეთის" — პარტიისა და რუსეთის პარლამენტის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე და ვლადიმერ პუტინის მონამორჩილი.

IV.

ვინაიდან ვლადიმერ პუტინს, კონსტიტუციის შესაბამისად, მესამეჯერ არ შეუძლია მისი კანდიდატურის წამოყენება რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე, უკვე არსებობს ორი პოტენციური მემკვიდრე: რუსეთის ვიცე-პრემიერმინისტრი დიმიტრი მედვედევი და რუსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ახლანდელი ვიცე—პრემიერმინისტრი — სერგეი ივანოვი. "პუტინი გაყოფილია ორად", — ამბობს იუმორისტულად რუსული ჟურნალი "პროფილი", რომელიც წერს, რომ ივანოვს "მიმინოს", ხოლო მედვედევს — "ლიბერალის" იმიჯი გააჩნია.

V.

და ოპოზიციური პარტიები? – ყველაზე უფრო ტრადიციულია "იაბლოკო–პარტია", რომლის თავმჯდომარეა გრიგორი იაველინსკი, რომელმაც 2003 წლის დუმას-არჩევნებში ვერ დარღალახა ხუთ-პროცენტიანი ლიმიტი. აღსანიშნავია აგრეთვე შახმატის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის – გარი კასპაროვის მცდელობა შეექმნა "მემარჯვენეთა ძალებით" საბაზრო მეურნეობისაკენ ორიეტირებული კავშირი – "სხვა რუსეთი", – რაც მარცხით დამთავრდა.

VI.

ამდენათ, ბჭობა რუსეთის ადგილობრივი და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ მსოფლიო მასობრივ მედიუმებში გრძელდება; და თუ 2008 წელში დემოკრატიულად არჩეულ იქნება პუტინის მემკვიდრე, ეს იქნება, როგორც კომენტატორები წერენ, "ისეთი რამ, რაც რუსეთის ისტორიაში არასოდეს არ მომხდარა".

VII.

ვინ იცის? – შეიძლება "სავლე გახდეს პავლე" და ვლადიმერ პუტინი მართლაც იქცეს "წმინდა დამოკრატად?.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2007 წლის 12 თებერვალი

## საქართველოში "ოპიუმის ომია"?..

---

I.

"ოპიუმის ომია" საქართველოში? – ასეთი ასოციაცია გამოიწვია ჩვენში ზაზა ბილიხოძის ცნობამ "ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიის ბუმია" ("ს.რ.", 4.4.2007 წელი), თუმცა "ოპიუმის ომსა" და "ნარკომარიის ბუმს" შორის დიდი განსხვავებაა!.. "ოპიუმის ომად იწოდება, როგორც ისტორია გვეუბნება, ინგლის-ჩინეთის 1840-1842 წლების ომი, როცა ჩინეთის მთავრობამ 1839 წელს შეეცადა ოპიუმის შეტანა ჩინეთში აეკრძალა, რამაც გამოიწვია ინგლის-ჩინეთის "ოპიუმის ომი", რის შედეგად ინგლისის ძლიერმა საზღვაო ფლოტმა აიძულა ჩინეთი ხელი მოეწერა 1842 წელს "ნანკინის საზავო ხელშეკრულებისათვის".

II.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დღეს, როცა ზაზა ბილიხოძე წერს, რომ "საქართველოში ნარკომანიის ბუმია"("ს.რ"., 4.4.2007 წელი), ვინმე აიძულებდეს საქათველოს ნარკოტიკები შემოიტანოს საქართველოში; თუმცა "არაოფიციალური მონაცემებით, ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობამ საქართველოში 350-ათას გადააჭარბა".

III.

გერმანელი პუბლიცისტი – დანიელ ბროესლერი კი წერს, რომ "საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება დრამატულად; მთავარი ნარკოტიკა არის ევროპის კავშირიდან არაოფიციალურად შემოტანილი დამხმარე მედიკამენტი" – "ზუბუტექს"="Subutex", რომელიც გერმანიაში 2000 წლიდან ღიათ ნებადართულია და იყიდება აფთიაქებში. ამასგარდა, "ზუბუტექსი" ადვილად საშოვნელია და უფრო იაფია, ვიდრე ჰეროინი.

IV.

გაეროს ცნობით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 275-ათასი ნარკომანი; ეს კი არის ასტრონომიული ციფრი საქართველოს სულ 4,5 მილიონ მოსახლეობაზე. 2003 წლიდან საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა გაზრდილა 80 პროცენტით.

V.

"ზუბოტექსის" ერთი აბი, რომელიც საქართველოში შავბაზარზე 110 დოლარი ღირს, გერმანიაში ოფიციალურად აფთიაქში იყიდება 82 ცენტად. ამის შედეგია ის, რომ პრაქტიკულად ყოველი ქართველი, რომელიც დასავლეთ ევროპაში ერთ ნახმარ ავტომობილს იყიდის და შეიტანს საქართველოში, საბარგოში მიაქვს "ზუბუტექსი", – ამბობს ნარკოტიკების ექსპერტი ზაზა ბეროზაშვილი.

VI.

ამდენად, ჩვენ, ქართველობა თვითონ ისე ვწამლავთ ჩვენსავე ქართველობას, რომ "ოპიუმის ომი" საერთოდ საჭირო აღარ არის. საქართველოს, ქართველი ერის ყოველი ჯურის მტერს ესაჭიროება მხოლოდ მოთმინება: ჩვენ თვითონ მოვწამლავთ, მოვსპობთ ჩვენს თავს!..

VII.

ასეთი მწარე ირონიული დასკვნისაკენ არ გვიბიძგებს აღნიშული ფაქტები?..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 15.4.2007 წელი

## მთაწმინდის პანთეონი ამჟერად

I.

"Pan-the-on" = "ღმერთთა ანტიკური ტაძარი" = "საპატიო ტაძარი ყველა ხვთაებათა" = ერის, ხალხის საპატიო ტაძარი, ე.ი. პანთეონი, რასაც ჩვენ თბილისში ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდას ვუწოდებთ, სადაც განისვენებენ საქართველოს, ქართველი ერის სახელოვანი შვილები.

II.

და ახლა თუ ვლაპარაკობთ ისევ მთაწმინდის პართეონზე, ეს გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2007 წლის 13 აპრილს გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა მიხეილ ვიგნანსკის ცნობა, რომელშიც ვკითხულობთ":

"დიდი რუსი მწერლის, პოეტის, დრამატურგის და დიპლომატის ალექსანდრე გრიბოედოვის ნეშტი შეიძლება გადაასვენონ თბილისის მთაწმინდის პანთეონის ფარგლებს გარეთ. ეს განაცხადეს გუშინ (12.4.2007) საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებმაც განიხილეს, თუ ვინ და რა დამსახურების გამო შეიძლება დაიკრძალოს პანთეონში.

პარლამენტარები აღიარებენ, რომ გრიბოედოვი, რომლის სახელსაც ატარებს თბილისის რუსული დრამატული თეატრი, გამოჩენილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე იყო. მაგრამ, მათი აზრით, გრიბოედოვი ემსახურებოდა არა საქართველოს, არამედ რუსეთს.

ალექსანდრე გრიბოედოვი დიპლომატიური ხაზით მოხვდა საქართველოში 1822 წელს. ექვსი წლის შემდეგ მან თბილისში ცოლად შეირთო გამოჩენილი ქართველი პოეტის და გენერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ნინო.

პარლამენტართა აზრით, პანთეონიდან უნდა გადაიტანონ ასევე სტალინის დედის ნეშტიც. მთაწმიდაზე სულ 48 საფლავია. ყველაზე ბოლოს იქ დაკრძალეს საქართველოს ექს-პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის ნეშტიც გროზნოდან გადმოასვენეს და აპრილის დამდეგს მიაბარეს მთაწმიდის მიწას".

III.

მთაწმინდა იგივე მამადავითის მთა, 770 მეტრის სიმაღლის პლატოა, სადაც ათონის მთის (საბერძნეთი) "ივერიონის" მონასტრის მიხედვით, მთის აღმოსავლეთ კალთაზე, მეცხრე საუკუნეში, ასურელ მამას – დავით გარეჯელს – სენაკი გამოუქვაბავს; და აქ იდგა ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია; მის ადგილას 1542 წელს აუშენებიათ წმინდა დავითის მონასტერი; ახლამდელი ეკლესია კი აგებულია 1809 წელს; აქვე გაყვანილია ფუნიკულიორი, რომლის აღმოსავლეთის კალთაზე განლაგებულიაა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აღნიშნული მთაწმინდის პანღეონი. ამ მთაზე დგას აგრეთვე ტელევიზიის ანძა.

IV.

და, ახლა, საქართველოს პარლამენტის დეპუტატების აზრით, ალექსანდრე გრიბოედოვი და სტალინის დედა გადასვენებული უნდა იქნან პანთეონის ფარგლებს გარეთ, რაც იმავე ალექსანდრე გრიბოედოვის შესანიშნავ პიესას "ვაი-ჭკუისაგან" მოგვაგონებს, რადგან, როგორც ჩანს, ჩვენი პარლამენტარები – პარლამენტის, საკანონმდებლო სახელმწიფო ორგანოს ფარგლებს შორდებიან და ისტორიული მოვლენების, ფაქტების "შესწორებისაკენაც" კი მიილტვიან!..

V.

ჩვენ არ ვფიქრობთ, არ გვჯერა, რომ – აწ დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი – ამგვარ სრულიად შეუსაბამო გზას დაადგება.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2007 წლის 21 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორის ელცინის გარდაცვალება

I.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 1991–1999 წლებში – ბორის ელცინი – გარდაიცვალა 2007 წლის 23 აპრილს, ორშაბათს, და დაკრძალულ იქნა მოსკოვის სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ რუსეთის ისეთი გამოჩენილი პირები, როგორიც იყვნენ მწერალი მიხეილ ბულგაკოვი, პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი და სხვები, თვით სსრკ-ას უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მეუღლის რაისა გორბაჩოვას ჩათვლით.

II.

რუსეთის ფედერაციის ახლანდელმა პრეზიდენტმა – ვლადიმერ პუტინმა , რომელმაც უშუალოდ ბორის ელცინისაგან მიიღო პრეზიდენტობა, თავის სამგლოვიარო სიტყვაში, სხვათაშორის, თქვა, რომ თითქოს ბორის ელცინმა "...გაუხსნა გზა ადამიანებს თავისი აზრი თავისუფლად გამოეთქვათ, ქვეყნის ხელმძღვანელობა თავისუფლად აერჩიათ და ამავე დროს შემოქმედებითი და წარმოებითი გეგმები განეხორციელებიათ".

III.

რუსეთის პრესამაც სათანადო შეფასენა მისცა ბორის ელცინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლის დროს ხაზგასმითაა აღნიშნული მისი პიროვნების წინააღმდეგობრივობა: "მისი მრწამსის მიხედვით, იგი იყო კომუნისტი, მაგრამ ლიბერალიც. მისი ხელმძღვანელობის სტილით კი – იგი იყო აგრეთვე დემოკრატი. ხალხს უყვარდა და სძულდა იგი".

IV.

მიხეილ გორბაჩოვის აზრით კი ბორის ელცინის "მხრებზე უთუოთ ისე იდვა მძიმე ტვირთი, როგორც დიდი შეცდომები: ტრაგიკული ბედიწერა".

V.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის – ედურდ შევარდნაძის აზრით – ბორის ელცინი იყო რეფორმატორი და დემიკრატი. "ელცინს ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა იგი კომპარტიის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა. იმ დროს ახლო ურთიერთობები გვქონდა... ურთიერთობას ელცინის პრეზიდენტობის დროსაც ვაგრძელებდით. მან ბევრი გააკეთა რუსული სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების გასამყარებლად".

VI.

ჩვენის აზრით კი ბორის ელცინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რუსეთის, ე.ი. სსრკ-ას ესაზღვრო იმპერიის დანგრევა, დაშლა, – ერთი მხრივ –, ხოლო – მეორე მხივ – მას მოყვა, იმავე ელცინისეული, სიცოცხლის უუნარო "დამოუკიდებელ სახელმშიფოთა თანამეგობრობის" შექმნა, და ამით პოსტ-საბჭოური რუსეთის იმპერიის ისევ შექმნის ცდები, რამაც სისხლისღვრის ფორმები მიიღო საქართველოში, გამსაკუთრებით აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

VII.

და, ჩვენდა საუბედუროთ, ვერც ვლადიმირ პუტინი ვერ თავისუფლდება ამ, აწ დრომოჭმული რუსეთის იმპერიულ ზრახვებიდან საქართველოს მიმართ.

VIII.

ამიტომ ვისურვოთ: შეიძლება ბორის ელცინის "ტრაგიკულმა ბედმა" (მ. გორბაჩოვი) ჩააფიქროს ვლადიმირ პუტინი, რომ, ვიმეორებთ, ხელი აიღოს რუსეთის იმპერიულ ზრახვებზე საქართველოს მიმართ?!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2007 წლის 27 აპრილი

---

დიმიტრი გულია
აფხაზი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე
ლექსში სიმღერა აფხაზეთზე ამბობს:

მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი,
და ნაზია ოქროს თასი.

ჰე, საჩქაროდ უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსალი.
სულ პატარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ტურფა მხარის

დ. გულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## სტალინი, ჰიტლერი და მე

---

ა ნ ა ლ ი ზ ი

I.

"სტალინი, ჰიტლერი და მე", – ასეთ ამბიციურ სათაურს შემთხვევით კი არ ვაძლევ ამ ანალიზს, არამედ სამართლიანად, რადგან მე ვიყავი 1940-1941 წლებში სტალინის წითელარმიელი-"კურსანტი", და 1942-1945 წლებში ჰიტლერის ვერმახტის სალდათი-"უნტეროფიცერი"!.. ამ დროს, მე წესიერათ ვემსახურებოდი ერთსაც და მეორესაც, – ჯერ – სტალინის "მსოფლიო პროლეტარულ რევულუციას", სინამდვილეში კი რუსეთის იმპერიას, ხოლო შემდეგ, წესიერათ ვემსახურებოდი აგრეთვე ჰიტლერს "გერმანიკული იმპერიის" შექმნაში, რომლის დროს მე, როგორც ქართველი, – ნაცისტების აზრით, – თითქოს "უნტერმენში" ვიყავი!.. ამგვარად, "მე", როგორც წითელარმიელი, წარმოვადგენ ერთ-ერთ "გადარჩენილს" 27 მილიონ დაღუპულ წითელარმიელებიდან!..

II.

და ახლა ასეთი ამბიციური სათაურის საბაბი გახდა ინგლისელი პუბლიცისტის – რობერტ ვილტონის – (2006 წელი) წიგნი რუსეთის იმპერატორის – ნიკოლოზ II-ეს შესახებ, რომელშიც თვით ნიკოლოზ II-ს ფოტო-სურათიც არის გამოქვეყნებული რუსი რიგითი სალდათის ფორმაში, რითაც ნათელი ხდება, რომ რუსეთის იმპერია რუსი სალდათის ჩექმას ეყრდნობა, როგორც ეს მოხდა 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ–საქართველოს ომის დროსაც.

III.

ჰიტლერი კი არც ცდილობდა მიეჩქმალა მისი იმპერიული ზრახვები: "დღეს ჩვენ გვეკუთვნის გერმანია, ხვალ კი მთელი მსოფლიო", – იყო ' ' მიზანი მისი ვერმახტისა, რომლის სალდათი ვიყავი მეც, – ჰოი, საკვირველებავ!.. – თვითონ "უნტერმენში". ამდენად, ჰიტლერის მრწამსი იმდენად შორდება ჩემი, რიგითი ჯარისკაცის რწმენას, რომ მასთან კამათი წყლის ნაყვად მიმაჩნია.

IV.

მაგრამ, სამაგიეროდ, მრავალფეროვანი და მრავალფენოვანია ლენინ-სტალინთან გაკამათება, რაც ახლა, ჩემი აღნიშული ამბიციური სათაურის კიდევ ერთი საბაბი გახდა: ესაა გივი ბერძენიშვილის წიგნი "სტალინი – პერნამენტული გამარჯვებების ღმერთი". (გორი, 2006 წელი), რომლის რედაქტორ-გამომცემელია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი 1993-2004 წლებში – ედუარდ შევარდნაძე.

V.

აქ უკვე წამოჭრილია არა მარტო "მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა" და რუსეთის, გერმანიის თუ სხვა იმპერიათა საკითხები, არამედ ჩვენი "პატარა" საქართველოს, ჩვენი "პატარა" ქართველი ერის საკითხიც, რომელთა ისეთი გზით მოგვარება, როგორც გივი ბერძენიშვილი ცდილობს, ვფიქრობთ, შეუძლებელია.

VI.

გივი ბერძენიშვილის აზრით, " დიდი უბედურებაა ის, რომ ნაწერებიდან სტალინზე 99% ნეგატიურია, აბსოლუტური სიყალბეა". (გვ.9-10). და იქვე წერს: "სასწაულია, მაგრამ ფაქტია, რომ სტალინმა ჩეჩნების პრობლემა ერთ დღე-ღამეში მოაგვარა... ჩეჩნებმა სამამულო ომში უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს – სამშობლოს უღალატეს, რაც კანონით სიკვდილის დასჯას ითვალისწინებს... რუსი ხალხი ასეთ მოქმედებას ჩეჩნებს არ აპატიებდა... სტალინმა ჩეჩენი ხალხი გადაარჩინა გარდაუვალ ფიზიკურ განადგურებას... ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილა." (გვ.11-12).

VII.

"რუსი ხალხი ჩეჩნებს სამშობლოს ღალატს არ აპატიებდა", – ამბობს გივი ბერძენიშვილი, მაგრამ არ ამბობს: – საიდან ჰქონდა რუს ხალხს იმგვარი პრივილეგია, რომ ჩეჩენი ხალხი გადაესახლებინ ?..

VIII.

მაგრამ ვის შეუძლია სტალინისა და ჰიტლერის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური რაობის ასე ხელაღებით ობიექტური განხილვა?.. ეს ხომ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას, უდავოა, აღემატება?.. ხოლო, რაც შეეხება ამ ორი ისტორიული პიროვნების განჭვრეტას რიგითი წითელარმიელისა და ვერმახტის რიგითი სალდათის თვალთახედვით, ვფიქრობ, უფრო შესაძლებელია, რადგან რიგითი სალდათი ისტორიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენებს "მაღლიდან" კი არა, "დაბლიდან" ხედავს!.. ამგვარმა მსოფლხედვამ ხომ არ მიგვიყვანა ცნებათა ასეთ "უცნაურ" გარსაზღვრამდე?..

IX.

1. ვითომ მეორე მსოფლიო ომი, 1941-1945 წლებში, გივი ბერძენიშვილისათვის, როგორც ქართველისათვის, "სამამულო ომი" იყო?..
2. ვითომ "სამამულო ომის" ცნება არ ეწინააღმდეგება "მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" ცნებას, რაც კრემლის კომპარტიის ომამდელი იდეოლოგიური საფუძველი იყო?..
3. ვითომ "სამამულო ომის" ცნება მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წმინდა წაბაძვა არ არის?..
4. მაშინ "სამამულო ომის" ცნება მიუღებელი არ იყო და არის საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობისათვის, რომლებიც რუსები არ იყვნენ?..

X.

ანალოგიური კითხვების წამოჭრა ზედმეტია ჰიტლერის მიმართ, რადგან მას(ჰიტლერს) არასოდეს უარი არ უთქვამს მის რასობრივ პოლიტიკაზე, რომლის დროს ჩვენც, ქართველობაც, ნაცისტების აზრით, "უნტერმენშები" ვიყავით და ვაერჩით, არა მარტო სსრკ-ში მოქცეული ხალხების ჩათვლით.

XI.

სტალინი კი ქამელეონვენია!.. იგი ყმაწვილობაში — ჯერ — ქართველად გვევლინება, რის დასადასტურებლად საკმარისია მისი ლექსის —"ვარდს გაეფურჩქნა კოკორის" — მოყვანა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა მის გაზეთში — "ივერია", ი.ჯ-შვილის, (14.06.1895 წელი) ფსევდონიმით; მაშინ სტალინი 15 წლისა იყო. აი, ეს ლექსი:

"ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.
ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გრძნობით აღვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
"აყვავდი ტურფავ ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო,
და შენც ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!"

მაგრამ შემდეგ? — სტალინი გვევლინება ჯერ თითქოს "მსოფლიო პროლეტარიატის ბელადად", ხოლო 40-იანი წლების შემდეგ, როგორც რუსი იმპერიალისტი, რომლის საწყისია 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის დროს სტალინი უფრო დაუდობელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, ვიდრე თვით ლენინი.

XII.

ერთი მყვირალა მაგალითი, მრავალთა შორის: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ე.ი. ერთიანი და განუყოფელი საქართველო, თითქმის ხუთი საუკუნის დაქუცმაცებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემდეგ, საქართველოს თითქმის მთელს ისტორიულ ტერიტორიაზე, — ისევ აღსდგა, რომლის სულისჩამდგენლები იყვნენ "პირველდასელები" და მესამედასელები" ილიასა და ნოეს ხელმძღვანელობით, რომელთა დევიზი იყო და დარჩა:

— "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს";

—"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა: თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

ასე იშვა 1918 წლის 26 მაისი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკური ხანის საძირკველი, რომელიც, იარაღის ძალით, დაამხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინ-სტალინმა 1921 წლის თებერვალ-მარტში და საქართველო ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია.

XIII.

ლენინ-სტალინმა კი – დაიპყრეს რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – ჩვენი დამოუკიდებელი საქართველოს 91 100 კვადრატული ტერიტორიიდან, საბჭოთა საქართველოს მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვეს, ე.ი. ჩვენი ისტორიული ტერიტორიები, როგორც ბოლშევიკი ბუდუ მდივანი ამბობდა, – ჩვენს მეზობლებს "მარჯვნივ-და-მარცხნივ" დაურიგეს, და "ლომის ულუფა" თურქეთმა და რუსეთმა მიიკუთვნეს, რომლის დროს რუსეთმა ჩვენი სოჭი და მისი რეგიონიც კი მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს; და ახლა, – ჰოი, საკვირველებავ!. – ვლადიმერ პუტინი სწორედ სოჭში ცდილობს საზამთრო ოლიმპიური თამაშების მოწყობას – 2014 წელში!..

XIV.

ყველა ამ "საგმირო საქმეთა" განხორციელებას საქართველოში ხელს უწყობდენ ლენინ-სტალინის ყურმოჭრილი მონები – სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი და სხვა ქართველი ბოლშევიკები.

XV.

და აქ მაგონდება ჰომეროსის გულიდან ამონახეთქი გამონათქვამი: "...და ჭეშმარიტებაა რომ სამშობლოზე უკეთესი არაფერი მოიპოვება დედამიწაზე!" და "სამშობლო" რომ ქართველისათვის საქართველოა და არა რუსეთი, ამას, ვფიქრობ, მტკიცება ესაჭიროება?.. და, ვითომ ქართველმა ბოლშევიკებმა ვერ შეიგნეს ეს ჭეეშმარიტება, როცა რუსეთის ყურმოჭრილი მონები გახდენ?.

XVI.

და აქ მაგონდება აგრეთვე სტალინის რასისტული სადღეგრძელო:

სტალინმა 1945 წლის 24 მაისს, მოსკოვში, ჰიტლერზე გამარჯვების აღნიშვნისას, წარმოსთქვა ველიკორუსული, დიდმპყრობელურ-შოვინისტური სადღეგრძელო, რომელშიც მან თქვა:

"ამხანაგებო, ნება მიბოძეთ წარმოვსთქვა კიდევ ერთი უკანასკნელი სადღეგრძელო. მე მინდა წარმოვსთქვა ჩვენი საბჭოთა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის სადღეგრძელო", "საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის ხელძღვანელ ხალხზე".
რუს ხალხს "აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება". მან, "საბჭოთა მთავრობისადმი თავისი ნდობით, უზრუნველყო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტერ – ფაშიზმზე. მადლობა მას, რუს ხალხს, ამ ნდობისათვის! რუსი ხალხის სადღეგრძელო იყოს!"

ამ "სადღეგრძელოთი" სტალინმა ისევ გამოაცოცხლა, კიდევ უფრო გააძლიერა არა მარტო ველიკორუსულ, დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგია, არამედ იგი დაუახლოვა თვით ადოლფ ჰიტლერის რასისტულ იდეოლოგიას, რომლის სიმახინჯე, სტალინის სიკვდილის შემდეგ, მისმა, ე.ი. საბჭოთა კავშირის კომპარტიის იდეოლოგმა – მიხეილ სუსლოვმა – "წმინდა" რუსული იმპერიული პოლიტიკის ბაზად აქცია, რაც მან, გასული საუკუნის 80-იან წლებში, სსრკ-ას დაშლის წინაპერიოდში, მის "დახურულ სიტყვაში" ჩამოაყალიბა. აი, ეს "სუსლოვის სულად"-წოდებული ვაი-იდეოლოგია:

"კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.
შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალსწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან. ადრე თუ გვიან საქართველოს

დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალკ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დაუპირისპიროთ აღმოსავლეთს. მის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

და, რუსეთი, აი, ამგვარი დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის განხორციელებას ლამობს საქართველოში, რაც დაიწყო ჩვენს აფხაზეთში, როცა რუსეთმა დაიპყრო სოხუმი 1993 წლის 27 სექტემბერს, რაც გრძელდება დღემდე.

და, განა ჩვენ, ქართველობა, საქართველო ყველაზე უფრო საშინელი ფორმით არ განვიცდით დღესაც, სტალინისა და მისი იდეოლოგის – მიხეილ სუსლოვის – აღნიშნულ რუსულ დიდმპყრობელურ-შოვინისტურ, რომ არ ვთქვათ, რასისტულ პოლიტიკას ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რის საფუძვლად სტალინის აღნიშნული "ველიკოროსული" სადღეგრძელო გვესახება?..

XVII.

აქვე მაგონდება აგრეთვე "ადამიანური" (თუ არა-ადამიანური?) გასაუბრება სტალინსა და მის ქალიშვილს – სვეტლანას – შორის 1949 წელს, სტალინის დაბადების 70 წლისთავზე, რაც მოთხრობილია გივი ბერძენიშვილის აღნიშნულ წიგნში "სტალინი".
უამრავი საჩუქრებიდან, რომლებიც სტალინმა მიიღო, მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, როგორც "პროლეტარიატის ბელადმა", სვეტლანას მოწონებია პატარა ფორმატის მაგნეტოფონი, და უთხოვნია მამისათვის, ეს მაგნეტოფონი მისთვის ეჩუქებია. სტალინს უარი უთქვამს იმის გამო, რომ საჩუქრები, რომლებიც მე მივიღე ჩემი დაბადების 70-ი წლის თავზე, მე კი არა, სახელმწიფოს ეკუთვნისო!..

XVIII.

და აქ მაგონდება კიდევ გასაუბრება ბერტოლტ ბრეხტსა და მის ერთ მეგობარს შორის "კერძო საკუთრების" შესახებ.
გასული საუკუნის 20-იან წლებში, ბერტოლტ ბრეხტმა, მის პიესაზე "სამგროშიანი ოპერა", მიიღო შედარებით დიდი ჰონორარი, რომლითაც იყიდა ერთი პატარა სახლი ბერლინში, ტბისპირას; და ერთხელ ბერტოლტ ბრეხტი შეეჭვებულა, როგორც მისმა მეგობარმა აღნიშნა, – კერძო საკუთრების ქონება-არქონების საკითხში, და მის მეგობრისათვის გაუმხელია: ამ პატარა სახლმა ჩემში გააღვიძა "კერძო საკუთრების გრძნობა", რაც აქამდე არ განმიცდია; და სიყალბეს ხომ არ ვქადაგებთ, როცა უარს ვამბობთ კერძო საკუთრებაზე – სახელმწიფო-საზოგადოებრივი საკუთრების პირისპირ?!..

XIX.

და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ბოლშევიკური ქვეყნების სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ქონების უთავბოლო დატაცებას არ ექნებოდა ადგილი, რომ ამ ქვეყნებში კერძო საკუთრების უფლება არსებულიყო?!.. ამ ფაქტმა ხომ არ აიძულა კომუნისტური ჩინეთი, რომ ახლა, 2007 წელში, "პეკინი აძლიერებს კერძოსაკუთრების უფლებებს", ვინაიდან ჩინეთში უკვე არსებობს დენ სიაოპინისეული საბაზრო მეურნეობა, "მანჩესტერისეული-კაპიტალიზმი" და სოციალისტური გეგმიანი მეურნეობა ერთმანეთის გვერდით?!..

XX.

ამდენად, სვეტლანას სურვილი "მისი საკუთრება იყოს" აღნიშნული მაგნეტოფონი, ვითომ "კერძო საკუთრების ქონების" ადამიანური გრძნობის გამომხატველი არ არის?..

XXI.

გივი ბერძენიშვილის ამ წიგნს – "სტალინი. პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი" – რომ "ნამდვილი ბიოგრაფია" არ შეიძლება ეწოდოს, ამას თვით ქვესათაური ქადაგებს. რას უნდა ნიშნავდეს "პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი?.." "ღმერთი", ადამიანებებთან შედარებისას, მე, პირადათ, პირველად ინგლისში მოვისმინე, როცა

სტრატფორდში მდინარე ეივონზე — აღნიშნულ იქნა უილიამ შექსპირის დაბადების 400 წლისთავი (1964 წელი) და (არა მარტო) ინგლისელებმა შექსპირი სამართლიანად შეამკეს ასეთი სუპერლატივით: ადამიანი, რომელმაც ღმერთის შემდეგ, ყველაზე მეტი შექმნა.
ვითომ გივი ბერძენიშვილი ამგვარი სუპერლატივით იმიტომ ამკობს, რომ სტალინი წარმოშობით ქართველი?.. თუ იგი ფიქრობს, რომ სტალინი არ არის რუსი ერის ტიპიური შვილი, როგორც პეტრე დიდი, ივანე მრისხანე თუ ლენინი?..

XXII.

ამით იმის თქმა მსურს, რომ მე, როგორც წითელარმიელი და მე, როგორც ვერმახტის სალდათი ბრალს ვდებ სტალინსა და ჰიტლერს იმაში, რომ მე მათ გამომიყენეს — ჯერ — რუსეთის და —შემდეგ — გერმანიკული იმპერიის შექმნაში ასი-ათასობით სხვა ხალხების შვილებთან ერთად, რომლის დროს თუ რუსი იბრძოდა რუსეთის იმპერიის, სოლო გერმანელი გერმანიკული იმპერიის დიდებისათვის, მე, როგორც წითელარმიელი თუ ვერმახტის სალდათი ვიყავი სტალინისა და ჰიტლერის უპატრონო "საზარბაზნე ხორცი", თუმცა ამ ორი უბედურებიდან პირველს ვანიჭებდი და ვანიჭებ უპირატესობას, რადგან მსურდა თავი დამეღწია "უნტერმენშობიდან"!..

XXIII.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ქართველები განიხილავს ისე თითქოს იგი არა რუსი, არამედ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე იყოს!.. ეს არის, ჩვენის აზრით, სტალინის პიროვნებისა და მოღვაწეობის შეუსაბამო გაშუქება. წარმოიდგინეთ, თვით ისეთი გამობრძმედილი პოლიტიკური მოღვაწე, გივი ბერძენიშვილის ამ წიგნის — "სტალინი" — რედაქტორ-გამომცემელი, — ედუარდ შევარდნაძე, — გულდიათ წერს:
"როცა პარტიის XX ყრილობაზე ამ მოვლენებზე ლაპარაკობდნენ, ფიქრისა და დარდისაგან ლამის თმა გამითეთრდა, ჩემს წიგნში, რომელიც ახლახან გამოვიდა ("ფიქრი აწმყოსა და მომავალზე") ნათქვამი მაქვს: "საშინელებაა იმის შეგნება, რომ შენ მოტყუებული ხარ, რომ ის ფასეულობანი, რომელიც შენი აღზრდის საფუძველი იყო, ყალბია, მოგონილი და შეთითხნილია".

XXIV.

ამავე დროს ედუარდ შევარდნაძე იქვე ლაპარაკობს "მენშევიკებზე საქართველოში" და უსაყვედურებს გივი ბერძენიშვილს, როცა ამბობს:
"ავტორი წიგნში არაფერს წერს მენშევიკების შესახებ საქართველოში. არადა, მენშევიკები მთელი სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ დამოუიდებელ საქართველოს (ბოლშევიკების შემოსვლამდე). უნდა ითქვას, რომ ნოე ჟორდანია, კაკი წერეთელი, ნოე რამიშვილი და სხვები გამოცდილი რევოლუციონერები და თეორიულადაც მაღალი მომზადებისა იყვნენ და მოსახლეობაშიც საკმაოდ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.
ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ მათ ემიგრაციაში ამოჰყვეს თავი და იქვე არიან დასაფლავებულნი".

XXV.

ედუარდ შევარდნაძე აქ იმავე "შეცდომას" ხომ არ უშვებს, რასაც უსაყვედურებს გივი ბერძენიშვილს?.. იგი რატომ არ ამბობს, რომ "მესამედასელები" არასოდეს არ ყოფილან რუსი "მენშევიკები"?.. და ეს ტერმინი ბოლშევიკებმა არ მოახვიეს თავს საქართველოს სოციალდემოკრატებს, რომ მიეჩქმალათ, თუ გნებავთ, ის ფაქტი, რომ "მესამე დასი", ე. ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, ხუთი წლით უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია?.. შევარდნაძე რატომ არ ამბობს, რომ 1918 წლის 26 მაისი საქართველოს რესპუბლიკური ხანის დასაწყისია და ამავე დროს აღდგენა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსა თითქმის ხუთ-საუკუნოვანი დაქუცმაცებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების შემდეგ, მის თითქმის მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე?.. რატომ არ ამბობს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო, რომელიც თვით საბჭოთა რუსეთმაც დე ფაქტო და დე იურე იცნო 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელრეკრულებით?.. რატომ არ ამბობს, რომ ბოლშევიკები კი არ "შემოვიდენ" საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ — 1921 წლის 11 თებერვლიდან — 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტამდე – რუსეთ-საქართველოს ომის დროს – რუსეთმა, იარაღის ძალით, დაიპყრო საქართველო და იგი, იმჯერად საბჭოთა იმპერიის თავისებურ კოლონიად აქცია?..

XXVI.

შეიძლება ედუარდ შევარდნაძე ამიტომაც ამბობს, რომ "ამ წიგნში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას არ ვიზიარებ", და იქვე დასძენს: "ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი!" სრული ჭეშმარიტებაა, – ვამბობთ ჩვენც. მაგრამ ცალკეულის აზრის გამოთქმის თავისუფლება "ეროვნულად" ხომ არ არის შემოფარგლული?.. და თუ ეს ასეა, მაშინ სხვა ხომ არ არის ჭეშმარიტება რუსისათვის, და სხვა ქართველისათვის?.. და ასე ხომ არ უნდა გაეიყოთ სტალინისა და ჰიტლერის ცხოვრება-მოღვაწეობა?..

XXVII.

და თუ სტალინზე ამდენს ვლაპარაკობთ, ეს გამოწვეული ხომ არ არის იმ ფაქტით, რომ – ერთიმხივ – რუსის ერს, რუსეთს ეროვნულად მოსწონდა და მოსწონს სტალინის უკიდეგანო იმპერია, მაგრამ, – მეორე მხრივ, –რიგორც ჩანს, არ მოსწონდა და არც ახლა მოსწონს ის ფაქტი, რომ ეს უზარმაზარი იმპერია სტალინმა შექმნა სისხლით?.. და კრემლმა ამიტომ ხომ არ დაიწყო "განტევების ვაცის" ძებნა და, მათი აზრით, იპოვეს კიდეც სტალინის შთამომავლობაში?!.. კრემლმა სტალინის ბოროტება აღიარა ქართველი ერის ბოროტებად, რის თვალსაჩინოება გამომჟღავნდა თბილისში 1956 წელს, როცა "ნაძირალა ხრუშჩოვის ავანტურისტული გეგმები" (ე.შევარდნაძე) გააცენეს სკკპ XVI. ყრილობას, რომლის დროს შეუძლებელი გახდა თბილისის ახალგაზრდობის დარწმუნება იმაში, რომ "მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი" თურმე სისლისმსმელი დიქტატორი ყოფილა!.. და ბოლშევიკებმა სტალინის "პიროვნების კულტის" წინააღმდეგ, ისევ სტალინური ტერორი გამოიყენეს, რომლის დროს არაერთი ახალგაზრდა დემონსტრანტი მოკლული და დაჭრილ იქნა!.. და ანალოგიური სისხლისმღვრელ შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ისევ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილსაც, რომლის დროს კრემლის ბატონებმა არა მარტო ორლესილი ბარებით დაჩეხეს მშიდობიანი დემონსტრანტები – ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ჩათვლით, არამედ საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყერენ ამ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ იმის მომიზეზებით, რომ ქართველობა თითქოს მხარს უჭერდა სტალინს!..

XXVIII.

ახ, ბევრის, ბევრის თქმა შეიძლება, ქართული წარმოშობის, რ უ ს ი პოლიტიკური მოღვაწის – სტალინის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ, ამჯერად, დავკმაყოფილდეთ აღნიშნულით:

XXIX.

სტალინმა მე, როგორც საბჭოთა წითელარმიელი, ასი-ათასობით სხვა ერებისა და ხალხების შვილებთან ერთად, – მოხერხებულად გამომიყენა, როგორც "საზარბაზნე ხორცი", ჰიტლერის ვერმახტის წინააღმდეგ; ხოლო შემდეგ – გავხდი რა ვერმახტის სამხედრო ტყვე – იგივე სტალინმა "პილატესავით ხელი დაიბანა" და "სამშობლოს მოღალატეობა" დამაბრალა, რითაც ხელი გაუხსნა, ისედაც ხელგახსნილ ჰიტლერს, ყოფილ წითელარმიელი სამხედრო ტყვეები, – სულ ხუთ-მილიონ-ნახევარი ტყვე, – შიმშილით დაეხოცა; ან, ათასობით ნაციზმის მონურ შრომაში გამოეყენებია; ანდა: თვით ჰიტლერის ვერმახტის სალდათი გამხდარიყო, როგორც მე.

XXX.

ამდენად, – ვიყავი რა სტალინის წითელი არმიის, სინამდვილეში, რუსეთის არმიის სალდათი, – მე, როგორც ქართველი, ჯერ, შეგნებულად ვფიქრობდი, რომ ვიბრძოდი ჩემი "უნტერმერშობიდან" გართავისუფლებისათვის; შემდეგ კი გავიგე, რომ ვიბრძოდი რუსეთის იმპერიის განდიდებისათვის. საწინააღმდეგოდ: როგორც ჰიტლერის ვერმახტის სალდათი, ყოველთვის ვიყავი და დავრჩი "უნტერმენში", თუმცა ამ ფაქტში ხშირად ვერ დავარწმუნე ჩემი ქართველი "თანაუნტერმენშებიც" კი.

XXXI.

ნუთუ სტალინისა და ჰიტლერის ცხოვრება–მოღვაწეობის ამგვარი "ჩემებური", არა მარტო რასისტული განჭვრეტა – ფაქტებს, მხოლოდ ფაქტებს არ ეყრდნობა?..

კარლო ინასარიძე

მიუნხენი, 2007 წლის 21 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "უხორთუმო სპილო!.."

---

"დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში"

---

I.

"უხორთუმო სპილოს" ვუწოდებ მე ჩემს თავს, – ილია ჭავჭავაძის ეს გამოთქმა რომ გამოვიყენო –, რადგან სწორედ "უხორთუმო სპილო" ვარ: ისე დავამთავრე ლარჩხუთის სრული საშუალო სკოლა, 1937 წელს, რომ საქართველოს, ჩემი სამშობლოს ისტორია არ გვასწავლეს თითქოს "ახალი ადამიანის აღზრდის" საბამით; რუსეთის საბჭოთა იმპერიის ისტორიას კი, წაბაძვით მეფის რუსეთის ისტორიისა, რომელსაც ჩემს დროს "საბჭოთა კავშირის ისტორია " ეწოდებოდა, – გვასწავლიდენ ისე, რომ თითქოს ყველაფერი კარგი, რაც კაცობრიობას შეუქმნია დღემდე, რუსეთის, რუსი იმპერატორების და საბჭოთა კავშირის, ე.ი. იგივე რუსეთის დამსახურება ყოფილა!..

II.

და საქართველო, ქართველი ერი?.. ჩემი ერის ისტორია აღწერილი იყო იმავე საბჭოთა სახელმძღვანელოში რამდენიმე ფურცელზე ისე, რომ ბედნიერებას, თავისუფლებას თურმე ქართველობამ, საქართველომ მაშინ ეღირსა, როცა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წელს და მის უსაზღვრო იმპერიას შეუერთა. ამ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 91 100 კვადრატული ტერიტორია ისე დაუნაწილა ჩვენს მეზობლებს, რომლის დროს "ლომის ულუფა" თუქეთმა მიითვისა, რომ რუსეთმა დაპყრობილი საქართველოს უძველესი ტერიტორია – სოჭი და მისი რეგიონიც კი მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ამგვარად, აწ დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს სახელმწიფოს მხოლო 69 700 კვადრატული კილომეტრი ტეროტორია შემორჩა.

III.

და მე, ამგვარი განათლების თუ გაუნათლებლობის "მაგაქით", უკვე ვუახოვდები 90 წლის ასაკს და ახლა გავეცანი ქართველი ერის ჰერედოტეს, ობიექტური ისტორიული კვლევა-ძიების ფასდაუდებელ საუნჯეს –ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს: "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში" –, რომელიც ჩვენ ივანეს დაუწერია 1919 წელში, გამოქვეყნებულა მისი "თხუზულებების" მე-5 ტომში, მაგრამ მისი გავრცელება აკრძალული ყოფილა თითქმის მთელი ერთი საუკანის განმავლობაში.

IV.

და ამ ნაშრომს – "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე–XVIII-ე საუკუნეში" – ახლა, 2006 წელს, უხილავს მზის სინათლე; მაგრამ რა?.. ახლა, ალბათ, უსახსრობის გამო, მხოლოდ 500(ხუთასი) ცალი დაუბეჭდავთ, რაც წვეთია ზღვაში; და, მე მომეცა საშუალება ერთი ეგზემპილარი მეც ჩამეგდო ხელში, რომლისაგან მაშინათვე ერთი ასლი გადავიღე, რომ იმდენი შენიშვნები ჩავწერო შიგ, რამდენსაც მე ჩავთვლი საჭიროთ. და ასეთი "შენიშვნები" კი იმდენია, რომ ვცდილობ მხოლოთ ზოგიერთების აღნიშვნამაც შორს არ წაგვიყვანოს.

V.

რა თქმა უნდა, ამ დროს ვხელმძღვანელობ ჩვენი ივანეს მრწამსით, რაც ამ გამოცემაშია გამოქვეყნებული: "ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშეგნება მოეპოვება, აუცილენლად საჭიროა იცოდეს, რასაკვირველია უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი".

VI.

ა, აი, რას გვეუბნება ამგვარი უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVIII საუკუნეში?..

1. "1636 წელს რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მისასპობად საქართველო ორად გაყვეს... ეს და ბევრი სხვაც ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებას და არსებობასაც კი დიდს საფრთხეს უმზადებდა".(გვ.5).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფე ერეკლე II.

(თელავი, 7.11.1720 – თელავი, 11.1.1798)

"მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა".

კოლაჟი დავით თაბორიძისა. მიუნხენი(გერმანია), 2005 წლის ნოემბერი

2. "2 ივლისს 1722 წელს პეტრე I-მა მეფე ვახტანგს ბორის თურქისტანოვის პირით შემოუთვალა, რომ ის მალე სპარსეთის საზღვრებს მიაღწევა და ამიტომ მეფე საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს მოსვლის შესახებ ცნობები მოუვიდოდა, თუ სად შეერთდიყვნენ ერთად.

ვახტანგ მეფემ სიხარულით 30.000–40.000 ჯარისკაცი შეჰყარა, მსწრაფად განჯისაკენ გაილაშქრა და შამქორში დაიბანაკა რუსთა ხელმწიფისა და ძლიერ ლაშქრის მოუთმენლად მოლოდინში. 6 ენკენისთვეს 1723 წლისა პეტრეს ამბავი დარუბანდში მოუვიდა, 7 ენკენისთვეს-კი ის დაიძრა და წავიდა, მაგრამ საქართველოს ჯართან შესაერთებლადაც-კი არა, არამედ შინ, ასტრახანისაკენ". (გვ.7-8).

3. მეფე ვახტანგ მე-VI-ეს, "...პეტრე I-საგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს საქართველოთგან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა". (გვ.11-12).

4. "ერეკლე II-ეს ფრთხილი შორსმჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წყალობით აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ განსაცდელს გადაურჩა, რომელშიაც იგი პეტრე I-ის გალამკიდე ჩავარდნილი იყო". (გვ.13).

5. "თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით-კი არ ამოიწურება, ...არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმშენებლობაც სწარმოებდა...". (გვ.13).

6. "თეიმურაზ მეფეს უნდოდა, რომ თავისი პოლიტიკური გამარჯვების შედეგი სამუდამოდ უზრუნველ ეყო. ამიტომ მან იფიქრა, რომ ორ ძლიერ მაჰმადიან სახელმწიფოს, ოსმალეთსა და სპარსეთის წინააღმდეგ პატარა ქართველ ერს და საქართველოს ძლიერი ერთგული მფარველი მოკავშირე ესაჭიროებოდა. მას ეგონა, რომ ასეთ მფარველად სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი და მათი ხელმწიფეები გამოდგებოდნენ. მიტომ 1752 წელს თეიმურაზ მეფემ რუსთა ხელმწიფეს... მფარველობა და შველა სთხოვა. მაგრამ რუსეთითგან მფარველობაზე უარი მოუვიდა..." (გვ.15).

7. "მაგრამ თექვსეტი წლის შემდგომ, 1768 წელს, როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიეთ უნდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო რასაკვირველია ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა. რუსეთის სამხედრო გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ ოსმალეთთან ომში ბერძნები და სლავები და საქართველოს სამეფოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩათრეულნი. მაგრამ ქართველებს გარდა სხვებმა ყველამ სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინეს და რუსეთის მთავრობის დაგებულს ქსელში არ გაებენ."(გვ.15).

8. "რუსეთია მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისათვის გენერალი ტოტლებენი გამოგზავნა... 1770 წელს ერეკლე მეფე საქართველოს ჯარითურთ და ტოტლებენი რუსის ჯარითურთ ახალციხის საფაშოს შეესივნენ და აწყურის ციხეს მიადგნენ. შამი დღის ბრ ლის შემდგომ რუსეთის ჯარის უფრისმა მოულოდნელად ბრძოლის ველს და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარს თავი ანება და მთელი თავის ლაშქრითურთ უკან გაბრუნდა."(გვ.16).

9. "თავზარდამცემი იყო რუსეთის მხედრობის უფროსის ეს ღალატის მსგავსი საქციელი და ამიტომ "მეფე ირაკლი მრავალს ეხეწა"ტოტლებენს, მაგრამ "მან არა უსმინა". (გვ.16). ამგვარად აღმოსავლეთი საქართველო "მრავალრიცხოვან მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდ-მარტოდ იყო მიტოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ ამ უაღრეს განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაზრივ აუცილებელ

განადგურებისაგან: მცირე ლაშქრითურთ მას სამხედო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ სოფელ ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო".(გვ.17).

10. "ამ თვალსაჩინო პოლიტიკურ გამარჯვებისდა მიუხედავად ერეკლე მეფეს საქართველოს ბედი და თავისი თავი მთლად უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა". "ერეკლე მეფე გრძნობდა, რომ მტრებისაგან თავდაცვისათვის საქართველოსათვის მუდმივი ჯარია აუცილებლად საჭირო. ამის შესანახად-კი ფული მას საკმაო არ ჰქონდა. ქვეყნის მშიდობიანი ცხოვრება ამ გაწეულ ხარჯს აინაზღაურებდა და მხოლოდ დროებით დახმარება ესაჭიროებიდა. ამ თავის გეგმის განსახორციელებლად მან ჯერ ევროპას მიმართა თხოვნით. 1781 წელს ერეკლე მეფემ რომის იმპერატორს იოსებ II-ს წერილი მისწერა, რომელშიც სესხსა სთხოვდა საქართველოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად მტრებისაგან. მაგრამ მეფის ელჩი გზაში მოკვდა. ამის გამო 1782 წელს ამგვარითვე თხოვნა ხელმეორედ გაგზავნა და თანაც თავის მხრივ ჰპირდებოდა რომ, თუ იმპერატორი სესხს მისცემდა, ოსმალეთის ომის დროს იმპერატორისა და გერმანიასთან საქართველო მთელი თავისი ძალღონით თურქების წინააღმდეგ იმოქმედებდა. გამოუკვეველ მიზეზების გამო, მეფე ერეკლეს არც ამის პასუხი მოსვლია".(20).

11. "ერეკლე მეფესთან საქართველიში გერმანელი მოგზაური დოქტორი რაინეგსი ცხოვრობდა, რომელმაც ვითარცა აღმოსავლეთში ნაყოფმა კაცმა ადგილობრივი ენებიც კარგად იცოდა. სხვათა შორის ქართულიც შეისწავლა და ერეკლე მეორესთან დაახლოებული იყო. რუსეთის სახელმწიფოს მხედართ-მთავარმა, ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა ეს რაინეგსი საქართველოდგან თავისთან დაიბარა და 1782 წლის შემოდგომას ისევ საქართველოშივე გამოისტუმრა, მაგრამ ესლა უკვე ვითარცა რუსეთის წარმომადგენელი ერეკლე მეფისა და სოლომონ მეფის წინაშე. მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა, ერეკლე მეფისათვის ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის თვითმპყრობელისაგან მფარველობა ეთხოვა ფორმალურად". (გვ. 21).

12. "ოფიციალურად თხოვნა გაიგზავნა რუსეთში. რუსეთის მთავრობას ძალიან იამა ეს ამბავი. კატერინე II-ეც ამ საქმისგან რუსეთისათვის დიდს სარგებლობას მოელოდა. 24 ივლისს 1783 წელს აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს". (გვ. 21).

13. "ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულია უფლებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის."(გვ. 21). "...1783 წლის ხელშეკრულება თვით ხელშემკრელ მხარეებს მფარველობითი მოკავშირეობის ტრაქტატად მიაჩნდათ..." (გვ. 26).

14. "1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანიარა, ზიანი-კი აუარებელი." (გვ.26). "არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალებს და ახალციხის ფაშას სულეიმანსაც". (გვ.26). "დაღესტანელების შემოსევა რომ უკუექცია ერეკლე მეფემ სექტემბერს 1787 წელს ქართული და რუსული მხედრობითურთ განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა. სრული გამარჯვება იყო მოსალოდნელი..., მაგრამ სრულებით მოულოდნელად რუსის ჯარის უფროსს მინისტრ-რეზიდენტს ბურნაშევს პოტიომკინისაგან საქართველოდგან დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა. მან განუცხადა მეფეს, რომ "დღესვე უნდა გავბრუნდეთ" და რამდენი არ სთხოვა ერეკლემ, რომ ლაშქრობის დამთავრებამდის მაინც მოეცადა, არ დარჩა: საჩქაროდ აიყარა და გამობრუნდა ტფილისისაკენ, ხოლო იქიდან რუსეთში გაემგზავრა მთელი ჯარით". (გვ.27).

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. "რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოთგან იმიტომ გაიყვანა, რომ იძულებული იყო ოსმალეთთან ომში ჩაბმულიყო..." ამის "ერთ-ერთ მიზეზად... რუსეთის საქართველოში მფარველის სახით შემოსვლა იყო..." " მალე ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო კიდეც, ხოლო 7 ენკენისთვეს 1787 წელს რუსეთმაც ოსმალეთს ომი გამოუცხადა". (გვ. 28). "რუსეთმა, რომ ომი გაათავა, 1792 წელს თვალი კვლავ სპარსეთისაკენ იბრუნა. სპარსეთში აღა-მაჰმედ-ხანი თანდათანობით ძლიერდებოდა".(გვ. 28).

16. "აღა-მაჰმედ-ხანმა თავის ელჩის პირით ერეკლე მეფეს მოსთხოვა, რომ რუსეთის ხელმწიფის მფარველობა ერთხელდა სამუდამოთ უარეყო და სპარსეთისა აღიარებინა. რუსეთიდგან მეშველ ჯარის მოლოდინმე ერეკლემ შაჰს, ცივი უარი შეუთვალა."(გვ. 32). "ამასობაში აღა-მაჰმედ-ხანი დაიძრა, 10 ენკენისთვეს 1795 წელსა ცხენოსანი ჯარით მსწრაფად საქართველოს დედაქალაქს მოადგა და ორი დღის შემდგომ აიღო: ჯერ მთლად გაცარცვა და წაიღო რის წაღებაც-კი სამეფო სასახლიდგან შეიძლებოდა, შემდგ კი ეს მშვენიერი სასახლე მთლად დაანგრია და ქალაქი ცეცხლით გადასწვა". (გვ. 32).

17. "სიბერის დროს ძლიერ "მფარველ" მოკავშირის მიერ მოტყუევული... მოხუცი მეფე იძულებული იყო... ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო". (გვ.33).

18. "1796 წლის მარტში რუსეთის მთავრობამ სპარსეთს ომი გამოუცხადა... რუსეთის მთავრობას საქმე ისე ჰქონდა საქვეყნოდ მოჩვენებული, ვითომც ის საქართველოს აოხრების გამო შურისმაძიებლად გამოდიოდა..." (გვ. 34). "...რუსთა ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტი ბუტკოვი პირდაპირ ამბობს: ეკატერინე დიდის სურვილი იყო, რომ რუსეთს საქართველოს აოხრებისათვის აღა-მაჰმედ-ხანის დასჯის მომიზეზებით ესარგებლა და სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთირებით განემტკიცებინაო". (გვ. 36).

19. "...1796 წლის ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა... სამხედრო მოქმედება შეწყდა და რუსის ჯარი შინისაკენ მიმავალი საქართველოში დაბრუნდა, რომ იქიდგან რიგრიგობით რუსეთში წასულიყო... რუსეთის მთავრობის უპირობამ ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა." "საქართველოს სრული განადგურება აუცილებელი იყო, რომ 4 ივნისს მის სიმკაცრით გაბოროტებულ მსახურთ მძინარე აღა-მაჰედ-ხანისათვის თავი არ მოეჭრათ. ასე სრულებით შემთხვევით გადაურჩა საქართველო აოხრებას და დაღუპვას".(გვ. 37).

20. რუსეთს სურდა, რომ "საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლად მას თავისი თავის დაცვა არ უნდა შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო". (გვ. 41).

21. "საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა რუსეთის მთავრობის მიერ და რუსეთთან შეერთება" მოხდა, როცა ერეკლე მეფე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე გიორგი მეფე ავიდა. მაგრამ "...გიორგი მეფეს არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საამისო გავლენა მოეპოვებოდა ხალხში...".(გვ. 42).

22. "გიორგი მეფე გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წელს...".(გვ.44). "...მაშინვე 18 იანვარს 1801 წელს პავლე პირველის მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა".(გვ. 45). "12 მარტს 1801 წელს პავლე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა იგრძნო საქართველოს შეერთების მთელი უკანონობა... ამ საკითხების გამორკვევა მან გენერალ კრონინგს მიანდო...".(გვ. 45).

23. "გენერალ კრონინგს იმედი არ ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარ დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდენ და ამიტომ გადაწყვიტა ეს საქმე მოტყუებით და მუქარით მოეხერხებინა".(გვ. 47).

24. "გამოცდილებამ და რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ საქართველოში ნათლად დაამტკიცა" ქართველების რუსეთის მთავრობისადმი "განუსაზღვრელი ნდობისა და გულუბყვილობის სრული უსაფუძვლობ. (გვ. 48).

VII.

"ივანე ჯავახიშვილი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ რუსეთის პოლიტიკა მხოლოდ დამპყობლურ ხასიათს ატარებდა. დიდი მეცნიერი ქართველ ხალხს აფრთხილებს, დაიოკოს პირადი ენებები, ამბიციები და თავისი დიდი ენერგია დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მოახმაროს".(გ. 3).

VIII.

ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ არ უნდა დავივიწყოთ – საქართველოს თანამედროვე ისტორიის მონაკვეთით რომ შემოვიფარგლოთ – 1801 წლის 18 იანვრის პაველ I-ის მანიფესტი, რომლის საფუძველზე საქართველო ორ გუბერნიად და სამთავროებად იქნა დანაწევრებული, რასაც მოყვა საქართველის სახემმწიფოებრი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოსპობა.

არ უნდა დავივიწყოთ პირველდასელთა, მეორედასელთა და მესამედასელთა საქართველოს ისტორიის რესპუბლიკური ხანის საწყისი: "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს!", და, "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა. თავისუფლება მთელი ერისა და თოთოეული პიროვნებისა".(7.2.1893 წელი).

არ უნდა დავივიწყოთ 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენა საქართველოს თითქმის ისტორიულ საძღვრებში.

არ უნდა დაივიწყოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "პატარა ოქროს ხანა"(1918–1921 წლები), და ამით, მის იდეოლოგიურ და პრაქტიკულ შემქმნელ ილიასა და ნოეს "ოქროს თაობათა" ღვაწლი.

არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს რესპუბლიკური ხანის პრეზიდენტების – ნოე ჟორდანიას, ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის ღვაწლი – როგორი მრავალფეროვანი და მრავალფუნოვანიც არ უნდა იყოს ჩვენი ამ პრეზიდენტების ცხოვრება და მოღვაწეობა.

IX.

და ამგვარი შეგნებითა და მრწამსით შევეცადოთ გარვდალახოთ "უხორთუმო სპილოს" რუსული იმპერიული ხანა და დავუბრუნდეთ "ხორთუმიან სპილოს", რომელიცაა "სიბრძნის სიმბოლო", და ამით, ისტორიის ჩვენი ივანე ჯავახიშვილისეულ ობიექტურ, მიუდგომელ გაგებას, რის სანიმუშო მაგალითია სწორედ "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე–XVIII-ე საუკუნეში".

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2007 წლის 14 თებერვალი

---

ადამიანი და პირუტყვი

"რა არის ადამიანი,
თუ მისი მთავარი ფასოვანება და ხანაგრელი ჟამი
სხვა არაფერია თუ არა ძილი და ჭამა? - პირუტყვი
მეტი არაფერი."

უილიამ შექსპირი(1564-1616)

"Wath is a man
Jf his chief good and markest of his time
Be but to sleep and feed? - a beast no more."

William Shakespeare(1564-1616)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## "ბ ე დ ი" თუ "შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა?.."

---

I.

"სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი" – ამბობს ხალხური სიბრძნე; და აქვე ვაყენებთ "ბედის" ამგვარ ამსოლუტურობას კითხვის ქვეშ; და აი, რატომ:

II.

ჯერ ფაქტები:

ვითომ "ჩემი ბედი" იყო ის, რომ 1941 წლის 5 აგვისტოს, როგორც საბჭოთა წითელარმიელი, ჰიტლერის არმიას ტყვედ ჩაუვარდი დაბა გაკარლიკთან, კიევის სამხრეთით, და მე, შიმშილით სიკვდილის პირად მისულს, გერმანელმა ექიმმა(?), გაძვალტყავებულ სამხედრო ტყვეებიდან, "ნაკლებად სუსტებში" ჩამთვალა და ამით გარდაუვალ სიკვდილს გადამარჩინა, როგორც ეს მეორე დღეს გამოირკვა, როცა "სუსტები" დახვრიტეს და მათი ტანისამოსი ჩვენს სამხედრო ტყვეთა ბანაკში შემოიტანეს?..

III.

ვითომ "ჩემი ბედი" იყო ის, რომ 1941 წლის 23 ივნისს, წითელარმიელები – ვიხევდით რა უკან არეულდარეული – საარტილერიო ცეცხლის არეში მოვხვდით, რომლის დროს გვერდზე ორწყვილ ცხენთა "გალოპით მიმქროლავ" შვიდჯარიაკაციან ეკიპაჟს უკანა საჯდომზე მოვახტი, რომლის დროს ბომბი სწორედ ჩვენ დაგვეცა ისე, რომ ყველა გაწყდა, თვით ცხენების ჩათვლით, და მე მარტო გადავრჩი ცოცხალი?..

IV.

ვითომ "ჩემი ბედი" იყო ის, რომ დაბა ხოლმში (პოლონეთი) 92-ათასიან სამხედლო ტყვეთა ბანაკში, 1400-ს ქართველიდან, ნოემბრამდე 300-დე ტყვე დავრჩით სიკვდილის პირზე მისული და აქედან სიკვდილს გადამარჩინა – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით – ირაკლი ქვანიამ, რომელმაც ამ 300 მომაკვდავი სამხედრო ტყვესაგან რატომღაც მე ამომარჩია და სიკვდილს გადამარჩინა?..

V.

და ვინ ჩამოთვლის ყველა ანალოგიურ ფაქტს, რომელიც შემემთხვა ჩემი აწ უკვე თითქმის 90 წლის ცხოვრების გზაზე?..

VI.

და ვითომ ყველაფერი ეს გამომდინარეობს "რწმენა" ან "ცრურწმენისაგან"(!), რომლის თანახმად ყველაფერი, რაც ადამიანს შეემთხვევა, ან, ჩვენს სამყაროში თუ ისტორიაში ხდება, თითქოს არის არა ადამიანის სურვილისა და მოქმედების შედეგი, არამედ არის "გარედან მოვლენილი", რასაც ჩვენ "ბედს" ვუწოდებთ?..

VII.

"ბედი" კი "ღვთიური" ან "სეკულარულია"?.. და, ამგვარად, ადამიანის ცხოვრების მმართველი ძალა?.. და ამით ყველაფერი, რაც ადამიანს ცხოვრებაში შეეყრება – ბედია?.. ხოლო "შემთხვევა არის მოვლენათა დამთხვევა, რაც ადამიანური განჭვრეტით ან უნდა მომხდარიყო, მაგრამ მაინც მოხდა?..

VIII.

2001 წლის 11 სექტემბერი, როცა ისლამისტების მიერ გატაცებული ოთხი სამგზავრო თვითმფრინავიდან – ორი ნიუიორკის "წყვილ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე", ერთი"პენტაგონზე", ხოლო ერთი პიტბურგთან მინდორზე დაეცა, რომლის დროს დაახლოებით 300-ათასი ადამიანი დაიღუპა, – ამ დაღუპულთა "ბედი" იყო, თუმცა თვით ეს ტრაგედია ისლამისტების მიერ იყო წინდაწინ დაგეგმილი?..

IX.

ოლიმპიელი გოეთე, მიუხედავათ იმისა, რომ იგი მისტიკოსი არ იყო, მის "ვილჰელმ მაისტერის სწავლის წლეებში" – ასხვავებს "ბედს" "შემთხვევისაგან": "ბედს, რომლის სიბრძნესადმი მე დიდი პატივისცემა მაქვს, შემთხვევასთან, რომლის მეშვეობით იგი მოქმედებს, მეტად უმართველი ორგანო აქვს". სხვა სიტყვებით: "ბედი" არის უფრო ყოვლისმომცველი, შეუცნობელი, მიმზიდველი, ვიდრე "შემთხვევა".

X.

ანტიკური ბერძენი მწერალი ჰესიოდი, რომელიც 700 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე ცხოვრობდა, მის "თეოგენიაში" ("ღმერთების დაბადება") , "აბსოლუტურ ქაოსში" ხედავს "ბედის" საფუძველს, როგორიცაა სიკვდილი, ძილი, მოჩვენება, სიყვარული, მოხუცებულობა, დავიწყება, შიმშილი, ტკივილი, ბუნდევანება; დანაშაულიც კი შეიძლება "ბედი" იყოს.

XI.

ჰომეროსი და მომდევნო ანტიკური ტრაგედიების ავტორები, ვთქვათ, სოფოკლე (496 წელი ქრისტეს წინ) — "მეფე ოიდიპეში" ან "ანტიგონეში" — დანაშაულობრივ და უდანაშაულებრივ "უბედურებას" აკავშირებს ერთმანეთთან:
მეფე ოიდიპე ჩაიდენს შეუგნებლად ორმაგ ბოროტმოქმედებას: მოკლავს მამას და ცოლად შეირთავს დედას, და ბოლოს თვითონვე გახდის ნათელს, რომ თებესში მძვინვარე შავიჭირის მიზეზი თვითონაა, რის შედეგად იბრმავებს თავისთავს. ეს არის სანიმუშო "ბედის ტრაგედია", ამბობს ელისაბეთ ფრენცელი. ("შპ.", 1/2007, გვ.1006).

XII.

არისტოტელეს (384-322 წლები), მის "ფიზიკაში" ამბობს, რომ "...ბედში და შემთხვევაში სინამდვილეში რაღაც იმალება". და იმავე დროს ამბობს, რომ ბედი არის რაღაც "მქროლავი", რასაც ადამიანის არსებამ, სულმა შეუძლია გაუძლოს.

XIII.

რომაელი სენეკასათვის (4 – 65 წლები ქრისტეს შემდეგ) "ყველაზე უფრო ძლიერია სული". "ამიტომ ყველაზე უფრო ბედნიერებაა — არ დაიბადო; შემდგომი ბედნიერება კი არის, გავლილი ხანმოკლე ცხოვრების შემდეგ, ჩქარა ისევ პირვანდელ მდგომარეობაში მოექცე". აქ უკვე დაბადება და ადრე სიკვდილი აღიარებულია "ბედისა" და "შემთხვევის" "უცილობლო დუოთ". ანტიკური რომაული "ბედის" მმართველად კი მიჩნეული იყო — ბერძნული მამაღმერთის ძევსის პირისპირ — მამაღმერთი იუპიტერი.

XIV.

შუა საუკუნეების ხანასა და თანამედროვე ხანას შორის, ფრანგი მწერალი — მიშელ დე მონტანი (1533-1592 წლები) ქმნის აზროვნებით ხიდს, რომლის დროს მას კიდევ სწამს ღმერთი, მაგრამ, ამავე დროს, ეჭვის ქვეშ აყენებს მის ინტერპრეტაციას თეოლოგების, ალხიმისტების, მარჩიელების, ვარსკვლავმეტყველების თუ ექიმების მიერ.

XV.

მიშელ დე მონტანის განათლების გზას გაყვა მოაზროვნეები — დეკარტი, ვოლტერი, კანტი; რენე დეკარტი (1596-1650 წლები) კი ამბობს: "მე ვაზროვნობ, ესე-იგი მე ვარ"; ამგვარად, აზროვნება არის ადამიანის თვითდარწმუნებისათვის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რწმენა ან გრძნობა.

XVI.

მარტინ ჰაიდეგერი, მის ნაშრომში "ყოფიერება და დრო", ადამიანის ბედს იხილავს "...ყოფიერების საწყის ისტორიულობად". ადამიანი, მისი თქმით, გამოცალკევებული ყოფიერებით იბადება და დაუნდობლად მიყვება განსაზღვრულ მგზავრობას "საკუთარ სიკვდილამდე".
"ხასიათი ადამიანისა არის მისი ბედი", ამბობდა 2300 წლის წინათ ჰერაკლიტი; "შენი ბედი ისვენებს შენს მკერდში", ამბობს ფრიდრიხ შილერი; "ანატომია არის ბედი", ამბობს ზიგმუნდ ფროიდი; თვით აზროვნებით "დასაჭურისებული" ადოლფ ჰიტლერიც კი ამბობს მის "მაგიდასთან საუბრებში": "ღმერთი, ეს ნიშნავს ბედს, ბუნების კანონს"; და ვინ ჩამოთვლის ყველას და ყველაფერს "ბედისა" და "შემთხვევის" რაობის შესახებ?!..

XVII.

და ამგვარ უსასრულო გუნჯლებში საყურადღებოა მოსახლეობის რეპრეზენტატიული უმრავლესობის გამოკითხვის შედეგები გერმანიაში ("Der Spiegel", 1/2007, S.108):

კითხვაზე — "გწამს თქვენ რაიმე უმაღლესი ძალა, რომელიც ზეგავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე?" — გამოკითხულთა 30 პროცენტმა უპასუხა: "კი, ზოგჯერ";
22 პროცენტმა უპასუხა: "კი, ყოველთვის";
47 პროცენტმა უპასუხა: "არა".

კითხვაზე — "როგორ წარმოგიდგენიათ ეს ძალა თქვენ ყველაზე უფრო, როგორც ღმერთი, ბედი თუ შემთხვევა?" — გამოკითხულთა 52 პროცენტმა უპასუხა: "ღმერთი";

ეროვნული ბიბლიოთეკა

32 პროცენტმა უპასუხა: "ბედი";
10 პროცენტმა უპასუხა: "შემთხვევა".

XVIII.

და აქ მივედით უილიამ შექსპირთან, რომელიც ადამიანის ცოდნა-არცოდნას, ასე განმარტავს::

"There are more things in heaven and earth, Horatio,
Than are dreamt of in your philosophy". (William Shakesteare: "Hamlet").

"ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად,
რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ".

XIX.

და, ამგვარად, ადამიანის ცოდნა-არცოდნა – ადამიანის "ბედისა" და "შემთხვევის" ჩათვლით – მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის უსასრულობის სიღრმეშია ჩაფლული, რომლის ყოვლისმომცველი შეცნობა შეუძლებელი და სასურველიც არ არის, რადგან "არცოდნა" საზრდოა "ცოდნისა", რაც მარადიული, უსასრული პროცესია; თუ?!..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2007 წლის 21 იანვარი

## მწარე ჭეშმარიტება?!..

ამონაწერი ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენციიდან. თბილისი, 1991 წლის 2 თებერვალი:

"რადიო 'თავისუფლების' ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია. გესმით, კრემლის აგენტურის ხელშია. პირველ რიგში, კაშია, ლაშქარაშვილი, კლიმიაშვილი; და, აი, ესენი დათარეშობენ ეთერში და მსოფლიოს წამლავენ; და მერე რაღა გიკვირთ, გენაცვალე, რომ გამოდის უცხოელი, მოტყუებული უცხოელი, მოტყუებული უცხოელი გამოდის და რამე ამდაგვარს წერს. აი, ქართველებმა თქვეს; – იმ წუთში მიუთითებენ ქართველებზე.
აი, ეს არის მიზეზი ციხე შიგნიდან ტყდება, როგორც ყოველთვის. მართალია, კრემლი ძლიერია, მისი დეზინფორმციის მანქანა ძლიერია, მაგრამ ქართველები, თვითონ ჩვენივე მოღალატე ქართველები უწყობენ ამას ხელს. აი, ეს გახლავთ სინამდვილე."

დიტო ჩუბინიძის სტატიიდან:
გაზეთი "ასავალ-დასავალი", 2006 წლის 17-23 ივლისი, ნომ. 29(619).

# ინგილოები დღეს

I.

საინგილო, ისე როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20(ოცი) პროცენტი, ბოლშევიკებმა დაურიგეს, რა თქმა უნდა, რუსეთის ბრძანებით, საქართველოს მეზობელ ქვეყნებს – თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს და ერთი კუთხე საქართველოს ტერიტორიისა – სოჭი და მისი რეგიონი – თვით რუსეთმაც მიითვისა; და მას ვინ შეედავებოდა, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო?..

II.

მაგრამ იმ დროს, როცა სსრკ-ში ქართველობას სახელი და გვარი და სკოლებიც დედაენაზე შეუნარჩუნეს, ასე არ მოიქცა თურქეთი, რომელმაც თურქეთის

ბატონობის ქვეშ მცხოვრებ ქართველობას არა მარტო დაწყებითი სკოლები აუკრძალა დედაენაზე, ე.ი. ქართულ ენაზე, არამედ აიძულა სახელი და გვარიც შეეცვალათ თურქული ხელოვნურად შექმნილი სახელი და გვარით; და, დაინგრა რა სსრკ-ა, შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად, და სსრკ-ას ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები გახდენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, - აზერბაიჯანმა, როგორც ჩანს, წ ა ბ ა ძ ა თურქეთს და საინგილოს ქართველობა აიძულა შეეცვალათ ქართული სახელი და გვარი თურქული სახელითა და გვარით, როგორც ამას წერს 2003 წლის 5 ივლისის გაზეთი „რეზონანსი". და ეს იმ დროს, როცა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები არავითარ ამგვარ შევიწროებას არ განიცდიდა და არც განიცდის.

III.

როგორც ინგილოები აცხადებენ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა - ჰეიდერ ალიევმა – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ნინო ბურჯანაძეს – აღუთქვა, რომ აზერბაიჯანის ქართული სოფლების მცხოვრებლებს ისტორიული გვარების აღდგენაში პრობლემებს არ შეუქმნიდა, თუმცა პირობა დღემდე არ სრულდება, - წერს გაზეთი „რეზონანსი".

IV.

დღეს ინგილოების უმრავლესობას ორი სახელი და გვარი აქვს – ქართული და აზერბაიჯანული. ინგილო ქართველები ბავშვებს ქართულ ან ევროპულ სახელს ვერ არქმევენ; ამას აზერბაიჯანელები კრძალავენ. „ინგილოები საქართველოდან მეტ ყურადღებას ითხოვენ, რათა საუკუნოების მანძილზე შემონახული ენა და ტრადიციები არ დაიკარგოს", -ამბობს მუსტაფა მუსაევი = დავით დათნაშვილი, საინგილოს ალიაბადის საშუალო სკოლის მასწავლებელი. საინგილოში ამჯერად მხოლოდ 9(ცხრა) სოფელშია ქართული სკოლები, სხვა სოფლებში ისინი უკვე დიდი ხანია დაიხურა; ქართულად აქ მხოლოდ მოხუცები ლაპარაკობენ.

V.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: ჩვენი მეზობელი – აზერბაიჯანი, რომელთან საქართველოს ყოველთვის კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა და დღესაც აქვს, როცა რუსეთმა 1921 წლის ფებერვალ-მარტში დამოუკიდებელი საქართველო დაიპრო და დამოუკიდებელი საქათველოს 91 100-ს კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიიდან 69.700-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვა საბჭოთა საქართველოს, და დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის ერთ-მეხუთედზე მეტი საქართველოს მეზობლებს დაურიგა, - ერთადერთი აზერბაიჯანი იყო, როგორც გადმოგვცემენ, რომელმაც უარი თქვა დამოიკიდებელი საქართველოს ტერიტორიის მითვისებაზე, და ეს ტერიტორია არის სწორედ საინგილო.

VI.

და აქ მაგონდება ანდრეი სახარივის, ამ საერთოდ აღიარებული ჰუმანისტის, ჩვენთვის კი რუსი იმპერიალისტის აზრი(თუ უაზრობა?), რომელმაც სწორედ მაშინ მონათლა საქართველო „პატარა იმპერიად", როცა აფხაზეთი დ შიდა ქართლი დაიპრო პოსბოლშევიკურმა რუსეთმა, თუმცა მას არ შეეძლო არ ცოდნოდა, რომ საქართველოში იჩაგრებოდა არა საქართველოში მცხოვრები რომელმე ერის შვილი, არამედ სწორედ ქართველობა, რაც გრძელდება ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში დღესაც, როცა ეს სტრიქონები იწერება.

VII.

და ვითომ „სახაროვისეული" „პატარა იმპერიის" ავადმყოფობა ხომ არ გადაედვა ზოგიერთ აზერბაიჯანელს საიგილოში?..

კარლო ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "როგორ გაანადგურეს მეფის ოჯახი"

I.

გაზეთმა "მოსკოვსკი კომსომოლეც"-მა (5.4.2006) გამოაქვეყნა ცნობა წიგნის შესახებ, რომელშიც აღწერილია თუ როგორ იქნა განადგურებული რუსეთის მეფის ოჯახი; იქვეა გამოქვეყნებული ნიკოლოზ II. ორი ფოტოსურათი რიგითი ჯარისკაცის სამხედრო მუნდირში, რაც ნათელჰყოფს მეფის საყრდენ ძალას, რომელიც "გამოდის შაშხანის ლულიდან"; იქვეა აგრეთვე გამოქვეყნებული ნიკოლოზ II. აზრი, რომელიც, როგორც ჩანს, არც კი ფიქრობდა, რომ რუსეთის იმპერიის, თვითმპყრობელობის დღე უკვე დათვლილი იყო, და გზა ეხსნებოდა რუსეთის იმპერიის დაშლას და შემდეგ დიდმპყრობელ-შოვინისტების უფრო საშინელ ფორმას – ბოლშევიზმს. მაგრამ ვალაპარაკოთ ისტორიული ფაქტები.

II.

ჯერ მოვიყვანოთ ფ.მ. დოსტოევსკის, ამ გენიალური მწერლისა და მოაზროვნის, ერთი გააზრება:

"ჩვენ, რუსებს, გაგვაჩნია ორი საშინელი ძალა, რაც დგას სხვა დანარჩენზე უფრო მაღლა მთელს მსოფლიოში, – ეს არის ერთობა და მილიონობით ჩვენი ხალხის უმტკიცესი განუყოფელობა და უმჭიდროესი ერთობა მონარქთან".

«Толпы отверженников, подонков общества, потянулись на опустошение своего же дома под знаменами разноплеменных вожаков»

*Соловьев о Смутном времени*

Я страшился революции с того дня, когда увидел окровавленное тело моего деда. Мое сердце чуяло, что в революции таится гибель, смерть и разрушение Империи. Приняв власть из рук моего державного отца, я направил свои усилия на дело мирного и постепенного переустройства государства. Никакое здание не строится сразу. Иные думали иначе и по иным образцам хотели мгновенно перестроить огромную, разноплеменную, разноязычную и разноверную империю. История нас рассудит».

*Николай II*





Государь в солдатской форме

III.

ისტორიკოსი ნ. სოვოვიევი ამ "შფოთი ხანის" შესახებ ამბობს:

"გარიყულთა ბრბო, საზოგადოების ნაძირალები, ჩათრეულ იქნა მისივე სახლის ძარცვაში სხვადასხვა ტომების 'ვოჟაკების' (ხელმძღვანელების) მიერ."

IV.

ლასტირის რა დიდმპყრობელ-შოვინისტების "მზის დაბნელებას", ნიკოლოზ II. ამბობს:

"მე მეშინოდა რევოლუციის იმ დღიდან, როცა დავინახე ჩემი ბაბუას გასისხლიანებული სხეული. ჩემი გული გრძნობდა, რომ რევოლუციაში ჩაფლულია დაღუპვა, სიკვდილი და იმპერიის დაშლა. მივიღე რა ხელისუფლება ჩემი მბრძანებელ მამისაგან, მე მთელი ძალღონე წავმართე სახელმწიფოს მშვიდობიანი და თანდათანობითი განახლებისათვის. არც ერთი შენობა არ შენდება უცბათ. სხვები ფიქრობდენ სხვაგვარად და სხვანაირი სახით სურლათ სასტიკად გარდაექმნათ უშველებელი, მრავალტომობრივი, მრავალენობრივი იმპერია. ჩვენ ისტორია განგვსჯის."

V.

ისტორიამ, როგორც ჩანს, ვერ "განსაჯა" რუსეთის იმპერიული საშინელებანი, სულ ცოტა საქართველოს მიმართ, ვერც მეფის რუსეთისა და ვერც ბოლშევიზმის დროს.
ვითომ ვლადიმერ პუტინი შეძლებს ამ რუსული იმპერიული უმსგავსეობის აღგვას მიწისაგან პირისა?..

კ.ი.,პარიზი, 14.11.2006 წელი

**Московский Комсомолец**
от 05.04.2006

## Убийственная книга

Как уничтожили царскую семью — глазами английского журналиста



**Эта книга об убийстве царя Николая II написана в 1920 г. Туда вошли многие факты, даже для наших дней сенсационные. Над современным изданием работал Чиковани — дотошный и талантливый историк, серьезный конкурент нашему восторженному Радзинскому.**

Роберт Вильтон — корреспондент "Таймс", работавший после революции в России, — не входил в ближайшее окружение царя, но после расстрела царской семьи лично осматривал места расстрела и уничтожения трупов, общался со следователем, читал документы. Вильтон умер в 1925 г., успев погоревать о России больше, чем, может быть, она сама о себе горевала. Его записки об убийстве царской семьи, вышедшие в 1920 г. в Англии, очень пристрастны: слишком мало времени прошло, чтобы быть объективным. Он винит евреев и немцев, ненавидит большевиков, презирает Распутина, благоговеет перед Николаем II, называет Александру Федоровну психически больной…

Для Вильтона прозрачно многое, что сейчас для нас — большим вопросом. О революции: "В 1917 году немцы послали Ленина с шайкой революционеров, в большинстве евреев, захватить Россию. Состав красного правительства заранее предписывался из Берлина". О главной вине Николая II, за которую каждый кому не лень в царя плюет, — об отречении: "К отречению Николая II принудили "февралисты" — министры Временного правительства и члены Государственной думы. Роковую роль сыграло предательство генералов, нарушивших присягу императору". О главарях: "Многие из них приехали с Лениным из Германии… Ленин не управлял страной. Его роль сводилась к ремеслу оратора". Аж страшно становится, кто на самом деле превратил Российскую империю в царство серпа и молота.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Вильтон испытывает к царской семье невероятную нежность и, изучая документы, следует за ней повсюду. Любопытный эпизод произошел в начале 1918. Николая с семьей забрали из Тобольска с намерением увезти в Москву. Вместо этого покатали по стране и перевезли в Екатеринбург. Автор объясняет ситуацию так: немцы недоразвалили Россию, большевики стали им опасны, и надо было уже уничтожать ими же посаженных на трон большевиков. В Москве созданы антибольшевистские группы: уже все равно — с немцами ли, с союзниками, — лишь бы не с большевиками. Появился план увезти законного царя в Москву и заставить его заключить мир с немцами — вместо Брест-Литовского договора. Потом рядовые члены антибольшевистских групп воспротивились, и царя оставили “в покое”.

А с 1918 года на арену выходят настоящие убийцы царской семьи. Главный среди них — Янкель Юровский, революционер из бедной еврейской семьи. Он сделал жизнь семьи в Ипатьевском доме в Екатеринбурге настоящим кошмаром. “Во время обеда красные входили часто в столовую, якобы для надзора садились за стол, толкали царя, царицу… Они стояли у самых дверей уборной, когда туда шли девушки”. А еще ближе к убийству вся русская охрана заменена немецкими солдатами. В ночь с 16 на 17 июля 1918 года императорская чета была расстреляна в упор; “долго стонал в муках несчастный царственный отрок Алексей. Дико закричала княжна Анастасия, когда притронулись к ней. Ее докололи штыками”. После этого трупы были вывезены в шахту и долго уничтожались бензином и кислотой, дом разграблен, а в сентябре 19-го года большевиками осуждены 28 человек, якобы виновных в убийстве царя и семьи.

Во второй части книги приведены документов русской эмиграции, которые доказывают, сколько было противобольшевистских организаций, сколько попыток свергнуть советскую власть — особенно после Второй мировой. Ничего не вышло. Поражает одно. Даже эту правду (которая тоже не бесспорна) открывает нам англичанин. Даже эта книга — вышла в Париже.

“Злодеяние над царской семьей, совершенное большевиками и немцами”, как обещал Вильтон, нельзя читать без боли. Так же как и душераздирающие строки, написанные в 1917—1918 гг. княжной Ольгой Романовой:

Пошли нам, Господи, терпенье
В годину буйных, мрачных дней
Сносить народное гоненье
И пытки наших палачей.

Вера КОПЫЛОВА.

## ნოე ჟორდანიას ცხოვრებისეული სიბრძნე:

ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექ-
ვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის
უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძ-
ნობს თავის - თავს ერთ ერათ, ჭირში და ლხინში გა-
ნუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე“-ზე
და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკ-
რატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი,
ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩე-
ნენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუ-
მცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავათ ებრძ-
ვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის
ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, რო-
ცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი
მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია
და ქვეყანას ალაგას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს
დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის
დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყ-
რილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვი-
სება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვ-
რებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და
შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით-“

ნოე ჟორდანია 1893 წ.

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში
Chateau de Leuville
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F r a n c e
-------------------------------

Leuville le 28 août 2006

ღ ი ა – წ ე რ ი ლ ი:
-------------------------------

ბატონ მიხეილ სააკაშვილს
საქართველოს პრეზიდენტს
თ ბ ი ლ ი ს ი
პრეზიდენტის რეზიდენცია
-------------------------------

ბატონო მიხეილ,

უკანასკნელი წლების მოვლენებმა საქართველოში და ემიგრაციაში, განსაკუთრებით ეროვნული გმირის – ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის – გადმოსვენებამ პარიზის ახლომდებარე ლევილის ძმათა სასაფლაოდან საქართველოში, თბილისის მთაწმიდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, – ისევ წინაპლანზე წამოწია საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ეროვნული მემორიალის შექმნის აუცილებლობა, რის შესახებ არაერთი კერძო და საზოგადოებრივი აზრი გამოითქვა უცხოეთში დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოების თუ ორგანიზაციების მიერ, რომლის ერთერთ კულმინაციურ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს აგვისტოს აჯანყების 82 წლისთავის აღნიშვნა ლევილის ქართულ მამულის შატოს წინ, რომელიც ჩატარდა საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელობითა და საქართველოს საელჩოს მონაწილეობით, რომელსაც სამასზე მეტი ქართველობა და უცხოელი სტუმრები დაესწრო.

და აქაც, ამ გრანდიოზულ შეკრებაზე, გამოითქვა აზრი, გთხოვოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, დააწესოთ – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ღ უ პ უ ლ მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა ხ ს ე ნ ე ბ ი ს დ ღ ე – და ამ დღედ დაწესდეს 1924 წლის 28 აგვისტო, როდესაც, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად, თუ მის წინა და მომდევნო ხანაში, – საქართველოს ათასობით მოქალაქემ თავიანთი სიცოცხლე შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დიად საქმეს.

ჩვენ, ჩვენი ღრმა სწმენით, გვჯერა, რომ თქვენ, ამ ჩვენს თხოვნას გააკმაყოფილებთ, რადგან ეს, უდავოა, შეესაბამება თქვენს ღრმა რწმენასაც ამ დიად ეროვნულ საკითში.

პატივისცემით,

კარლო ინასარიძე
ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში
პარიზი–ლევილი, 2006 წლის 28 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არლინგტონის პანთეონი და მიხეილ დადიანი

---

I.

"არლინგტონის პანთეონი და მიხეილ დადიანი", – ასეთი სათაურით გვსურს მოვიგონოთ ქართველი სამხედრო პიროვნება – მიხეილ დადიანი, რომელიც 1918-21 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკერი, მონაწილეობა მიიღო რუსეთ-საქართველოს ომში – 1921 წლის 11 თებერვლიდან – 17 მარტამდე, მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მეორე მსოფლიო ომში ბოლშევიკების წინააღმდეგ, როგორც ვერმახტის მებრძოლმა, და-ბოლოს გადასახლდა აშშ-ში, გარდაიცვალა იქ და დაკრძალულია სწორედ აღნიშნული არლინგტონის პანთეონში, მის მეუღლე თინა გომართელთან ერთად.

II.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მიხეილ დადიანი იყო პირველი ქართული სამხედრო სკოლის ცხენოსანთა ასეულის იუნკერი, საქართველოს გულმხურვალე პატრიოტი, რომელსაც ქართული სამხედრო სკოლის ფუძეთ მიაჩნდა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის მრწამსი:

III.

ქართული სამხედრო სკოლა უნდა იყოს არა მარტო სამხედრო საქმის სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების, ქართული სამხედრო დოქტრინის სამჭედლო.
"მე არ მწამდა გაწრთვნა მხოლოდ იარაღის ხმარებაში, მე მსურდა აღზრდა ქართული სულით. ამიტომ იყო, რომ გარდა ფართო სამხედრო თეორიული საგნებისა, სპეციალურად გავიყვანე, რომ სამხედრო სკოლაში ასწავლიდენ ისეთ არასამხედრო საგნებს, როგორიცაა ქართული ენის სიტყვიერება და საქართველოს საერთო ისტორია. ამისათვის მოწვეულნი იყვნენ ისეთი საუკეთესო პროფესორები ამ საგნების, როგორც ვასო ბარნოვი და ს. კაკაბაძე".

IV.

ერის ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ მისი ბედის გადამწყვეტი ბრძოლის რომელიმე ეპიზოდი და რომელიმე პატარა ერთეულის მოქმედება იქცევა ხოლმე მთელი ამ ბრძოლის განსახიერებათ და მთელი ერი ერთ ესეთ მოვლენაში ჩააქსოვს მთელ თავისი ბრძოლის იდეალს. ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში კრწანისის ბრძოლის განსახიერებად იქცა სამას თუშ-ხევსურის თავგანწირული ბრძოლა.
დაახლოებით ასეთივე მაგალითი გათამაშდა საქართველო-რუსეთის ომში. ქართველი ერის გრძნობებში ამ ომის განსასიერებათ იქცა თბილისის ბრძოლა, მისი ტაბახმელის ნაკვეთი და ქართული სამხედრო სკოლის – იუნკრების ბრძოლა.

V.

1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნულ იქნა გენერალი გიორგი კვინიტაძე,რამაც სამხედრო წრეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ისი პირველი ბრძანებათაგანი იყო სამხედრო სკოლის ფრონტზე განწესება, როგორც მთლიან ერთეულისა.

VI.

სამხედრო სკოლამ ძალიან მალე მიიპყრო თბილისის ფართო საზოგადოების ყურადღება და კეთილგანწყობილება... ფრონტზე გამგზავრებისას სამხედრო სკოლას უნდა გაევლო თბილისის მთავარ ქუჩებზე. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა თბილისი ამ დღეს. ხალხი ენთუზიაზმით იყო აღფრთოვანებული და მძლავრი ყიჟინით ეგებებოდა სამხედრო სკოლას. ოლღის ქუჩაზე ხალხის მჭიდრო მასა გამოასლვია ყველსსათვის ძვირფასმა და პატივცემულმა ჩვენმა მასწავლებელმა, მოხუცმა პროფესორმა ვ. ბარნოვმა; გამოდგა შუა ქუჩაზე და მოხდილი ქუდით გვესალმებობა...ხალხის აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როდესაც სკოლა პარლამენტის შენობას დაუახლოვდა. მუსიკის ხმაზე პარლამენტის აივანი აივსო. საერთო გრგვინიდან ისმოდა მხოლოდ "გაუმარჯოს" და "ვაშას" ძახილი. წყობილებაში შემოდიოდენ უცნობი პირნი; უბეებში და ჯიბეებში თუთუნს

და სხვა რამეებს გვიდებდენ; ხელს გვართმევდენ, თანაც ცრემლებს მალავდენ და სახეს გვარიდებდენ", – ამბობს მიხეილ დადიანი და განაგრძობს:

VII.

სამხედრო სკოლამ გაუხვია სოლოლაკისაკენ და მიმართულება აიღო ნარიყალას ძველი ციხის კედლებისკენ. მიდიოდა თბილისის საფარზე საბრძოლველად, მიდიოდა საქართველოს დიდების ტრადიციული გზით, მიდიოდა გზით, რომლითაც გაუვლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მხედრობის არა ერთ და ორ თაობას, სამშობლოს ბედნიერების თუ უბედურობის, ბრძოლის ველზე პირისპირ დასახვედრად".

VIII.

თბილისის ფრონტზე ბრძოლა დაიწყო 18 თებერვალს, ღამე... 19 თებერვალს თბილისი გადარჩენილი იქნა... 24 თებერვალს მოსულიერებული მტერი ახლად იწყებს შეტევას...25 თებერვალს მტერმა ვერ გაბედა ბრძოლის განახლება... რუსეთის ხელმეორე ბატონობა, წითელი წყობილების სახით, მოახვიეს თავს ყოველ დაპყრობილ ერს, მხოლოდ და მხოლოდ, რუსის ჯარისკაცების ხიშტებით და ამის აღიარება დღესაც ამინებს რუსეთს.

IX.

და იუნკერთა თავგანწირული ბრძოლა გახდა თბილისის მისადგომებთან, განსაკუთრებით ტაბახმელაზე – გახდა რუსეთ–საქართველოს ომის კულმინაციური წერტილი 1921 წლის 11 თებერვლიდან – 17 მარტამდე, რომლის მონაწილე იყო სწორედ მიხეილ დადიანი, რომელიც განისვენებს არლინგტონის ნაციონალურ პანთეონში, აშშ-ს ვირჯინიას შტატის მინარე პოტომაკის სანაპიროსთან; იქვეა აგრეთვე აშშ-ს თავდაცვის სამინისტრის სადგომი – პენტაგონი და აღნიშნული ეროვნული პენთეონი, რომელიც დაარსებულ იქნა1864 წელს, და სადაც განისვენებელ ტასობით ცნობილი ჯარისკაცები, ცნობილი სწავლულები და პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთა შორისაა აშშ-ს დიდი პრეზიდენტი ჯ.ფ. კენედი.

X.

საამაყოა, რომ არლინგტონის ამ წმინდა პანთეონში განისვენებს ჩვენი თანამემამულე მიხელ დადიანი, რომლის მოგონებით ამჯერად აღვნიშნავთ რუსეთ-საქარღრთველოს 1921 წლის ომის 66 წლისთავს.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2007 წლის თებერვალ-მარტი

## "დ ა უ წ ე ვ ე ლ ი   უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა"

---

ისევ იწყება მოსკოვ–ვაშინგტონის სამხედრო მეტოქეობა?..

---

I.

"დაუწეველი უპირატესობა" – ასე უწოდებს ზიგესმუნდ ილზემანი (**"Sp.", 8/2007, S. 116)** ვაშინგტონის ამჯერად უპირატესობას მოსკოვის სამხედრო მდგომარეობის პირისპირ, და მოყავს შესაბამისი სტატისტიკური ცნობები:

1. აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი 2007 წელში უდრის..................................582 მილიარდ დოლარს;
2. რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი 2007 წელს კი უდრის.........31 მილიარ დოლარს.
3. რუსეთის ბრუტო-საშიონაო-პრუდუქცია 13-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ბრუტო-საშინაო-პროდუქცია.
4. აშშ-ს ტანკებს დღეს შეუძლიათ რუსეთის ტანკები შორიდან გაანადგუროს ისე, რომ რუსეთის ტანკებმა ვერც კი დააზიანოს ამერიკული ტანკები.
5. აშშ-ს "სტილტ"-ის ტიპის თვითმფრინავები თითქმის სრულიად შეუმჩნეველია რადარია დანადგარებისათვის.
6. "ჯი-აისს", ე.ი. აშშ-ს სალდათს შეუძლია, ავტომატურად შორს-მფრენი "დრონენით" მოწინააღმდეგეს უთვალთვალოს და თავს დაესხას ისე, რომ შეუნჩნეველი დარჩეს.
7. აშშ-ს წყალქვეშა ნავებს შეუძლიათ, უაღრესად მგრძნობიარე სენსორებით, ყოველი გემი იპოვოს და მწყობრიდან გამოიყვანოს, რომლის დროს თვითონ შეუმჩნეველი დარჩება.
8. აშშ-ს რაკეტებს შეუძლიათ რუსეთის მთელი ატომური შეიარაღება "გამოთიშოს" ისე, რომ რუსეთს "პასუხის" გაცემა აღარ შეეძლება. და, ასე შემდეგ.

II.

მიუხედავათ სამხედრო და სამოქალაქო ძალთა ამგვარი უთანოსწორობისა აშშ-ს და რუსეთს შორის, რუსეთის პრეზიდენტმა – ვლადიმერ პუტინმა – მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე, მიმდინარე წლის თებერვალში, – გაალევივა შული ვაშინგტონსა და კრემლს შორის. რუსეთი წინააღმდეგია აშშ-ს სარაკეტო ბაზების შექმნისა პოლონეთსა და ჩეხეთში; ვაშინგტონი კი ეჭვის თვალით უყურებს რუსეთის ჩაბმას ახლო აღმოსავლეთის შეიარაღების ოპერაციებში.

III.

როგორც ჩანს, რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობაც უარს ვერ ამბობს მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის აწ დრომოჭმულ იმპერიულ პოლიტიკაზე, რომ რუსეთიც გახდეს, როგორც საფრანგეთი, ინგლისი თუ გერმანია – თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, და გვერდში ამოუდგეს აშშ-ს.

IV.

აშშ-ს კი ჩვენ ვთვლით ერთად-ერთ ანტიკოლონიურ (14 ივლისი, 1776 წელი) და ადამიანისა და "ნაციის" თავისუფლების დამცველ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომლის ჩირაღდანი (არა მარტო ეუროპაში) გახდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობა", რომლის ლოღიკურ განვითარებათ გვესახება ჩვენ 1893 წლის 7(20) თებერვალი ("ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა"), რის ჩირაღდანია – თავის მხრივ – 1918 წლის 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის და



US AIR FORCE /

სუვერენობის ისევ-აღდგენის დღე, რაშიც ჩაქსოვილია დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობ.

V.

ამდენად, რუსეთისათვის, რუსი ხალხისათვის უკეთესი არ არის არა აშშ-ს "დაუწეველ უპირატესობაში" შეჯიბრი, და ამით სამხედრო მეტოქეობა, არამედ ერთად მოქმედება, რომ გარდალახულ იქნას ჯებირები დემოკრატიული წესყობილებისაკენ მსოფლიო მასშტაბით?..

VI.

აი, საკითხი, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და მისი მიმდევარნი.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2007 წლის 16 მაისი

სურათზე: აშშ-ს "უჩინარი ბომბდამშენი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ”პეკინი აძლიერებს კერძო საკუთრების უფლებებს”

I.

“ჩინეთი აძლიერებს კერძო საკუთრების დაცვის უფლებებს და ამით აუქმებს კომუნისტური სისტემის ერთ ძირითად სვეტს. ჩინეთის მთავრობამ, 8 მარტს, 2007 წელს, შეიტანა კანონის პროექტი პარლამენტში, რომლითაც, პირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში, კერძო საკუთრება და სახელმწიფო საკუთრება ერთნაირად არის დაცული. ამით პეკინი მოელის უფრო მეტ კაპიტალდაბანდებას უცხოეთიდან”, – იტყობინება რეიტერის სააგენტო.

II.

“სინამდვილეში, – წერს კომენტატორი ჰაბო – ეს კანონი უკანიდან მიყვება სინამდვილეს. ჩინეთში არსებულ საბაზრო მეურნეობას, მანჩესტერულ კაპიტალიზმსა და სოციალისტურ გეგმიან მეურნეობას არ გააჩნია შესაბამისი კანონი. და თუ ვინმე ამ კანონის წინააღმდეგი იქნება – ის არის დენ სიაოპინის მიერ დაწყებული რეფორმების წინააღმდეგ,– იყო ამ კანონის მომხრეთა ეფექტური არგუმენტი. ქვისხანის კომუნიზმთან დაბრუნება, როგორც ეს იყო მაო ძედუნის დროს, დღეს თითქმის არავის არ სურს. სახალხო კონგრესის უმრავლესობა აზროვნობს როგორც დენ სიაოპინი: რაც მთავარია – კატა არის შავი თუ თეთრი – თაგვები უნდა დაიჭიროს.

III.

და, მანჩესტერული კაპიტალიზმის “საბაზრო მეურნეობისა” და ბოლშევიკური “გეგმიანი მეურნეობის” მანკიერებათა გარღალახვა – ხომ არ მიდის “მესამე გზით”, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს “მესამედასელებმა” – 1893 წლის 7(20) თებერვალს, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, – რომლის საყრდენი დებულება გახდა:

“ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა?..”

IV.

ვითომ შესაძლებელია ჩინური “მარჩესტერული” კაპიტალისტური საბაზრო მეურნეობისა და კომუნისტური დიქტატურის ერთმანეთთან შეთავსება?..

V.

თუ ძალაში რჩება “მესამედასელთა” აღნიშნული “მესამე გზა”, რომლის საფუძველია ს о ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატია?..

კ.ი.–ჰაბო, 8.3.2007 წელი

---

## “ამერიკა არ არის იმპერია”

“ამერიკა არ არის იმპერია.” აშშ-ს არმია ისეა გაწრთვნილი, რომ ჭიშკარში შევიდეს, დიქტატორი სავარძელიდან ცემატყებით ჩამოაგდოს და სახლში დაბრუნდეს. ამბობს იოსეფ ს. ნეი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მთავრობის კენედის სკოლის დეკანი. ის ამბობს აგრეთვე: “ამერიკამ, საკუთარი ინტერესების გამო, მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს დანარჩენი მსოფლიოს საჭიროებას. თუმცა მის ინტერესებში შედის ის, რომ აშშ ძლიერი იყოს”.

**Joseph S. Ney: Soft Power, 2004**

«**Amerika ist kein Imperium.**» Die Armee der USA ist darauf ausgerichtet, die Tür einzutreten, den Diktator aus dem Sessel zu prügeln und nach Hause zu gehen. Sagt Joseph S. Nye, Dekan der Kennedy School of Government der Universität Harvard. Er sagt auch: Im eigenen Interesse sollte Amerika mehr Rücksicht auf die Bedürfnisse der übrigen Welt nehmen. Doch in deren Interesse ist es, dass die USA stark bleiben.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

## 26 მაისის დღესასწაული პარიზსა და ლევილში

I.

პარიზი და ლევილი დღესაც, პოლიტიკური ემიგრაციის მეორე თუ მესამე თაობის დროსაც, 26 მაისის ეროვნული დღესასწაულის მთავარი ადგილია, უცხოეთში, თუმცა 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა საქართველომ ისევ აღადგინა დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, – ჩვენ, ქართველობას უცხოეთში გაგვაჩია არა პოლიტიკური ემიგრაცია, არამედ ქართული დიასპორა, რომელიც მიმოფანტულია მსოფლიოს თითქმის ყოველ კუთხეში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში.

II.

და რა გასაკვირია, რომ ქართველები აღნიშნავენ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს – 26 მაისს – ყველგან, რომლის დროს 26 მაისის დღესასწაული განსაკუთრებული ხასიათისაა უცხოეთში პარიზში – თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის – ამ მსოფლიო დედაქალაქში.

III.

საერთოდ, გაზაფხულის ამ შესანიშნავ – მაისის თვეში – 26 მაისს –გვერდს უმშვენებს ისეთი ჩვენი ეროვნული დღესასწაული, როგორიცაა "თამარობა" –"წმინდა კეთილმორწმუნე მეფისა თამარისა (1213 წელი)", ჩვენი "ოქროს ხანის" სიმბოლოსა, თუ, საერთოდ, დღესასწაული – ტრადიციის "გაფურჩქვნა-გაზრდის გონისა", რაც თანამედროვებამ საერთაშორისო მშრომელთა დღესასწაულად აქცია, რასაც აღვნიშნავთ პირველ მაისს.

IV.

ამდენად, ქართველობა, რომლებიც დროებით თუ მუდმივად უცხოეთში ცხოვრობენ, საქართველოს ხალხთან ერთად აღნიშნავს – ჩვენს დიდ ეროვნულ დღესასწაულს 26 მაისს განსაკუთლებული შთაგონებით პარიზსა და ლევილში.

V.

ამ დროს პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარი – არქიმანრიტი არჩილი – მოიგონებს საქათველოს თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ თანამემამულეებს, ხოლო ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე – ბატონი ოთარ ზურაბიშვილი – ულოცავს ქართველობას ჩვენს დიდ ეროვნულ ღესასწაულს – 26 მაისს!..

კ. ი., პარიზი–ლევილი, 2007 წლის 26 მაისი

---

## "Super-Erde" = "სუპერ–დედამიწის" აღმოჩენა

ევროპიელმა ასტრონომებმა კოსმოსში აღმოაჩინეს ერთი მნათობი, რომელზედაც ისეთი პირობები არსებობს როგორც დედამიწაზე. ეს მნათობი დაშორებულია ჩვენგან 20 სინათლის წლით, არის ერთნახევარჯერ უფრო დიდი, ვიდრე დედამიწა და დაფარული უნდა იყოს კლდეებით თუ წყლით. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სუპერ-დედამიწაზე არსებობს ტემპერატურა ნოლიდან – ორმოც-გრადუსამდე", – განაცხადა ჟენევის ობსერვატორიის მკვლევარმა სტეფანე უდრიმ. ამდენად ამ მნათობზე უნდა არსებობდეს პირობები ცოცხალი არსების შექმნისათვის.

ამ ახალი მნათობის მასა უდრის ჩვენი დედამიწის მასის დაახლოებით ხუთჯერ მეტს და მის მზეს გარშემო უვლის მხოლოდ 13 დღეში, მეტად მოკლე დაშორებით, ვიდრე ჩვენი დედამიწისა და მზის დაშორებაა. მაგრამ ამ ახალი სუპერ–დედამიწის მზე პატარა და უფრო "ცივია", ვიდრე ჩვენი მზე. ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს სუპერ-დედამიწა არის იმ ზონაში, სადაც ცხოვრება თეორიულად შესაძლებელია.

"სუპერ–დედამიწა", 25.4.2007 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ე გ ო ბ რ უ ლ ი   შ ე ხ ვ ე დ რ ა

## ჩვენი სახელოვანი მომღერალი პაატა ბურჭულაძე მიუნხენში

I.

აწ მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი პაატა ბურჭულაძე, მიუნხენის (გერმანია) ქართულმა სათვისტომომ, 2007 წლის 4 მარტს, დაპატიჟა საღამოზე, რომელიც გაიმართა, მიუნხენთან არსებულ ქალაქ გარხინგის "მოქალაქეთა სახლში", მომელსაც დაესწრო მრავალი ადამიანი.

II.

ეს მეგობრული შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა გერმანიის ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ, დოქტორმა ლერი დათაშვილმა, რომელმაც – მიესალმა რა ბატონ პაატა ბურჭულაძეს – ამ შესანიშნავი საღამოს მოდერატორობა გადასცა ბატონ ვიტალი სიხარულიძეს, რომელიც, თავის მხრივ, არა მარტო კარგად იცნობს ჩვენი სახელოვანი მომღერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას, არამედ ამავდროულად არის წამყვანი მევიოლინე საქართველოს კამერული ორკესტრისა, რომლის სადგომი გახდა ქალაქი ინგოლშტადტი (გერმანია), სპონსორი კი – გერმანიის დიდი საავტომობილო ქარხანა "აუდი".

III.

ვიტალი სიხარულიძემ ამ მეგობრული შეხვედრის დამსწრეთ, – გააცნო რა ჩვენი ამ დიდი მომღერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ, – ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო მოღვაწეობაც საქართველოში, რომლის ცენტში დგას, გასაგებია, საქართველოს, ჩვენი ერის დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურელი და სოციალური სიდუხჭირის დარღალახვა.

IV.

მთავარი მიზეზი ამისა კი არის, პაატა ბურჭულაძის აზრითა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დანაწევრება, რომლის უკან დგას უცხო ძალა, რომელიც ჯერჯერობით მოხერხებულად იყენებს საქართველოში მცხოვრებ არა მარტო აფხაზ თუ ოს ექსტრემისტებს, არამედ რუსოფილ ქართველობასაც, ე.ი. ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის ვაი-პოლიტიკის მიმდევრებსაც.

V.

მაგრამ ჩვენი სახელოვანი ხელოვანიც დარწმუნებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანოს მალე აღდგენაში, რის შესახებ იგი ამბობს:

– ჩვენ, აფხაზები და ქართველობა, ყველა, ერთად ვიქნებით გამარჯვებულები. ამიტომ ჩვენ ისევ ისე უნდა გავერთიანდეთ, რომ სამუდამოთ მოვიშოროთ თავიდან ყოველი ჯურის ისპერიალიზმი, რომელი მხიდანაც არ უნდა ქგემუქრებოდეს იგი.

VI.

ამით კი პაატა ბურჭულაძე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი ნარის არა მარტო მსოფლიო მასშტაბის დიდი ხელოვანი, არამეგ აგრეთვე დიდი ქართველის – მაგალითის მომცემი ყველა ქართველსათვის. და რა გასაკვირია, რომ დამსწრე ქართველობამ ტაშის გრიალით შეხვდა მას და უსურვა წარმატებები მის პრად და საზოგადოებივ ცხოვრენაში.

VII.

ეს შესანიშნავი შეხვედრა დაგვირგვირდა საერთო ქართული სუფრით, რომელიც გაიმართა "მეგობრული შეხვედრის" შემდეგ, გარხინგის "მოქალაქეთა რესტორნის" მთავარ დარბაზში, რომლის დროს ჩვენმა მომღერალთა გუნდმა არა ერთი გალობა და სიმღერა შეასრულა ჩვენი პაატა ბურჭულაზის საპატივმცემლოდ, – მუსიკოს ვიტალი სიხარულიძის ლოტბარობით.

VIII.

დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე ბატონო ლერი დათაშვილი და ჩვენი სათვისტომოს გამგეონის მთელი შემადგენლობა ამ "მეგობრული შეხვედის" ორგანიტაციისათვის.

დამსწრე – მიუნხენი-გარხინგი, 4.3.2007 წელი, კვირა

## ამონაწერი კრიტიკიდან:

მოდესტ მუსორგსკის ოპერაში "ხოვანშჩინა" "...მაღალი დონის მომღერლები ასრულებენ მთავარ როლებს: პაატა ბურჭულაძე და კლაუს ფლორიან ფოგტი..."

**Klaus Kalchschmid**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაატა ბურჭულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა

აქ ვაქვეყნებთ ბატონ ვიტალი სიხარულიძის ცნობას (სურათზე მარცხნივ) ჩვენი სახელოვანი ხელოვანის – პაატა ბურჭულაძის – ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ბატონი ვიტალი სიხარულიძე არის საქართველოს კამერული ორკესტრის წამყვანი მევიოლინე, რომელიც მოღვაწეობს უმთავრესად დასავლეთ ევროპაში. ამ ცნობის მასალები კი მოგვაწოდა ქალბატონ ნინო ცხომელიძე-დეპარშმიდტისამ.




## მე საქართველო არასოდეს არ დამიტოვებია

ადრეული გაზაფხულის ულამაზესი დღე იდგა მიუნხენში, როცა ქართველი ემიგრანტები მნიშვნელოვანი საღამოს მზადებაში იყვნენ. 4 მარტს ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები საამაყო პიროვნებას, სახელგანთქმულ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს შეხვდნენ. თავისთავად ეს უმნიშვნელოვანესი დღე სიყვარულისა და დაფასების საღამოდ გადაიქცა. აქ შეკრებილი ახალგაზრდობა თუ სათვისტომოს უხუცესი წარმომადგენლები გულისყურით გაეცნენ დიდი მაესტროს შემოქმედებით ცხოვრებას.

საღამოს წამყვანმა, მუსიკოსმა ვიტალი სიხარულიძემ საზოგადოებას თანმიმდევრულად შეახსენა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მომღერლის პირველი ნაბიჯები, რომელსაც საქართველოში იმთავითვე მქუხარე ტაში მოჰყვა, შემდეგ მისი საერთაშორისო აღიარება და ცნობილი საოპერო თეატრების მოწვევები, რუსეთის პატრიარქის მიერ პაატასათვის ნაბოძები „თავადის წოდება" თუ კარაიანისგან „შალიაპინად" მონათლული ახალი გენიის შემოქმედებითი წარმატებები. ბატონმა ვიტელიმ გაიხსენა ცნობილი მომღერლის თენგიზ ზეინკლიშვილის სიტყვები: „იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც მეორე კაცზე ფიქრობს" და დაამატა: „პაატა მეორეზე კი არა ყველაზე ფიქრობს". ამ სიტყვებით მან ხაზი გაუსვა მოწვეული სტუმრის დიდ პატრიოტულ და მოქალაქეობრივ სულისკვეთებასაც, რომელიც ყველაზე მეტად მისი თავკაცობით შექმნილ ფონდ „იავნანას" ეხება.

შემდეგ კი, უკვე თავად სტუმარმა ითხოვა სიტყვა და მოიწადინა გულახდილი საუბარი იქ შეკრებილ ქართველებთან. კითხვა – პასუხი, რომელიც თითქმის ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა მომღერლის შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებით, დარიგებით, გახსენებითა და ოპტიმისტური განწყობის შექმნით გაილია.

## „შალიაპინია“– ამ ფრაზამ შემიქმნა კარიერა.

თუმცა, სანამ ჩვენი დიდი მომღერლის იღბლიანობის საიდუმლოს გაგანდობდეთ, ჯერ მისი ცხოვრების ის მომენტები გავიხსენოთ, რომლის წყალობითაც იგი საერთოდ, მუსიკოსად მოგვევლინა. თავად მის სიტყვებს თუ ყურს დავუგდებთ, მართლაც დავინახავთ, რომ პაატა ბედისწერამ საბედისწერო ძაფზე ფრთხილად გაატარა და მარადიული ხელოვნების ნავთსაყუდელში ააგიზგიზა. შეიძლება ყურს უხეშად მოხვდეს კიდეც საბედისწერო ძაფებზე და იღბალზე ყურადღების გამახვილება, როცა ვსაუბრობთ თანდაყოლილი ნიჭის მქონე პიროვნებაზე, რომელიც თავადაც ასე ამბობს: „ჯერ სიმღერა დავიწყე და მერე ლაპარაკი“. მაგრამ ისევ თუ მის მონაყოლს ჩავუკვირდებით, ადვილად მივხვდებით, რატომ საუბრობს იღბალზე მომღერალი, იღბალზე, რომელმაც მასთან ერთად ჩვენი ქვეყანაც ასე ასახელა.

დავიბადე და გავიზარდე თბილისში, ძველ პლეხანოვზე. სიმღერა მე ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ არასოდეს არ ვფიქრობდი მომღერლობაზე. თავიდან მრცხვენოდა კიდეც კონცერტებზე გამოსვლები. განსაკუთრებით ბაფთის გაკეთებას ვერ ვეგუებოდი. მახსოვს, ჩემი პირველი კონცერტი იყო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, კულისებიდან ერთ ჩემ ნაცნობ პლეხანოველს მოვკარი თვალი. ამ ბაფთის გამო ისე შემრცხვა სცენაზე გამოსვლა, რომ როცა ჩემი გვარი გამოაცხადეს მე უკვე იქ აღარ ვიყავი, ჩუმად გავუჩინარდი. პროფესიითაც მშენებელ – ინჟინერი მინდოდა გამოვსულიყავი, საბუთების ჩაბარება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მშობლებმა ძალიან მთხოვეს აზრი შემეცვალა და კონსერვატორიაზე მეფიქრა. თხოვნასთან ერთად მათ

ერთი პირობაც მომცეს: თუ კონსერვატორიაში ჩააბარებ მანქანას გიყიდითო. მანქანა კი ისე ძალიან მინდოდა, რომ მათ სურვილს დავემორჩილე. დღეს ხშირად ვფიქრობ, მაშინ ჩემს მშობლებს, რომ არ შეძლებოდათ ჩემთვის მანქანის ყიდვა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

კონსერვატორიის მე-3 კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც პირველად თბილისის საოპერო თეატრში შევასრულე მეფისტოფელის პარტია. ეს ის დროა, როდესაც ოპერაში ქართველ მომღერალთა „ვარსკვლავთცვენა“ იყო. სწორედ, მაშინ დავიმსახურე მაყურებლისაგან მქუხარე ტაში. ამ ფაქტმა სერიოზულად ჩამაფიქრა და სცენასთან დამაახლოვა. საერთოდ, მინდა აღვნიშნო, ვინც ერთხელ სცენაზე ტაშს მიიღებს, ის ვეღარსად ვეღარ წავა, სამუდამოდ მისი ერთგული იქნება.

ევროპაში ჩემი პირველი გამოსვლა შედგა 1984 წელს ლონდონში, კოვენტ გარდენის სამეფო საოპერო თეატრის სცენაზე. ამ მოვლენას თავისი საბედისწერო ისტორია გააჩნია: ჩაიკოვსკის კონკურსზე ვიღებდი მონაწილეობას. ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ბატონი რობინსონი დაინტერესდა ჩემი ხმით და ლონდონში დაურეკა თავის მეგობარ იმპრესარიოს. მანაც არ დაიზარა, დაუკავშირდა გოსკონცერტს და ჩემი ჩანაწერი სთხოვა. არც იქ დააყოვნეს და ლონდონში გააგზავნეს იგი. მალე გასინჯვაზე მეც გამომიძახეს. საბედნიეროდ, მათ ძალიან მოეწონათ ჩემი ხმა. ამავდროულად, შემთხვევით, შემდეგ სეზონზე ოპერა „აიდაში“ თავისუფალი აღმოჩნდა ერთ-ერთი წამყვანი პარტია, რომლის შესრულებაც მე მომანდეს. გასაოცარი იყო აგრეთვე, რომ ამ სპექტაკლში მღეროდა პავაროტი და სხვა სახელგანთქმული მომღერლები. სწორედ მათ გვერდით შემამჩნია დიდმა მაესტრომ – ჰერბერტ ფონ კარაიანმა და მისმა ორმა სიტყვამ „იგი მეორე შალიაპინია“ შემიქმნა კარიერა. ეს სიტყვები ნათქვამი აღმოჩნდა საჭირო დროს, საჭირო ადგილას. მე ვთვლი, რომ არის ბევრი ნიჭიერი ადამიანი, რომლებმაც უიღბლობის გამო ვერ მიაღწიეს საწადელს.

## თეატრი მეორეჯერ არ მოგისმენს

მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერის ასე მჯერა, ქართველ ახალგაზრდებს, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთ საყურადღებო რჩევას მაინც მივცემ. ნუ შეცდებიან და უსწავლელი აქეთ ნუ გამოეშურებიან. მას განსაკუთრებით კონსერვატორიის სტუდენტების გასაგონად ვიტყვი. ისინი თავს იღუპავენ, როცა მე-3 კურსიდან ევროპაში მიემგზავრებიან სწავლის გასაგრძელებლად. ავსტრიაშიც კი, სადაც მუსიკალური ხელოვნება უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი, სწავლის დონე საკმაოდ დაბალია. იდევ უფრო სახიფათოა, როცა ისინი თეატრებს მიმართავენ და გასინჯვებზე გადიან. მერწმუნეთ, სათანადო მომზადების გარეშე კარიერის შექმნა წარმოუდგენელია. აქ მხოლოდ დიდი გამოცდილების ადამიანი უნდა ჩამოვიდეს. მინდა გითხრათ, რომ მე დღესაც სწავლისა და მუდმივი კონტროლის ქვეშ ვიმყოფები.

მართალია, დღეს მსოფლიო საოპერო თეატრებს არაერთი ცნობილი ქართველი მომღერლების სახეები ამშვენებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ეს რიცხვი ერთიორად გაიზრდებოდა ბევრ ახალგაზრდას, რომ არ ეჩქარა აქეთ წამოსვლა.

## 120 ჯოხი

ჩემი კარიერის დასაწყისში გამიჩნდა იდეა შემეგროვებინა იმ დირიჟორთა ჯოხები, რომლებთანაც მომიწევდა თანამშრომლობა. ვფიქრობ ამ ჩანაფიქრს წარმატებით გავართვი თავი. დღეისათვის ჩემს კოლექციას 120 გამორჩეული დირიჟორის ჯოხი ამშვენებს, საკუთარი ავტოგრაფებით. პირველი ასეთი ჯოხი კარაიანისგან მერგო. ისინი ყველა თბილისში, ჩემს სახლში მაქვს. მათ დედაჩემი სათუთად ინახავს.

## „იავნანა“

თბილისში, საოპერო სცენაზე ჩემი მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს მზადებაში ვიყავით, როცა გვეწვივნენ მსოფლიო კვების პროგრამის წარმომადგენლები და გვთხოვეს ამ საღამოზე სიტყვით გამოსვლა ,რადგანაც იცოდნენ, რომ იგი პირდაპირ ეთერში გავიდოდა და მას საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტიც დაესწრებოდა. მათ სურდათ ხალხისათვის ეამბათ, თუ რას აკეთებდნენ საქართველოში, როგორ აპურებდნენ 200 ათას მშიერ ადამიანს. მათი თხოვნით მეც ვეწვიე „იმედის სახლს“ იქ მისვლისთანავე ვიგრძენი, რომ მეც უნდა ჩავმდგარიყავი გაჭირვებული ხალხის სამსახურში. მალე ფონდის გახსნის იდეაც მეწვია. მადლობა ღმერთს, რომ ეს ტკივილი ყველამ გაიზიარა, ყველა გვერდში ამომიდგა და დამეხმარა ფონდის ჩამოყალიბებაში.

დღესდღეობით საქართველოში 5400 უპატრონო ბავშვია. ამათგან 146 ობოლი. დანარჩენი მშობლები უკიდურესი გაჭირვების გამო ვერ ინახავენ შვილებს და იძულებულნი არიან ბავშვთა სახლებში ჩააბარონ ისინი. სწორედ ასეთ გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარება ფონდი „იავნანა“. მას კი თავისთავად მთელი ქართველი ხალხი უმაგრებს ზურგს. უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც ფართოდ ჩაებნენ ამ აქციაში. ფონდის დაარსებიდან დღევანდელ დღემდე 96 ბავშვი დავაბრუნეთ მშობლებთან. ბევრ მათგანს დასასვენებლადაც ვაგზავნით. მაგალითად შარშან 80-მა ბავშვმა დაისვენა საბერძნეთში, ზოგიერთი მათგანი ბრატისლავაშიც იყო სამკურნალოდ.

აპრილში, ქალბატონი სესილია თაყაიშვილის 100 წლისთავის საიუბილეო საღამო ჩატარდება თბილისში, სადაც დაგეგმილი გვაქვს 11 შვილის დედას გადავცეთ ბინის გასაღები. მომდევნო საქველმოქმედო საღამოები ესპანეთში, ბერლინში იგეგმება.

## მომღერალი და მსმენელი

ყველა ბანის ოცნება ბორის გოდუნოვის შესრულებაა. მე ეს პარტია თითქმის ყველა ცნობილ საოპერო თეატრში მაქვს ნამღერი. თუმცა, ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მიწევს თუნდაც ერთი და იგივე ნაწარმოების შესრულება.

გერმანიაში მაყურებელი ისე ითხოვს შესრულებას, როგორც ნოტებში წერია. ერთი წერტილიც რომ მიუმატო არ მოეწონება. ლათინურ ამერიკაში კი, თუ ტანზე არ შემოიხიე ტანსაცმელი არ მოგისმენენ. იტალიაში მელოდიას ეთაყვანებიან, თუ ცუდად იმღერებ პომიდორიც შეუძლიათ გესროლონ. ამას რუსეთში არ აკეთებენ, გისმენენ და თუ არ მოეწონები შეგიცოდებენ მაინც. საქართველოში კი ხმით ფასდება მომღერალი.

## დასამახსოვრებელი კონცერტი

აფხაზეთში გაგანია ომი იყო გაჩაღებული. ქართული ჯარი, სხვა თუ არაფერი გამხნევებას მაინც იმსახურებდა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამომეყვანა ჩემი მეგობრები და საქართველოს ჯარის მხარდასაჭერად კონცერტი ჩაგვეტარებინა. ამ საქმის მოსაგვარებლად ბატონ ედუარდ შევარდნაძემ თვითმფრინავი გვათხოვა. კონცერტი შედგა, იგი პირდაპირ ეთერშიც გავიდა. ამ კონცერტს ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. აფხაზეთში დაბრუნების იმედი მე არასოდეს არ დამიკარგავს. მე მჯერა, რომ მალე ისევ ერთად იცხოვრებენ ქართველები და აფხაზები, ძმურად, ისე როგორც საუკუნეების განმავლობაში იყო. სასწაული ხდება, თანაც თუ იგი გჯერა. ჩვენ კი გვჯერა ძლიერი და ერთიანი საქართველოს მომავლის.

## ქართული სათვისტომოები უცხოეთში

უცხოეთში თავმოყრილი ქართველები, რომლებიც თავისი ნებით არიან წამოსულნი თუ ჯენოციდის შედეგად გაგდებულნი მშობლიური მიწიდან, სათვისტომოების ნაწილი ხდებიან. უამრავი საერთო მიზნებიდან თუ პრობლემებიდან გამომდინარე, სათვისტომოები ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან. მაგალითად, მიუნხენის ქართულ სათვისტომოში ყველანი საკუთარი ნებით ხართ წამოსული და სამშობლოშიც მაშინ დაბრუნდებით, როდესაც ამას თავად მოისურვებთ. თუნდაც ამ ნიუანსის წყალობით თქვენ უპირატესობა გაგაჩნიათ. რამოდენიმე წლის წინ ოდესაში მე შევხვდი აფხაზეთიდან დევნილ ქართველებს. ისინი ფსიქოლოგიურად უმძიმეს პირობებში არიან. მე აღფრთოვანებული დავრჩი ამ ხალხის მონდომებით. მათ ნამდვილი საქართველო შექმნეს უცხო მიწაზე: ჩამოაყალიბეს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, აწყობენ ლიტერატურულ საღამოებს, ღონისძიებებს, აქვთ ქართული სკოლა. დამეთანხმებით სამშობლოდან გაგდებული ქართველის ბედი ყოველი ჩვენთაგანისათვის ორმაგად მტკივნეულია.

მიუხედავად იმისა, რომ მეც ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდს უცხოეთში ვატარებ, ვთვლი, რომ საქართველო არ დამიტოვებია. ძალიან ხშირად ჩავდივარ თბილისში. ტრაგედიაა ჩემთვის, თუ ახალ წელიწადს იქ ვერ ვხვდები. აი, მაშინ მეწვევა ნოსტალგია...

ამჟამად, მიუნხენის სახელმწიფო თეატრში ხუთი სპექტაკლი მაქვს დაგეგმილი. მარტში მ. მუსორგსკის „ხოვანშჩინა"-ს პრემიერა შედგება. შემდეგ ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი".

მახსენდება აქ ჩემი პირველი ჩამოსვლა. ეს იყო 1985 წელი. მაშინ ვერდის „აიდა"- ში უნდა მემღერა. მოულოდნელად, წინა დღეს ძალიან ცუდად გავხდი, კუჭის გავლა დამემართა. ბატონი ვახტანგ ჩხეიძე რომ არა, არ ვიცი რა დამემართებოდა. მან ერთ დღეში დამაყენა ფეხზე, ისე რომ იმის შემდეგ აღარ წავქცეულვარ. მიუნხენში მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს კირკიტაძეების ოჯახთანაც.

## მუსიკალური ჩანართი – პარმენ მიქაძე

ამ საღამოს არაერთი ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი დაესწრო. ბევრი მათგანი დღეს ევროპის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში ეუფლება ცოდნას და წარმატებული მომავლის მოლოდინშია. მათთვის ალბათ, კიდევ უფრო მეტად საინტერესო იყო ცნობილ თანამემამულესთან შეხვედრა, მისი შემოქმედებითი ცხოვრების უკეთ გაცნობა.

მუსიკალური ნომერი, რომელიც პიანისტ პარმენ მიქაძემ შეასრულა, საღამოს ამაღლებული განწყობის ეპიცენტრად გადაიქცა. მქუხარე ტაშს ჩვენი მაესტროს შეძახილებიც მოჰყვა. „აწი შენც შეგიძლია იამაყო, თავად პაატა ბურჭულაძემ ტაში დაგიკრაო" – ისმოდა გულმხურვალე მილოცვები.

ვიტალი სიხარულიძე

[illegible] 2007 [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰანს-დიტრიხ გემშერის დაბადების 80 წლისთავი

I.

გერმანიის “მარადიულ” საგარეო საქმეთა მინისტრს – ჰანს-დიტრიხ გემშერს შეუსრულდა დაბადებიდან 80 წელი, რაც შესაფერისი შთაგონებით აღნიშნა არა მარტო გერმანიის მოსახლეობამ, რადგან მას თვლიან არა მარტო გერმანიის გაერთიანების არქიტექტორად, არამედ აგრეთვე ევრობის გაერთიანების ერთერთ არქიტექტორად. და თუ ჩვენც, ქართველობაც აღვნიშნავთ მისი დაბადების 80 წლისთავს, ეს გამოწვეულია აგრეთვე იმითაც, რომ გენშერი არის ქართველი ერის, საქართველოს დიდი მეგობარი, რაც გამოიხატა გენშერისა და შევარდნაძის მჭიდრო მეგობრობაში.

II.

ჰანს-დიტრის გენშერი დაიბადა ქალაქ ჰალეში 1927 წლის 21 მარტს. იგი პროფესიით არის ვექილი. გენშერი ახალგაზრდობიდანვე ჩაება გერმანიის ლიბერალური პარტიის მოღვაწეობაში; და იგი გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიისა და გერმანიის ლიბერალური პარტიის “დიდი კოალიციის” დროს – 1969–1974 წლებში – გახდა გერმანიის საგარეო საქმეთა მონისტრი და ვიცე-კანცლერი.

III.

გენშერი დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკურ დაპირიპირების დროს, ცდილობდა “გაწონასწორების პოლიტიკური ხაზის” ცხოვრებაში გატარებას, რის შედეგად იგი დაშორდა გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ კურსს, და დაუახლოვდა გერმანიის ქრისტიანული პარტიების პოლიტიკურ კურსს, რასაც მოყვა, 1982 წელს, ქრისტიანულ პარტიებთან კავშირი, რის შედეგად გენშერი ისევ გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-კანცლერი.

IV.

და ამ დროს მიმდინარეობდა “გარდაქმნისა და გალხვობის” გორბაჩოვისეული პოლიტიკა საერთასორისი მასშტაბით, რითაც გზა გაეხსნა გერმანიის გაერთიანებას, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გერმნიისა საგარეო საქმეთა მონისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა და საბჭოთა კავშირის მაშინდელმა საგაერო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ.

V.

”ჰანს-დიტრის გენშერი 23 წლის განმავლობაში იყო გერმანიის მინისტრი. მაგრამ ისტორიულად გამარჯვებული გახდა იგი ერთ წელიწადში, როცა ბერლინის კედელი დაიშალა”, – წერს პოლიტოლოგი დირკ კურბიევაიტი (“შპ.”, 13.2007, გვ.102) და დასძენს: “ამ ერთმა წელიწადმა გააკეთილშობილა მისი ცხოვრება...”.

VI.

და ამდროს, ედუარდ შევარდნაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანიის გაერთიენების მეტად რთული პრობლემების მოგვარებაში, რომლის დროს გენშერი, როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, და შევარდნაძე, როგორც სსრკ-ას საგარეო საქმეთა მინისტრი, აქტიურად მოქმედენდენ, რაც წარმატებით დასრულდა.

VII.

და როცა საბჭოთა კავშირი, შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად, 1991 წლის 27 დეკემბერს დაიშალა, ხოლო საქართველომ – ჯერ კიდევ სსრკ-ას დაშლამდე – 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა აღადგინა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის “დამოუკიდებლობის აქტის” შესაბამისად, და 1993 წელს ედუარდ შევარდნაძე გახდა საქართველოს პრეზიდენტი, გენშერისა და შევარდნაძის მეგობრობა კიდევ უფრო გარღმავდა, რაც გრძელდება დღემდე.

VIII.

ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ჰანს-დიტრიხ გენშერის დაბადების 80 წლიათავი ასე შთამაგონებლად აღინიშნა, რომელსაც დაესწრო 1500 დაპატიჟებული სტუმარი, რომელთა შორის იყო არა მარტო გერმანიის ამჟამინდელი კანცლერი – ანგელა მერკელი, არამედ ისეთი დამსახურებული საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწეები, როგორიცაა აშშ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი – ჰენრი კისინჯერი, თუ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

IX.

მაშ, ვუსურვოთ დღეგრძელი და ბედნიერი ცხოვრება ჰანს-დიტრის გენშერს მის კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!..

კარლო ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## L'ambassade de Géorgie en France

**Coordonnées**

- 104 avenue Raymond Poincaré, 75116 Paris. Métro : Victor-Hugo
- Tél. 01 45 02 16 16
- Services consulaires assurés sur place.

**Les ambassadeurs**

L'ambassade, ouverte après le retour à l'indépendance de la Géorgie en 1991, a connu quatre titulaires différents :

- Jusqu'en janvier 2004, **M. Gotcha Tchogovadzé** (Gocha Chogovadze), physicien et membre de l'Académie des Sciences de Géorgie. Il a fait connaître la culture géorgienne en France durant près d'une décennie, en facilitant les manifestations artististiques (concerts, expositions, lecture de poèmes avec traduction). Dans ses fonctions de représentant à l'UNESCO, il a fait reconnaître les chants polyphoniques géorgiens comme partie du patrimoine oral et immatériel de l'humanité (2001). Après la "Révolution des Roses", il rejoint à titre personnel l'UNESCO. En décembre 2006, il participe à l'inauguration de la statue du pape Jean-Paul II à Ploërmel, oeuvre sculptée par un artiste géorgien, Zourab Tsérétéli.

- De février à juin 2004, **Mme Lana Gogobéridzé** (Lana Ghoghoberidze), cinéaste et représentante de la Géorgie au Conseil de l'Europe à Strasbourg, avant février 2004 et après juin 2004. Cinéaste innovante de l'époque soviétique et représentante de la Géorgie à Strasbourg, elle s'est ralliée à la "Révolution des Roses" en novembre 2003. Maintenue en poste, elle prend une sorte d'intérim à Paris en février 2004, intérim d'autant plus important qu'il couvre la première visite officielle du président Saakachvili en France.

- De novembre 2004 à décembre 2006, **Mme Natia Djaparidzé** (Natia Japaridze), professeur de civilisation et de littérature françaises à l'université de Tbilissi et ancienne responsable de la délégation du Conseil de l'Europe en Géorgie (1). Elle prend la responsabilité de l'ambassade durant une période difficile, à la suite d'une longue vacance de poste. Elle conclut les négociations d'adhésion de la Géorgie à l'Organisation Internationale de la Francophonie. Elle facilite, elle aussi, la diffusion de la culture géorgienne en France et les actions de coopération décentralisée (Eure, Lyon). Elle fait participer la Géorgie au Salon Mondial du Tourisme à Paris en 2006. Tout comme ses prédécesseurs, elle ne parvient pas à règler la question du retour à l'Etat géorgien de la propriété d'exil des responsables de la Ière République de Géorgie, à Leuville-sur-Orge, achetée en 1922 avec les fonds publics géorgiens.

- À partir du 27 décembre 2006, selon le vote du Parlement géorgien, mais avant remise de lettre de créance au président français, **M. Mamouka Koudava** (Mamuka Kudava), ancien vice-ministre de la Défense. Il possède également une forte expérience diplomatique. Ancien chargé d'affaires dans la délégation géorgienne auprès de l'OTAN (ère Chévardnadzé), il a été responsable du département États-Unis au ministère géorgien des Affaires étrangères et a participé à de nombreuses négociations internationales (ère Saakachvili).

**Le Consulat**

Les questions consulaires sont traitées par l'ambassade.

La population géorgienne résidant régulièrement en France est évaluée à 3.000 personnes.

Les questions relatives à l'immigration géorgienne clandestine sont devenues sensibles depuis que la France n'accorde plus d'asile politique aux citoyens géorgiens (mi- 2005), considérant que le niveau de démocratie instauré en Géorgie ne le justifie plus. Outre la mobilisation de l'ambassade de Géorgie, elles ont nécessité celle des ministres français de l'Intérieur et des Affaires étrangères et de celle de deux ministres géorgiens successifs des Affaires étrangères : les autorités françaises ont souhaité une obtention "rapide" de visas de retour lors des expulsions vers la Géorgie.

Depuis le 15 juin 2005, les citoyens français (comme ceux de toute l'Union européenne) n'ont plus besoin de visa pour les séjours en Géorgie de moins de 90 jours.

**Le département de l'Yonne consolide sa coopération décentralisée avec la région géorgienne de Kakhétie : 300 000 euros ont été alloués annuellement depuis 2005.**

Les réussites enregistrées les années précédentes sont multiples, l'informatisation de centres d'enseignement (Université de Télavi, Centre culturel de Gourdjaani, Institut franco - géorgien de Tbilissi), le soutien à la francophonie (Centre culturel de Gourdjaani, 35 écoles enseignant la langue française, chaire de français à l'Université de Signakhi), le soutien au théâtre (équipement des salles de Télavi et de Vélitsikhé), travaux d'aménagement dans le dommaine de l'énergie (barrage hydro-électrique destiné à alimenter le village de Shenako en Touchétie) (1).

par Mirian Méloua 15.04.2007

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## NUR “Derblecken”?.. = მხოლოდ “უხეში იუმორი”?..

I.

“Derblecken” = “უხეში იუმორი”, ან: “უხეში ენით მოლოკვა”; ანდა: “უხეში კრიტიკა” – შეიძლება იყოს “დერბლეკენ”-ის თავისუფალი თარგმანი, რაც ასე პოპულარული ტერმინია მიუნხენში “მაგარი ლუდის” პირველი ბოჭკის გახსნისას “ნოკერბერგზე”, სადაც განლაგებულია “სალვატორის” ლუდის ქარხნის ხელმძღვანელობა რესტორანითურთ.

II.

აქ ყოველი წლის 1 მარტს ხდება აღნიშნული “მაგარი ლუდის” პირველი ბოჭკის გახსნა ბავარიის (გერმანიის) პოლიტიკური მოღვაწეების “უხეში კრიტიკით”. ამგვარი “უხეში კრიტიკის” "ვარსკვლავი", 2007 წლის 1 მარტს, გახდა თურქული წარმოშობის ბავარიელი ჯანგო აზული = Django Asül –, რომლის “უხეშმა კრიტიკამ” აღტაცებაში მოიყვანა არა მარტო ბავარიელი პოლიტიკური მოღვაწეები.

III.

მაგრამ ჯერ შევეხოთ ბავარიაში (გერმანია) – ზაფხულ-შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის გვერდით, – ე.წ-ლ “მეხუთე “, ე.ი. “მაგარი ლუდის დროს”, რომელიც იწყება ყოველი წლის პირველ მარტს “მაგარი ლუდის” პირველი ბოჭკის გახსნით, რაც განმარტებისაკენ მიგვითითებს:

IV.

ლუდის სიმაგრის საზომია “ძირითადი გემო” = “Stammwürze”, რაც მერყეობს 2-დან – 28-ა პროცენტამდე, ე.ი. ალკოჰოლით 0,5 პროცენტოდან – 10 პროცენტამდე. ამის შედეგად ჩვეულებრივი ლუდი შეიცავს 7 პროცენდამდე, ჩამოსასხმელი ლუდი 11 პროცენტამდე, “სრული ლუდი” 16 პროცენტამდე და “მაგარი ლუდი” 16 პროცენტზე მეტ ალკოჰოლს.

V.

“დიდი მარხვა უფრო ადვილად რომ გადაეტანათ, – ვკითხულობთ “პაულანერ-სალვატოროს” ლუდის ქარხნის რეკლამაში, – ნოვატორ პაულანერის ბერებმა, 370 წლის წინათ, შექმნეს მაგარი და ნოყიერი პაულანერ-სალვატორის, მუქიფერის სასიამოვნო, სრულფასოვანი და არომატული ლუდი, გემოიანი “მალცით” = (“დარბილებული ხორბლეული”. ი.კ.). ეს 7,9 პროცენტიანი მუქიფერის “ორმაგი-ვაცის-სპეციალური”” (“Doppelbock-Spezialität”) ლუდი, დღესაც ასულიერებს არა მარტო გამოცდილ მსმელ პაუნალერის ბერებს, არამედ საერთოთ ლუდის მოყვარულებში აღვიძებს სიცემრიელისა და სიამოვნების ცხოვრების აზრს. გაგიმარჯოთ!”

და ეს პაულანერ-სალვატორის “ორმაგი-ვაცის-სპეციალური”” მუქიფერის ლუდი არც ისე იაფია: ნახევარი ლიტრა ღირს 3 ევრო და 40 ცენტი, ე.ი. თითქმის 8 ლარი. თუმცა იქვე ვკითხულობთ







VI.

ამდენათ “მაგარი ლუდით”შეზარხოშებული ადამიანი რომ ადვილად ვერ იცავს თავს “უხეში იუმორისაგანაც”, ეს სწორედ მელანევლება ყოველი წლის ამ “მეხუთე დროს”

მსვლელობისას, რადგან ალკოჰოლი ენასაც უფრო მოქნილს, მოძრავს ხდის, რაც გამომჟღავნდა 2007 წლის 1 მარტსაც ნოკერბერგის აღნიშულ საღამოს: ჯანგო აზუილმა დამსწრეთა და ტელემაყურებელთა საერთო აღიარება მოიპოვა გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეთა "დაუნდობელი", მაგრამ არა მხოლოდ უხეში კრიტიკით, რითაც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მოაგონა, რომ ისინიც რიგითი მოქალაქეებია და არა მხოლოდ "რჩეულთა შორის რჩეულნი". აქ კი "დემოს"="ხალხი" და "კრატეი"="ბატონობა" იფურჩქბება და ხდება "დემოკრატია მოქმედებაში".

VII.

აი, ზოგიერთი მაგალითი:

ბავარიის რეგიონალური მთავრობის პრემიერმინისტრი ედმუნდ სტოიბერი, რომელიც მიმდინარე შემოდგომაზე უნდა გადადგეს, მისი დუბლიორის პირით, მღერის:

– "ნუ იტირებთ ჩემზე, ჩემო შვილებო!"

– "... ჩემი დამსახურებიდან ერთის დატრაბახება მაინც შემიძლია. ჩემი ხელმძღვანელობის დროს კარგი არაფის გამოჩნდა... ასე, რომ მე უნდა გავხდე ჩემი მემკვიდრე!"

გერმანიის ოჯახების შვიდ-შვილიანი მინისტრი – ურზულა ფონ დერ ლაიენი, რომელიც ასე პოპულარულია საზოგადოებაში, დუბლიორის პირით მღერის:

–"საღამოს, როცა მე ბავშვების ოთახში შევალ, ვგრძნობ, როგორ სრულყოფილია ჩემი ცხოვრება; და ბედნიერი ვარ – ახლა და ყოველთვის, როცა ბავშვების ჭუჭყიან თეთრეულს ვრეცხავ."

და სიმღერითვე დასძენს:

– "მე ვარ სუპერ-ქალი – შვიდი ბავშვის დედა, რომელიც, როგორც მზის სხივები ანათებს ბნელ ხეობაში; და ამავე დროს თავს ვგრძნობ სრულიად ნორმალურად!"

VIII.

აქ კი, დავძენთ ჩვენ, ქართველობას, საქართველოსაც არ აწყენს საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ანალოგიური "უხეში იუმორი", "უხეში კრიტიკა"!..

IX.

და თუ საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემებს ჩაუკვირდებით, ჩვენთვის უფრო "ნაყოფიერი" არ იქნება, განსაკუთრებით შვიდ-შვილიანი ურზულა ფონ დერ ლაიენის მაგალითის წაბაძვა?..

X.

ამ გაგებით კი ვამბობთ: "გაგიმარჯოთ!" და "მაგარი ლუდის" სამაგიეროთ ვსვამთ, მაგარ ქართულ დალოცვილ ღვინოს – არა მარტო ყოველი წლის 21 მარტს – გაზაფხულის, განაყოფიერებისა და გაფურჩქნის მარადიულ დღეს!..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2007 წლის 1 მარტი
"მაგარი ლუდის" "მეხუთე დრო".

Elisabeth Gast Stiftung
Alte Poststraße 17
D-85598 Baldham

ელიზაბეთ-გასტის-საზოგადოება

I.

"თვით უდიდესი ბედნიერებისა და უკიდურესი გასაჭირის დროს გვესაჭიროება ჩვენ ხელოვანი".

"Selbst im Augenblick des höchsten Glücks und der höchsten Not bedürfen wir des Künstlers".

I.W. von Goethe.

II.

გოეთეს ეს სიბრძნეა ელიზაბეთ-გასტის-საზოგადოების = Elizabeth-Gast-Stiftung – დედა-აზრი, რომელიც ხელოვანი ემილ ნოლდეს პირით გვეუბნება:

"ხელოვნება მოდის ადამიანებიდან და არის ადამიანებისათვის შექმნილი. მისი ფორმები იქმნება ცხოვრებისეული სიყვარულით სიცოცხლისადმი. ის აკავშირებს ადამიანებს და უქმნის პოზიტიური ცხოვრების გრძნობას. ხელოვნება არის ღვთაების სარკე, რაც არის კაცობრიობა".

III.

ყოველი მეტაფორა, როგორი გაცვეთილიც არ უნდა იყოს იგი, – არის ყოველთვის მხოლოდ დამხმარე საშუალება – წარმოიდგინო რეალური ფაქტები, რომლის დროს

ადამიანი ლაპარაკობს "ხიდის გადებაზე", რომ შესაძლებელი გახდეს რაიმე განშორებულის გარღალახვა.

IV.

ელიზაბეთ-გასტის-საზოგადოების მხატვრული ქმედებანი საქართველოში არის უბრალო და უშუალო ადამიანებიდან—ადამიანებისადმი, რადგან ჩვენ უდიდესი ბედნიერებისა და უკიდურესი გასაჭირისას გვესაჭიროება ხელოვანი. ამდენად, ხელოვნებამ ადამიანები უნდა დააკავშიროს და დაახლოვოს, რაც გამოიხატება მხატვრული ქმედებებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ამდენად, ელიზსბეთ-გასტის-საზოგადოების მიზანია ბავშვების, მასწავლებელებისა და მშობლების ხელოვანებთან დაკავშირება, რომლის ფორმები მრავალფეროვანია.

V.

ტიპიური პროექტია, მაგალითად, თბილისის ნომერ 123 ლიცეუმის თანამშრომლობა უნესკოს კომისიასთან, თუ საზაფხულო აკადემია მცხეთაში ბავშვებისათვის, რომლის დროს მიეიწყებული არ არის ლოიქემიით დაავადებული ბავშვებიც.

VI.

და ამგვარი ჰუმანიტარული მიზანდასახულობისაა ელისაბეთ-გასტის-საზოგადოება, რომლის ფინანსიური საფუძველია იურიდიულ და ფიზიკურ პიროვნებათა შემოწირულებანი, და, რომელიც ასე აქტიურად მოქმედებს საქართველოში. ამ საზოგადოების მორიგი შთამაგონებელი შეხვედრა კი ჩატარდა მიუნხენში, 2007 წლის 20 აპრილს, რომელსაც დაესწრო მრავალი გერმანელი და ქართველი

დამსწრე, მიუნხენი, 20.4.2007 წელი

---

ბატონ პროფესორ დოქტორ ლადო ჭანტურიას ვულოცავთ გერმანიის "დამსახურების ჯვრით" დაჯილდოებას!..

------------------------------------------------------------

## Wir gratulieren

### Prof. Dr. Lado Tschanturia zur Verleihung des Bundesverdienstkreuzes

Wir gratulieren dem in Deutschland wohl bekanntesten georgischen Juristen, Prof. Dr. Lado Tschanturia, ganz herzlich zur Verleihung des Bundesverdienstkreuzes. Prof. Tschanturia steht in besonderem Maße für die georgisch-deutschen Beziehungen in der Gestaltung eines neuen georgischen Rechtssystems. Er war in der Regierung Schewardnadse georgischer Justizminister und später Präsident des Obersten Gerichtshofes Georgiens. Seit 2004 ist er als Stipendiat an der Universität Bremen tätig. Am 9. Juni 2006 wurde ihm das Große Bundesverdienstkreuz verliehen, überreicht von dem scheidenden deutschen Botschafter in Georgien, Uwe Schramm.

In einem persönlichen Schreiben gratulierte ihm die deutsche Justizministerin Brigitte Zypries und betonte, dass die Unabhängigkeit der Rechtssprechung in Georgien untrennbar mit dem Namen Tschanturias verbunden sei.

Prof. Tschanturia widmet sich aktuell dem Unternehmensrecht. Mehr als ein Jahrzehnt nach dem Ende der sowjetischen Zwangswirtschaft in Georgien sind zwar viele Unternehmen privatisiert, aber der erwartete Erfolg bleibt aus. Als Hauptursache sieht Lado Tschanturia das Fehlen jeglicher moderner Geschäftsführung. Dazu gehören Management, Fachkenntnisse und ethische Vorstellungen, das heißt eine auch rechtlich verankerte Unternehmenskultur. In seiner Untersuchung, die er am Hamburger Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht verfolgt, analysiert er, wie Haftungsvorschriften in Kapitalgesellschaften verfasst sein müssen, damit Privatisierung zum Erfolg führen kann. Dabei zieht er das deutsche und das US-amerikanische Rechtssystem als vorbildlich heran und vergleicht diese mit der Rechtslage in einigen postsowjetischen Staaten. Auch in den westlichen Ländern wird über die Corporate Governance, die verantwortungsvolle Unternehmensführung und die effektive Aufsicht, diskutiert.

Entscheidende Verbesserungen sind für ihn in folgenden Bereichen notwendig: Die Geschäftsführung muss transparent, die Pflichten des Managements müssen klar geregelt sein. Außerdem kommt es darauf an, dass Aktionäre oder Gesellschafter Haftungsvorschriften gegenüber der Geschäftsführung wirklich durchsetzen. Dazu will Lado Tschanturia alle Beteiligten motivieren. Sein umfangreiches Werk soll in Georgisch, später auch in Russisch erscheinen.

---

"მებრძოლი საქართველო", 2007 წლის 26 მაისი, ნომ. 37(55):

ხარჯები: გასავალი (დაბეჭვდა, ფოსტა, და სხვ.) – ---------------------------------------- 483 ევრო;

შემოსავალი: შემოწირულება კარლო ინასარიძისა---------------------------------------- 483 ევრო.

# პროფესორ ვახტანგ ჯობაძის გარდაცვალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

ოთხოცდათი წლის ასაკში, კალიფორნიაში (აშშ) გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, პროფესორი ვახტანგ ჯობაძე, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კავშირის საქართველოს ცენტრის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე – რამაზ სურმანიძე – სხვათა შორის, ამბობს:

II.

1. ვახტანგ ჯობაძე იყო ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ჩუბინაშვილის მოწაფე, რომელმაც 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ჩაირიცხა ასპირანტურაში.
2. 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, ვახტანგ ჯობაძეს მიანიჭეს უფროსი ლეიტენანტის წოდება, დანიშნეს ასეულის მეთაურად და გაგზავნეს ფრონტის წინა ხაზზე.
3. 1942 წელს იგი ტყვედ ჩავარდა და შიმშილით სიკვდილს გადაურჩა ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების დახმარებით.
4. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ვახტანგ ჯობაძე სწავლობდა მიუნხენის უნივერსიტეტში კლასიკურ არქეოლოგიას; შემდეგ სწავლობდა გეტინგენის, ჰამბურგისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში; იგი იყო კლასიკური არქეოლოგიის აღიარებული მკვლევარის – გეორგ ლეოპოლდის, –და ანტიკური adრექრისტიანული ხანის სპეციალისტის –ალფონს მარია შნაიდერის, ფრაიბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტის იოზეფ ზაუერის მოწაფე.
5. 1949 წელს ვახტანგ ჯობაძემ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, და ერლანგენის უნივერსიტეტის ასიტენტი გახდა.
6. ვახტანგ ჯობაძე დაუკავშირდა ესპანეთში მცხოვრებ ქართველებს, მეფეთა ესპანელ შთამომავალ ირაკლი ბაგრატიონს მონათლინა იქ დაბადებული ქალიშვილი ეთერი.
7. 1953 წელს, პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის რჩევით, ვახტანგ ჯობაძე გადასახლდა აშშ-ში და გახდა იუტას უნივერსიტეტის პროფესორი; ცხოვრობდა კი ქალაქ სოლტლეიქსიტში
8. ამ დროს ვახტანგ ჯობაძემ შეადგინა ანტიოქიაში არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა რუკა, რამაც მისცა დასაბამი მის მრავალწლიან არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ანტიოქიასა და ტაო-კლარჯეთში.
9. 10-11 საუკუნეებში შავ მთაზე შეიქმნა ქართველთა სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი კერა; აქ ვახტანგ ჯობაძემ გამოიკვლია სამი ნამონასტრალი: ბარლაამის მონასტერი კასიუს მთაზე; სვიმონ მესვეტე საკვირველმოქმედის სავანე; და შავი მთის ქართული მონასტერი.
10. ანტიოქიის გამოკვლევების შედეგები ვახტანგ ჯობაძემ გამოაქვეყნა ორ წიგნში, რომლებიც გამოვიდა 1976 და 1988 წლებში.
11. ასევე მნიშვნელოვანია ვახტანგ ჯობაძის მეორე ნაშრომი – "ჩვენი წელთაღრიცხვის 1000 წლის ახლო ხანის ტაო-კლარჯეთის ეკლესიების არქიტექტორული სკულპტურის მიმოხილვა".
12. პროფესორი ვახტანგ ჯობაძე ათამდე ევროპულ და აღმოსავლურ ენას ფლობდა.
13. და ბოლოს ვახტანგ ჯობაძე იყო ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის დირექტორი.
14. 18 წლის წინათ, 1989 წელს კი, ვახტანგ ჯობაძე არჩეულ იქნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად.
15. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ვახტანგ ჯობაძის მეუღლე, წარმოშობით გერმანელია – ირინე ბებერი –, თავად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც მოგზაურობისას თითქმის ყოველთვის ახლდა მის ქმარს, როგორც მკვლევარი.
16. ამგვარად, 67 წლის წინატ საქართველოს მოწყვეტილი თანამემამულე – ვახტანგ ჯობაძე – "თხემით ფეხებამდე ქართველად დარჩა".

III.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

რამაზ სურმანიძე, 6 მარტი, 2007 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

"გეოგრაფია არის ერთადერთი კონსტანტური საგარეო ურთიერთობაში".

"Geographie ist die einzige Konstante der auswärtigen Beziehungen".



# საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი, ჰიმნი



საქართველოს სახელმწიფო გერბი "თეთრი გიორგი"
1918 წლის 26 მაისიდან 1990 წლის 14 ნოემბრამდე:



საქართველოს სახელმწიფო დროშა
1918 წლის 26 მაისიდან 2004 წლის 1 ოქტომბრამდე:

## საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი "დიდება" 1918–2004 წლები:

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!
დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი



საქართველოს სახელმწიფო გერბი 1990 წლის 14 ნოემბრიდან 2004 წლის 1 ოქტომბრამდე:



საქართველოს სახელმწიფო გერბი
2004 წლის 1 ოქტომბრიდან:



საქართველოს სახელმწიფო დროშა
2004 წლის 25 იანვრიდან:

## საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი "თავისუფლება"
## 2004 წლიდან

მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ
ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათლებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთან.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინის ქართული საზოგადოების

# ცნობის ფურცელი

# Mitteilungsblatt

der Berliner Georgischen Gesellschaft e.V.

7/8 15. Jahrgang
**Juli/August 2006**
Nummer 116

## ათი მცნება

პირველი: მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.

მეორე: არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა; არა თაყუანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

მესამე: არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.

მეოთხე: მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი. ექვს დღე იქმოდე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა.

მეხუთე: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ-გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა.

მეექვსე: არა კაც-ჰკლა.

მეშვიდე: არა იმრუშო.

მერვე: არა იპარო.

მეცხრე: არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა.

მეათე: არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისისათვის, რაიცა იყოს მოყუასისა შენისა.

საქართველოს საელჩო
გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

**Botschaft von Georgien
in der Bundesrepublik Deutschland
Heinrich-Mann-Str. 32 · 13156 Berlin**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"



## Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი.

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება,
არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

2007 წლის 26 მაისი, პარიზი – Nr. 37(55) – MAI 26, 2007, Paris

რედაქციის მისამართი: Chateau de Leuville

10, rue Jules Ferry
91310 - Leuville sur Orge
France

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris

ი18/265

2024

JK 833 E
2003-2007

ეროვნული
ბიბლიოთეკა